დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 1 - 7 აპრილი

N 15 1533

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# სულით და გოლით!




2

3

## სანამ ნაცხროვა არსებობს, ქართველ ერს ფეხბურთიც ვერ გააერთიანებს!

## ტერაქტი მოსკოვში – გაკვეთილები საქართველოსთვის

15



14

ტაჯიკი ტერორისტები მოსკოვში ტყვიებით კლავდნენ, ხოლო ტერორისტი ლაზარე თბილისში ცოცხლად წვავდა!

## გუბაზ, შე ნაცო,

### ეს მაინც რამ გათქმევინა!

ქართულ ფეხბურთს სააკაშვილზე დიდი მტერი არ ჰყოლია!

სააკაშვილის მიმხმარე გუბაზ სანიკიძე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოზე მეტად უკრაინას გულშემატკივრობს!

6



## პატიმარო სააკაშვილო, გაიხადე საქართველოს ნაკრების მაისური!

4

# სანამ მკვლელების, მწამებლებისა და ჯალათების პარტიას 500 000 ამომრჩეველი ეყოლება, ქართველი ერის გაერთიანება შეუძლებელია!




# სანამ ნაცხროვა არსებობს, ქართველ ერს ფეხბურთიც ვერ გააერთიანებს!

***2024 წლის 26 მარტს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“, უეფას ერთა ლიგის პლეიოფის დრამატულ ფინალში საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ საბერძნეთის ძლევა ქართველებისათვის ეროვნულ ზეიმსა და სახალხო დღესასწაულში გადაიზარდა.***

ამ დიდი გამარჯვების რეფრენად იქცა ფრაზა — **„ისტორია დაიწერა“** — და მართალიც არის, რადგან პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩვენი ეროვნული ნაკრები კონტინენტის დიდ საფეხბურთო ფორუმზე — ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

**საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ნიკა კვეკვესკირის მიერ გადამწყვეტი პენალტის ზუსტად შესრულების შემდეგ სტადიონის ტრიბუნებიდან მოედანზე შეცვენილი გულშემატკივარი; ქუჩაში გამოფენილი ზღვა ხალხით შეტორტმანებული, საზეიმო შეძახილებითა და ავტომობილთა სირენებით გაყრუებული თბილისი; სიხარულის ცრემლების ზღვა და დადებითი ემოციების ოკეანე!** — ასეთი რამ საქართველოს **1981 წლის 13 მაისის** შემდეგ არ ახსოვს, როცა ლეგენდარული **თბილისის „დინამო“** გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ერთი სიმბოლური გარემოებაც — **1981 წელს თბილისის „დინამომ“ ევროპული თასი აფხაზეთელი ვიტალი დარასელიას გადამწყვეტი გოლით მოიგო, ხოლო 2024 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე აფხაზეთიდან დევნილი ნიკა კვეკვესკირის გადამწყვეტი გოლით გავიდა.**

მოკლედ, **2024 წლის 26 მარტი** მართლაც დიდი და ისტორიული დღეა, რომელიც, წესით, კიდევ უფრო დიდი და ბრწყინვალე გამარჯვებების დასაბამად უნდა იქცეს არამხოლოდ ქართული ფეხბურთის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის.

აკი, 26 მარტიდან მოყოლებული, თითქმის ყველგან, ყველასგან და ყველაფრიდან — ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტელევიზიიდან, პრესიდან თუ სოციალური ქსელებიდან გვესმის, რომ საქართველოს ნაკრების ისტორიულმა გამარჯვებამ ქართველი ერი გააერთიანა.

**— ხომ შეიძლება, ყოველთვის და ყველაფერში ისეთივე ერთიანები ვიყოთ, როგორიც ნაკრების გამარჯვების შემდეგ ვიყავით? თუ ფეხბურთმა გაგვაერთიანა, სხვა რამეში რატომ ვერ უნდა გავერთიანდეთ და ერთიანი ეროვნული ენერგიით რატომ ვერ უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა?** — კითხულობენ, ნატრობენ, ოცნებობენ საქართველოს მოქალაქეები 26 მარტის შემდეგ.

მოგეცა ლხენა, ერის გაერთიანებას არაფერი ჯობს და ეროვნულ ერთსულოვნებაზე დიდი ძალა არაფერს აქვს, მაგრამ, თუ ეიფორიიდან გამოვალთ, ემოციებს დავიცხრობთ და რეალობას ცივი გონებით გავუსწორებთ თვალს, მივხვდებით, რომ ახლა, ამ ეტაპზე, ამ მოცემულობაში ქართველი ერის გაერთიანება შეუძლებელია!

რატომ?

**იმიტომ, რომ ქართველი ერის ერთიანობას საქართველოს შიგნითვე ჰყავს დიდი და ვერაგი მტერი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია!**

**კი, სწორედ ნაციონალური მოძრაობაა ის ბოროტი და ბნელი ძალა, ის შავი კატა და განხეთქილების ვაშლი, რომელიც ქართველი ერის ერთსულოვნებასა და ერთმუშტიანობას უშლის ხელს!**

ხელს უშლის თავისი არსებობით!

ხელს უშლის თავისი უტიფრობით, რადგან ქართველი ხალხისათვის ცალყბა ბოდიშიც არ მოუხდია და ყასიდი სინანულიც არ უჩვენებია იმ სისასტიკისა და ჯალათობის გამო, რასაც 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა!

ის კი არა, **ქართველი ხალხის სისხლში ამოსვრილი მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პარტია ისევ ხელისუფლებისაკენ იწევს და ლამობს, ძველი თუ ახალი, თავდაპირველი თუ სახეცვლილი სააკაშვილებით, მერაბიშვილებით, ადეიშვილებით, ახალაიებით, კეზერაშვილებით, მეგისქარდავებით, კოხტაკოდუებითა და ყავარჯნიანი ჯალათებით კვლავ მოაჯდეს თავზე ქვეყანას!**

ჰოდა, სანამ ქართულ პოლიტიკაში ნაცხროვა არსებობს, ქართველი ერი ვერ გაერთიანდება!

სანამ მკვლელების, მწამებლებისა და ჯალათების პარტიას 500 000 ამომრჩეველი ეყოლება, ქართველი ერის გაერთიანება შეუძლებელია!

**ქართველი ერი მხოლოდ მაშინ გაერთიანდება, როცა საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქე ყოველ არჩევნებზე აღარ ეცდება, ჯალათები ხელისუფლებაში დააბრუნოს!**

მანამდე ქართველი ერის გაერთიანებაზე საუბარი მხოლოდ ფანტასმაგორია, ლამაზი სურვილი და უტოპიური ოცნებაა, რაც, სხვათაშორის, იმ ღამესვე გამოჩნდა, როცა საქართველოს ნაკრების ისტორიული გამარჯვებით ბედნიერი და თითქოს ერთ მუშტად შეკრული ხალხი თბილისის ქუჩებში ზეიმობდა.

**დიახ, როცა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილ მოზეიმე ხალხთან მივიდნენ და გულშემატკივარს სცენიდან ესალმებოდნენ, დადებითი ემოციებით დამუხტულ მასაში მაინც გამოერია თითო-ოროლა პროვოკატორი, რომელმაც ეროვნული დღესასწაულის წუთებშიც კი მოიცალა პოლიტიკური ბოღმისა და შხამის გადმოსანთხევად.** კერძოდ, როცა სცენაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** ავიდა, რათა გულშემატკივრებისათვის გამარჯვება მიელოცა და სასიამოვნო ამბავი ეცნობებინა — საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბის წევრები ღირსების ორდენზე წარვადგინეთო, აქა-იქ საპროტესტო შეძახილები და ობსტრუქციული სტვენა გაისმა. **თუმცა, პროვოკატორთა მცირე ჯგუფს ხალხის მასა არ აჰყვა და მალევე ჩაჩუმდნენ, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ესენი ნიკა გვარამიას ახალშობილი პარტიისა და ნაცსექტანტური მოძრაობა „შეცვალეს“, ანუ მოდერნიზებული „კმარას“ აქტივისტები ყოფილან.**

როგორც წყლის ერთ წვეთში მთელი ოკეანის სტრუქტურა აისახება, სწორედ ასე ამ ერთ პატარა ნიუანსში — დიდი სახალხო ზეიმისა და ეროვნული დღესასწაულის პოლიტიკური შხამით მოწამვლის უბადრუკ მცდელობაში ჩანს მთელი ნაცხროვის ბნელი სახე და ბოროტი შიგთავსი.

ასე რომ, ქართველი ერის გასაერთიანებლად ერთადერთი რეცეპტი არსებობს — **ქართული პოლიტიკიდან ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს ნაცმოძრაობად წოდებული ავთვისებიანი სიმსივნე!**

**მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდება რეალური შანსი, ქართულმა ფეხბურთმაც, ქართულმა სახელმწიფომაც და ქართველმა ერმაც დიდების მწვერვალები დაიპყროს!**

***ჯაბა ხუბუა***




**საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობენ. 2024 წლის 26 მარტი**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**30 წლის წინათ** დაიწყო ჩვენი **ეროვნული ნაკრების** ისტორია და **30 წლისთავზე** პირველად შევძელით და გავედით უმაღლესი რანგის ტურნირზე.

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ეს არ არის უბრალოდ გამარჯვება, **ეს არის ისტორია, რომელიც დაიწერა.** ამისთვის ვწვალობდით, ვიბრძოდით, რამდენიმე ათეული წელია. **სამწუხაროდ, როგორც ფეხბურთელს, მე არ მომეცა შესაძლებლობა, ჩემს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ან მსოფლიოზე მეთამაშა,** მაგრამ დღეს ვარ უბედნიერესი ადამიანი ისე, როგორც არასდროს.

„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**26 მარტს „დინამო არენაზე“ ახდა თაობების ოცნება,** ასრულდა მიზანი, საქართველოს გამარჯვებათა ისტორია დაწყებულია და **ეს ისტორია გრძელდება.**

„პირველი არხი“

**გიორგი მამარდაშვილი**
*საქართველოს ნაკრების მეკარე*



მეტოქე კარგად შევისწავლე და **ვიცოდი, რომ სწორედ იმ კუთხეში დაარტყამდა, სადაც გადავხტი.** გულშემატკივრებმა ბევრი გადაწყვიტეს და მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. **ჩვენ ყველამ ერთად მივაღწიეთ ამ შედეგს.**

„ახალი თაობა“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ფეხბურთელი*



**მადლობა ქართველ გულშემატკივარს.** ბევრ სტადიონზე მითამაშია, მაგრამ **ასეთი გულშემატკივრობა არსად მინახავს.**

„პირველი არხი“

# ევროპის 1960 წლის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტი ქვეყნები – იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი დღეს აღარ არსებობენ!

## ევროპის თასის პირველი მფლობელი ერთბაშად სამი ქართველი გახდა – მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა!




***2024 წლის 26 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებისა და ევროპის ჩემპიონატზე პირველად გასვლის კვალდაკვალ, თქვენს წინაშეა გაზეთ „ლელოს“ 1960 წლის 12 ივლისის ნომერი, რომელიც ევროპის პირველ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და მის შემადგენლობაში მოთამაშე სამი ქართველი ფეხბურთელის — მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველისა და გივი ჩოხელის ტრიუმფის შესახებ იუწყება.***

**უეფას** მიერ დაარსებულ საფეხბურთო ჩემპიონატს, რომელიც პირველად **1960 წელს** ჩატარდა და საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 5 დღის განმავლობაში — **6 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით** მიმდინარეობდა, ევროპის ერთა თასი ერქვა და ამ სახელწოდებას 1968 წლამდე ინარჩუნებდა, იმის შემდეგ კი დღემდე **უეფას ევროპის ჩემპიონატად** იწოდება.

**1960 წლის 10 ივლისს** პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს **საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებები** დაუპირისპირდნენ. დაძაბულ მატჩში ანგარიში იუგოსლავიელებმა გახსნეს — პირველი ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე **ლევ იაშინის** კარი **მილან გალიჩმა** აიღო. თუმცა, თამაშის სურათი მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეიცვალა, როცა 49-ე წუთზე **სლავა მეტრეველმა** ანგარიში გაათანაბრა. მატჩის ძირითად დრო სწორედ ასე დასრულდა — **1:1,** დამატებითი დროის მიწურულს კი — 113-ე წუთზე — **მიხეილ მესხის** ფლანგური გარღვევისა და მეტოქის საჯარიმოში ბურთის ჩაწოდების შემდეგ იუგოსლავიის კარი **ვიქტორ პონედელნიკმა** დალაშქრა — **2:1!**

ასე და ამრიგად, ევროპის პირველი ჩემპიონატი **გავრილ კაჩალინის** გაწვრთნილმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო, რაშიც უდიდესი და გადამწყვეტი როლი ქართველმა ფეხბურთელებმა ითამაშეს — **სლავა მეტრეველმა** გოლი შეაგდო, ხოლო **მიშა მესხმა** საგოლე გადაცემა შეასრულა.

სულ მალე — **2024 წლის 14 ივნისს — ევროპის მე-16 ჩემპიონატი აიღებს სტარტს, მაგრამ მასში ევროპის პირველი ჩემპიონატის ვერცერთ ფინალისტი ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღეს აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს და აღარც — იუგოსლავია.**

რაც შეეხება **რუსეთს,** რომელიც თავს ევროპის პირველი ჩემპიონის — საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს, 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერც ის იასპარეზებს, რადგან უკრაინაში ომის გამო ყველა საერთაშორისო ტურნირიდან მოკვეთეს.

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**ნიკა კვეკვესკირი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი*

ვიცი, რომ **აფხაზეთშიც უყურებდნენ ამ თამაშს და გვგულშემატკივრობდნენ მთელი გულით. საქართველო იქნება ერთიანი, გამთლიანებული, მშვიდობიანი.** „რეპორტიორი“



**ბუდუ ზივზივაძე**
*საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „კარლსრუეს“ ფეხბურთელი*

ვინც ევროპის ჩემპიონატზე ჩამოხვალთ და **გერმანიაში სასტუმროს ვერ იშოვით,** ჩემთან სახლში გეპატიჟებით. „პრაიმტაიმი“



**ვილი სანიოლი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი*

სიმართლე გითხრათ, **წასვლაზე არც არასდროს მიფიქრია,** რადგან აქ თავს კარგად ვგრძნობ, **ჩემს ირგვლივ პროფესიონალები არიან,** მათთან მუშაობა ჩემთვის სასიამოვნოა. „აიპრესი“



**ჯანი ინფანტინო**
*ფიფა-ს პრეზიდენტი*

**საქართველო ფეხბურთის მოყვარული ქვეყანაა,** რომელიც ეჭვგარეშეა, დიდ სიამოვნებას მიიღებს **მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირის ფინალურ ეტაპზე გამოჩენით.** „რეზონანსი“

**2024 წლის 12 აპრილს, 14 საათზე,** საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ჩატარდება

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის რიგგარეშე ყრილობა.**

*მისამართი: აკაკი წერეთლის №116. მეოთხე სართული. რეგისტრაცია დაიწყება 12 საათზე.*

# პატიმარო სააკაშვილო, გაიხადე საქართველოს ნაკრების მაისური!

***კუმ ფეხი გამოყო — მეც ნახირ-ნახირაო... ჰოდა, ისე როგორ იქნებოდა, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე მსჯავრდებული სააკაშვილი იმ სახალხო ზეიმსა და ეროვნულ დღესასწაულს არ მიტმასნოდა, რომელიც 2024 წლის 26 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიულ გამარჯვებას მოჰყვა.***




საქმე ის არის, რომ 27 მარტს სასამართლო სხდომაზე ონლაინ ჩართვისას **პატიმარი ნაცბელადი** საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურში გამოეწყო, ვითომ საქართველოს გულშემატკივარი იყოს და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო გამარჯვებით ხარობდეს.

არადა, სანამ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ფორმას მოირგებდა, **მსჯავრდებული სააკაშვილი** სასამართლო პროცესებზე ტრადიციული უკრაინული სამოსით — **ვიშივანკით** იყო წარმოდგენილი, ხან კი უკრაინის სახელმწიფო სიმბოლიკიან სამხედრო მაისურსა და კიტელს იცვამდა, რითიც თავის უკრაინელობას უსვამდა ხაზს. აკი, არაერთხელ განაცხადა კიდეც — უკრაინელი პოლიტიკოსი ვარო და საჯარო ანდერძიც დაიბარა — ჩემი გული კიევში უნდა დაიმარხოს, რადგან იგი უკრაინას ეკუთვნისო!

**იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის უარმყოფელმა და ქართული პასპორტის უკრაინულ პასპორტში გამცვლელმა სააკაშვილმა ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ქართულად საუბარიც კი არ ისურვა, უკრაინულად ამეტყველდა და მოითხოვა, მოეყვანათ თარჯიმანი, რომელიც მის ნალაპარაკევს ქართულად გადმოაენებდა.**

თუმცა, უკრაინულ სამოსში გამოწყობილი და უკრაინულ ენაზე ამეტყველებული სააკაშვილი უკრაინის პატრიოტობაშიც ისეთივე ყალბია, როგორიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურში გამოწყობილი სააკაშვილი — საქართველოს პატრიოტობაში!

რაც შეეხება ფეხბურთს, **პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართულ ფეხბურთს სააკაშვილზე დიდი მტერი არ ჰყოლია და ქართულმა ფეხბურთმა ყველაზე დიდი რეგრესი სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში განიცადა!**

ზოგადად, ფეხბურთთან სააკაშვილის ურთიერთობა ერთი დიდი ტრაგიკომედიაა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მისი ბავშვობიდან იღებს. მარტო თბილისში ანეკდოტივით მოარული ამბავი რად ღირს, რომლის შესახებაც ერთ-ერთ ინტერვიუში დიდმა ქართველმა რეჟისორმა **რობერტ სტურუ**ამაც ისაუბრა: ***„არ ვიცი, რამდენად სანდოა, მაგრამ მონაგონიც რომ იყოს, ნამდვილად ნიჭიერის მონაგონია — სააკაშვილს ბავშვობაში არასდროს ათამაშებდნენ ფეხბურთს, ეუბნებოდნენ — აძვერი ხეზე და იქიდან იმსაჯეო. დაახლოებით ხომ წარმოგიდგენიათ მსაჯის როლი ეზოს ფეხბურთში? ჰოდა, როდესაც პრეზიდენტი გახდა, პირველ რიგში, ის ხე მოაჭრევინა“.***

ძნელი სათქმელია, უკავშირდებოდა თუ არა ბავშვობაში ფეხბურთისაგან მიღებულ მენტალურ ტრავმასა და არასრულფასოვნების კომპლექსს, მაგრამ ფაქტია, რომ **სააკაშვილის მმართველობა ქართული ფეხბურთის დაკნინებისა და გაჩანაგების ერთი დიდი ეპოქა იყო, რაც, ბევრ რამესთან ერთად, საფეხბურთო სტადიონებისა და მოედნების მასობრივ ნგრევაში გამოიხატებოდა.**

მაგალითად, სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის ზეობისას, მხოლოდ თბილისში ათობით საფეხბურთო მოედანი დაანგრიეს და მათ ადგილას საცხოვრებელი კორპუსები, ბაზრობები თუ სხვადასხვა სახის კომერციული ობიექტები ააშენეს. სპორტის ცნობილმა ჟურნალისტმა, უეფას მედიაოფიცერმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელმა **მამუკა კვარაცხელიამ** ჯერ კიდევ 2015 წელს გამოაქვეყნა სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში დანგრეული საფეხბურთო მოედნების არასრული ნუსხა:

- 1 დიდი და 1 პატარა მოედანი ვაკეში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე;
- 1 დიდი მოედანი მთაწმინდაზე;
- ასკ-ის 1 დიდი და 1 პატარა მოედანი ავლაბარში;
- ლეგენდარული 35-ე სკოლის დიდი მოედანი ჩუღურეთში;
- სპორტის აკადემიის 1 დიდი და 1 პატარა მოედანი ვაკეში;
- სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ წინ მდებარე 1 დიდი მოედანი;
- სპორტის სასახლის უკან მდებარე 1 დიდი მოედანი;
- ე.წ. სიონის სტადიონის 2 დიდი მოედანი მუხიანში;
- „ნორჩი დინამოელის“ 3 დიდი და 3 პატარა მოედანი დავით ყიფიანის ქუჩაზე;
- „ოლიმპის“ 1 დიდი და 2 პატარა მოედანი ჯიქიას ქუჩაზე;
- 1 დიდი მოედანი ნინუას ქუჩაზე;
- 1 დიდი მოედანი ლოტკინის დასახლებაში, სამღერეთის ქუჩაზე;
- ე.წ. მაუდ-კამვოლის სტადიონის 1 დიდი მოედანი დიდუბეში;
- „საქართველოს უნივერსიტეტის“ 1 დიდი და 1 პატარა მოედანი;
- საშუალო ზომის 1 მოედანი დიღმის მასივში, მტკვრის სანაპიროზე;
- „მერანის“ სტადიონის 1 დიდი და 1 პატარა მოედანი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე;
- 3 დიდი მოედანი ე.წ. ზეემკას დასახლებაში...

**აღარაფერს ვამბობთ ცენტრალური სტადიონების დანგრევაზე დიდი საფეხბურთო ტრადიციის მქონე ისეთ ქალაქებში, როგორებიც ზუგდიდი და ბათუმია.**

მოკლედ რომ მოვჭრათ,

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ საფეხბურთო მოედნებისათვის გამოცხადებული ომი პირდაპირ ნიშნავდა ათასობით ბავშვის დატოვებას ფეხბურთის გარეშე და შესაბამისად, ქართული ფეხბურთის განწირვას სრული უპერსპექტივობისა და უმომავლობისათვის.**

სხვანაირად თუ ვიტყვით, **სააკაშვილის რეჟიმს ხელთ ეპყრა ორლესული ნაჯახი, რომელსაც გამეტებით ურტყამდა ქართული ფეხბურთის ფესვებს!**

დღეს კი სააკაშვილს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური ჩაუცვამს, აქაოდა — მეც იმ დიდი გამარჯვების ნაწილი ვარ, რომელიც 26 მარტს ქართველმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს და მთელმა ქვეყანამ ერთიანად იზეიმაო!

არადა,

**სწორედ სააკაშვილის რეჟიმს უკავშირდება ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შავბნელი და სამარცხვინო დღე – 2007 წლის 13 მაისი, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად სულ ერთი საათის არჩეულ გიორგი ნემსაძეს პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაურეკა და აიძულა, პოსტიდან გადამდგარიყო**

და ადგილი ნაციონალური მოძრაობის ფავორიტი კანდიდატისათვის დაეთმო.

**2007 წლის 13 მაისს ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულით სააკაშვილის რეჟიმმა შეურაცხყო და ტალახში ამოსვარა არამხოლოდ ქართული ფეხბურთის აწმყო, არამედ ქართული ფეხბურთის ისტორიაც, რომელიც 1981 წლის 13 მაისს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში დაიწერა, როცა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო.**

ასე და ამრიგად, ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ მტერს — **მსჯავრდებულ სააკაშვილს** არანაირი უფლება არა აქვს, საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური ეცვას!

სააკაშვილის მიერ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურის ჩაცმა ისეთივე ცინიზმი და ფარისევლობაა, ადოლფ ჰიტლერს თავზე ტრადიციული ებრაული ქუდი — კიპა რომ დაეხურა!

ნათქვამია — შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, ხოლო **სააკაშვილი საქართველოს ნაკრების მაისურში ვერ დამალავს იმ დიდ მავნებლობასა და ბოროტებას, რაც ქართული ფეხბურთისთვის გაუკეთებია!**

დღეს საქართველოს ნაკრების მაისურში გამოწყობილი სააკაშვილი, როგორც ქართული ფეხბურთის მტერი, დიდი ხანია, შიშველია!

***ჯაბა ხუბუა***

## ქართულ ფეხბურთს სააკაშვილზე დიდი მტერი არ ჰყოლია!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



არჩევნებში **დამაჯერებლად უნდა გავიმარჯვოთ,** რომ ქვეყანამ გააგრძელოს **მშვიდობიანი, სტაბილური განვითარება.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**ზურაბიშვილს სააკაშვილზე მეტი რეიტინგი თუ ექნება,** არ შეიწყალებს და აქტორი თავად იქნება, **სააკაშვილს თუ ექნება მაღალი რეიტინგი,** მაშინ გამოაშვებინებენ და ის იქნება აქტორი.

„რეზონანსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით **ქვეყანაში დაბრუნდა თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და ევროპული ღირებულებების** პატივისცემა.

„იმედინიუსი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



ოპოზიცია ძალიან ცუდ დღეშია, **ვერც მარცხნივ მიდიან, ვერც მარჯვნივ** — ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, დონორების ალიყური მოხვდებათ, ხოლო თუ შეგვეწინააღმდეგებიან, **მიიღებენ ქართველი ხალხის რისხვას.**

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



წამებისგან თავისუფლების გაუმჯობესებული ინდექსი — **ეს არის სასიკვდილო განაჩენი ნაციონალური მოძრაობისთვის.** სახალხო დამცველი ვიყავი და ჩემს თვალწინ ხდებოდა ყველა უბედურება, მაგრამ **ვერ წარმოვიდგენდი, რომ მაშინდელ რეიტინგებში ქვეყანა იქნებოდა კიდევ უფრო დაბლა, ვიდრე ლიბია და სამხრეთ სუდანი.** დღეს კი საქართველო არის ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიო მასშტაბით.

„აიპრესი“

***რუსეთის გენერალური პროკურორის ИГОРЬ КРАСНОВ-ის განცხადებით, 2023 წლიდან დღემდე რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდა, სულ მცირე, 15 სამრეწველო გიგანტი. სტრატეგიული და სამხედრო დანიშნულების ქარხნებისა და სამრეწველო კომბინატების ე.წ. ნაციონალიზაციამ წერტილი უნდა დაუსვას ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დანაშაულებრივ პრიხვატიზაციას და მიღებული მოგების გადაქაჩვას უცხოურ ანგარიშებზე.***




ჯერ კიდევ 2024 წლის თებერვლის შუა რიცხვებში **რუსეთის გენპროკურატურამ** მოითხოვა სახელმწიფოსათვის იმ სამი ქარხნის დაბრუნება, რომლებიც შედიან **ჩელიაბინსკის ელექტრომეტალურგიული კომბინატის** სამრეწველო ჯგუფში. მათი პრივატიზაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, ამჟამად კი, **რუსეთის გენპროკურორის** ცნობით, მათ აკონტროლებენ არამეგობარი ქვეყნების რეზიდენტები. **ამდენად, სახელმწიფოს მიერ ქონებრივი ინტერესების დაცვა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც დეპრივატიზაცია და წარმოადგენს ადეკვატურ იურიდიულ რეაქციას უკანონო ქმედებაზე, რის გამოც არამეგობარმა ქვეყნებმა რუსეთის საწარმოო პოტენციალის დასუსტება და განადგურება დაიწყეს.**

ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით ყოფილმა გუბერნატორებმა თუ ძალოვანი უწყებების თანამშრომლებმა ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქონება და **მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა** მოსყიდვით მოირგეს მეცენატის ნიღაბი. **რუსეთის გენპროკურორი აღნიშნავს, რომ ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნება მკაცრად კონტროლდება, ხოლო პროცესი ღია და საჯაროა.**

რუსეთის პროკურატურამ უკვე შეიტანა სარჩელი სვერდლოვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოში სააქციო საზოგადოება **„ეტალონისა“** და მისი მფლობელების ცოლ-ქმარ **იური და ლიუდმილა ანტიპოვების** წინააღმდეგ. მოთხოვნილია არაკანონიერ მფლობელობაში არსებული აქციების დაბრუნება იმავე სააქციო საზოგადოება **„ეტალონის“** შვილობილი კომპანიების — **„ჩელიაბინსკის ელექტრომაგნიტური კომბინატის“, „სეროვის ფეროშენადნობთა ქარხნისა“** და **ს/ს „კუზნეცკის ფეროშენადნობების“** მხრიდან.

რუსეთის გენპროკურატურა თვლის, რომ **ანტიპოვებმა** არაკანონიერი გზით ჩაიგდეს ხელში სამი ქარხანა 1993-99 წლებში. აქტივები მიემართებოდა საზღვარგარეთ, რაც ზიანს აყენებდა რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს, თავდაცვასა და უსაფრთხოებას. ქარხნები მუშაობდნენ თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებთან კოოპერირებით, მაგრამ კერძო პირების მფლობელობაში მათი გადაცემის გადაწყვეტილება მიღებული იყო **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ და არა რუსეთის მთავრობის განკარგულების საფუძველზე.** ამასთან დაკავშირებით გოსდუმის დეპუტატმა პარტია „სამართლიანი რუსეთი — სიმართლისათვის“ ლიდერმა **СЕРГЕЙ МИРОНОВ**-მა წინადადება შემოიტანა, **ძირეულად გადაისინჯოს 1990-იანი წლების პრავატიზაციის შედეგები,** რათა წარმოება-დაწესებულებათა ამჟამინდელმა მეპატრონეებმა ან დაფარონ ჩალის ფასად ნაყიდი ქონების რეალური ღირებულება ან დათმონ ეს ობიექტები სახელმწიფოს სასარგებლოდ!

# ინფორმაცია – განსჯისათვის:

# პუტინის რუსეთი სახელმწიფო ქონების დაბრუნებას იწყებს!



ამჟამად **ჩელიაბინსკის ელექტრომეტალურგიული კომბინატის** ხელმძღვანელობა ცდილობს, დაამტკიცოს 90-იანი წლების პრივატიზაციის კანონიერება და ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ კეთილსინდისიერ პარტნიორებთან თანამშრომლობენ, სამაგიეროდ, **გენპროკურატურა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაპრივატიზებელი ორგანოები 1993-99 წლებში აშკარად აჭარბებდნენ უფლებამოსილებას და ანაწილებდნენ იმ საწარმოთა აქციების სრულ პაკეტს, რომელიც მათ არ ეკუთვნოდა.** ამდენად, სრულიად კანონიერია რუსეთის ფედერაციისათვის თუნდაც უმსხვილესი საწარმოების — **ს/ს „ვოლგის ორგსინთეზისა“** და **ს/ს „მეტაფრაქს კემილაქსის“** დაბრუნება.

**ფედერალური ანტიმონოპოლური სამსახურის** წინადადებით, უნდა გამკაცრდეს სასჯელი იმ **უცხოელი ინვესტორების მიმართ,** რომლებიც კანონის გვერდის ავლით მიიღებენ კონტროლს სტრატეგიულ საწარმოებზე. ამჟამად მათი დაბრუნება შესაძლებელია სასამართლო დავის საფუძველზე, მაგრამ აღნიშნული იდეის ხორცშესხმის კვალდაკვალ ქონება სახელმწიფოს გადაეცემა **ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.**

***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მამუკა ტუსკაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



**ადეიშვილი** აქ უნდა ჩამოვიდეს და **მოსამართლეები შეამოწმოს?** „ვეტინგი“ აფრიკის რომელიღაც ქვეყანაში შეიძლება ჩაატარო, **ჩვენ სავეტინგო რა გვჭირს!**

„ახალი თაობა“

**თამარ კორძაია**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ის, რომ დეპუტატებს **მიხეილ სააკაშვილის** მონახულების უფლება არ გვეძლევა, ჩვენი საჩივრის განხილვა კი თვეების განმავლობაში არ ხდება, აჩვენებს, რომ **სააკაშვილი და ოპოზიცია არის პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლაშა ბერიძე**
*პოლკოვნიკი*



აშკარაა, **რუსეთი ემზადება ნატო-რუსეთის ომისთვის,** ეს უკვე რეალური საფრთხეა.

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პროფესორი*



ამ დრომდე რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰქონდა განცდა, რომ **ომი სადღაც სხვაგან იყო და ეს ყველაფერი მათ არ ეხებოდათ,** ახლა შეტევები **ბელგოროდზე,** ასევე **მოსკოვზე, პეტერბურგსა** და სხვა ქალაქებზე რუს ხალხში გააჩენს განცდას, რომ **ომი მათთანაც მივიდა და ეს მათ აზროვნებას ცოტათი მაინც შეცვლის.**

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ბენდიანიშვილი**
*კოალიცია „დევნილთა უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



ცხინვალში შიშობენ, რომ **რუსეთმა შესაძლოა ე.წ. სამხრეთი ოსეთი დაუთმოს საქართველოს.**

„კვირის პალიტრა“

# გუბაზ, შე ნაცო, ეს მაინც რამ გათქმევინა!

***მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოში ისეთი ქართველებიც მოიძებნებიან, რომლებიც მიმდინარე წლის ზაფხულში გერმანიაში გასამართ დიდ საფეხბურთო ფორუმზე ჩვენს ეროვნულ ნაკრებს კი არა, სხვა ქვეყანას უგულშემატკივრებენ.***

კონკრეტულად, ასეთია საქართველოს პარლამენტის წევრი **გუბაზ სანიკიძე,** რომელმაც 26 მარტს საქართველოს ნაკრების მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვების კვალდაკვალ, კეზერაშვილის ტელეჯიხურ „ფორმულას“ ეთერში, **გიორგი თარგამაძის გადაცემაში** განაცხადა:

> ***„თუ ვინმე იმსახურებს ახლა გამარჯვებას, ჩვენ ვართ ვერცხლის მედალი, პირველ ადგილზე უკრაინელები არიან, ისინი იმსახურებენ გამარჯვებას და მერე — ჩვენ“.***

**გუბაზ სანიკიძისაგან,** რომელიც სააკაშვილს ჯალალედინს ეძახდა, დღეს კი აცხადებს — **„მე ვარ ახლა მიშას თანაშემწე და მიმხმარე“** — წესით, აღარაფერი უნდა გვიკვირდეს!

ჰო, თითქოს ვეღარაფრით უნდა გაგვაოცოს **გუბაზ სანიკიძემ,** რომელიც დღეს საქართველოს პარლამენტში ნაცმოძრაობის პარტიული სიით ზის, არადა, 2011 წელს, ციხეში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველი საზარელი კადრების გავრცელების შემდეგ, აცხადებდა — **ყველა, ვინც დღეის ამას იქით 5-ნომრიან მაისურს ჩაიცვამს და ნაცმოძრაობას ხმას მისცემს, ამ დანაშაულის თანამონაწილე გახდება!**

თუმცა, **გუბაზ სანიკიძე** არათუ ნაცბანდის მხარდამჭერი და ამომრჩეველი, არამედ ნაცბანდის წევრი და პარტიული სიის მე-16 ნომერი გახდა, რითიც, მისივე ძველი განცხადების თანახმად, **ავტომატურად იქცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის, მათ შორის, პატიმრების წამებისა და გაუპატიურების თანამონაწილედ.** აქედან გამომდინარე, სანიკიძის აღარცერთი ქმედება თუ განცხადება ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში, წესითა და რიგით, აღარც განცვიფრებას უნდა იწვევდეს და აღარც — აღშფოთებას, მაგრამ, როგორც ჩანს, **„მიშას თანაშემწედ და მიმხმარედ“** გადაქცეული **გუბაზი** ამოუწურავი რესურსის პატრონია და კიდევ არაერთგზის მოახერხებს, გაკვირვებისაგან ყბა ჩამოგვიგდოს.

**ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებას, პირველ რიგში, უკრაინა იმსახურებს და საქართველოს მხოლოდ უკრაინის შემდეგ ეკუთვნის გამარჯვებაო!** — ეს მაინც რამ გათქმევინა, გუბაზ, **შე კაცო,** უფრო სწორად, **შე ნაცო!**

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის **„თანაშემწედ და მიმხმარედ“** კი გადაიქეცი, მაგრამ საქართველოს მოქალაქეს, ეროვნებით ქართველს, საქართველოს პარლამენტის წევრს საქართველოზე მეტად უცხო ქვეყანაზე როგორ უნდა შეგტკიოდეს გული და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამარჯვებაზე მეტად უკრაინის ნაკრების გამარჯვება როგორ უნდა გინდოდეს?

ცოტა არ იყოს, ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ, მოდით, ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ: **2024 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველო და უკრაინა გავიდნენ, ქართველი ერი სუნთქვაშეკრული გულშემატკივრობს თავის ეროვნულ ნაკრებს და უფალს ავედრებს მის გამარჯვებას, ამ დროს კი გუბაზ სანიკიძე ტელევიზორთან ზის და ნერვიულობისაგან თითებს იჭამს — ემანდ, საქართველოს ნაკრებმა არ გაიმარჯვოს, რადგან ევროპის ჩემპიონობა უკრაინას უფრო ეკუთვნისო!**

ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებმა უკრაინის ნაკრები დაამარცხა და ბედნიერებისაგან ფრთაშესხმული ქართველი ერი ქუჩებში გამოეფინა, ატყდა სახალხო ზეიმი და ეროვნული დღესასწაული — იმაზე ბევრად მძლავრი და მასშტაბური, ვიდრე ახლა, 26 მარტს, საქართველოს ნაკრების მიერ საბერძნეთის ძლევის შემდეგ იყო... ამ დროს კი გუბაზ სანიკიძე გამოდის და რომელიმე კეზერვიზიისა თუ ჭუტავიზიის ეთერში აცხადებს — **ქართველებო, ეს დიდი გამარჯვება უკრაინას ეკუთვნოდა და თქვენ რატომ წაართვითო?!**

**რა, თქვენ გგონიათ, არ იკადრებს გუბაზი ამის თქმას?**

**გგონიათ, ვერ გაბედავს გუბაზი ამის თქმას?**

**აკი, უკვე გაბედა და იკადრა — ევროპის ჩემპიონობის ღირსი უკრაინა უფროა, ვიდრე საქართველოო!**

მერე კიდევ უფრო მეტად გაბედავს და იკადრებს, რადგან კიდევ უფრო მეტად დაბოღმილი და იმედგაცრუებული იქნება საქართველოს გამარჯვებით!

აბა, რა უფლება აქვს საქართველოს დიდ წარმატებას მიაღწიოს და დიდი გამარჯვებები იზეიმოს მაშინ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში კი არა, ციხეშია?!

საქართველო რაც უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ეს ხომ მით უფრო მეტად შეამცირებს და ნულს ქვემოთ ჩამოიყვანს ნაცხროვის წარმატებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსს?!

ახლაც, საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ მიღწეული უპრეცედენტო გამარჯვების ფონზე, სწორედ ამ ბოღმამ და სასოწარკვეთამ ათქმევინა **სააკაშვილის „თანაშემწე და მიმხმარე“ გუბაზ სანიკიძეს** — ოქროს მედალი უკრაინას ეკუთვ-



**გუბაზ სანიკიძე:**

**თუ ვინმე იმსახურებს ახლა გამარჯვებას, ჩვენ ვართ ვერცხლის მედალი, პირველ ადგილზე უკრაინელები არიან, ისინი იმსახურებენ გამარჯვებას და მერე — ჩვენ!**






საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობენ. 2024 წლის 26 მარტი

## კვირგვინოსნები



**ვიქტორ ჯაფარიძე**
*„ხალხის ძალის“ რეგიონული მდივანი*

„ხალხის ძალა“ და ხელისუფლება **ფხიზლად უნდა ვიყოთ,** დამაჯერებლად მოვიგოთ არჩევნები და ვაჩვენოთ ამ **უსამშობლო ადამიანებს** მათი ადგილი.

„იმედინიუსი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

არჩევანი ასეთია: **ან ეროვნული დროშა, ან — ლგბტ დროშა.** ჯერი ახლა უკვე ოპოზიციაზეა.

„იმედინიუსი“



**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**გილბერტ ბეიკერს** რა ვუთხარი, ამ ფერებში რომ გააფერადა ცოდვა და **ცისარტყელას ფერები ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერთა „ღირსების“ დროშად გიქციათ.**

„იმედინიუსი“



**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*

რადიკალებს ვეკითხებით, **არიან თუ არა მომხრე ერთნაირსქესიანთა ქორწინების? ერთნაირსქესიანთა მიერ შვილის აყვანის? ბავშვისთვის სქესის გადაკეთების?** მარტივი კითხვებია, რასაც გაურბიან და ზეთსა და ბენზინზე გვესაუბრებიან.

„იმედინიუსი“



**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*

**„თქვენ შეიძლება იყოთ ბიჭის შემთხვევაში გოგო ან გოგოს შემთხვევაში — ბიჭი“** — ფინანსდება პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს **უკვე ბაღიდან, სასწავლო პროგრამებში ასეთი პროგრამების შეტანას.**

„იმედინიუსი“



# სააკაშვილის მიმხმარე გუბაზ სანიკიძე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოზე მეტად უკრაინას გულშემატკივრობს!

ნის, საქართველო კი ვერცხლს უნდა დასჯერდესო!

**და მარტო გუბაზ სანიკიძე ფიქრობს ასე?**

**მარტო მას მიაჩნია, რომ საქართველო ევროპის ჩემპიონობის ღირსი არ არის და დიდი საფეხბურთო ევროფორუმის ტრიუმფატორობა უკრაინას უფრო ეკუთვნის?**

არა, ნაცსექტანტების უმრავლესობაც სწორედ ამ ჭკუაზეა და გუბაზი ნაცსექტის დიდი ნაწილის გულისთქმას ახმიანებს!

## ნიშანდობლივია, რომ კეზერვიზიის ეთერში სანიკიძის ნათქვამი არც ინტერვიუერ გიორგი თარგამაძეს გაუკვირვებია და გაუპროტესტებია, რადგან ისიც ფიქრობს, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებას საქართველოზე მეტად უკრაინა იმსახურებს!

**კი, რადგან საქართველო, უკრაინის მსგავსად, ომის პოლიგონად არ იქცა, რუსულ სამხედრო მანქანას ბორბლებში არ შეუვარდა და ბომბების წვიმას თავი არ შეუშვირა, საქართველოს ნაკრებზე უფრო უკრაინის ნაკრები იმსახურებს წარმატებას!**

რადგან საქართველოში ბუჩისა და მარიუპოლის მსგავსი სასაკლაო არ არის მოწყობილი, ომის ცეცხლში ქართველი ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე არ იფერფლება, ასეულათასობით ახალი დევნილი არ გვყავს, ქართული ეკონომიკა არ ჩანაგდება და ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას, საქართველოს ნაკრებიც არ იმსახურებს იმ საფეხბურთო ტურნირის მოგებას, რომელშიც უკრაინა მონაწილეობს.

გვინდოდა, ევროპის ჩემპიონობა დაგვემსახურებინა? მაშინ ყურად გვეღო უკრაინის ხელისუფლებისა და მთელი რიგი ევროპელი პოლიტიკოსების მოწოდება — **აფხაზეთსა და ცხინვალში ტანკებით გაისეირნეთ, რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსენითო!**

დაგვეწესებინა რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციები, რომლებიც რუსულ ეკონომიკას ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ **ქართულ ეკონომიკას დააქცევდა და ევროპის ჩემპიონობის ღირსიც გავხდებოდით!**

აი, ასე ფიქრობენ სააკაშვილის მიმხმარე **გუბაზ სანიკიძე და ნაცსექტა,** რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოზე მეტად უკრაინას გულშემატკივრობენ!

ჯერ არავინ იცის, მოუწევთ თუ არა ერთმანეთთან დაპირისპირება ევროპის ჩემპიონატზე საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებებს, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფში არიან, მაგრამ უეფას ერთა ლიგის 2024-2025 წლის გათამაშებაში ისინი ნამდვილად უშუალო მეტოქეები იქნებიან და ერთმანეთთან ორმატჩიანი დუელი ექნებათ, რადგან ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ. კერძოდ, მიმდინარე წლის **11 ოქტომბერს** საქართველოს ნაკრებს უკრაინასთან გასვლითი თამაში ექნება, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე, ევროპის რომელიმე ქვეყანაში ჩატარდება, ხოლო

## 16 ნოემბერს საპასუხო მატჩისთვის, უკრაინის ნაკრები თბილისში ჩამოვა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას თამამად შეუძლია, გულშემატკივრების ჩამოყვანაზე არ იზრუნოს, რადგან საქართველო - უკრაინის საშინაო მატჩში მთელი კოლექტიური გუბაზსანიკიძე ისედაც უკრაინას უგულშემატკივრებს!

**უკრაინის სახელმწიფოს ევროპელი, ამერიკელი და ქართველი გუბაზსანიკიძეების გულშემატკივრობამ რა ხეირიც დააყარა, ამას კარგად ვხედავთ და რას მოუტანს უკრაინის საფეხბურთო ნაკრებს, ამასაც სულ მალე ვნახავთ!**

აკი, დიდი დრო არც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდეა დარჩენილი და არც — საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში გუბაზსანიკიძიზმი საბოლოოდ უნდა დაასამაროს!

***ჯაბა ხუბუა***




# გუბაზ, ამ ბრახაბრუხს თავი გაანებე!

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და შეგვახსენებს, რომ დროის უმცირეს მონაკვეთში, კერძოდ, 1991 წლის 23-31 მარტის შუალედში, საქართველოში მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს ლიდერი — ბორის ელცინი და რიჩარდ ნიქსონი ჩამოვიდა. ერთიც და მეორეც საქართველოდან უკმაყოფილო წავიდა, რამაც საქართველოს მომავალი დიდად განსაზღვრა:***

— არ მეგონა, თუ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წარმატება საქართველოში ვინმეს არ გაუხარდებოდა. არ მინდოდა, მეხსენებინა, მაგრამ მივმართავ **გუბაზ სანიკიძეს,** — გუბაზ, ამ ბრახაბრუხს თავი გაანებე! რომ გაიძახი — ჩვენი ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ და ევროპის ჩემპიონატზეც იმიტომ გავედითო! — კი ბატონო, ბიჭები ნამდვილად თამაშობენ ევროპულ კლუბებში, მაგრამ **კვარაცხელიამ, ზივზივაძემ, მამარდაშვილმა, დავითაშვილმა** და სხვებმა ფეხბურთის თამაში ევროპაში ისწავლეს? ეს ბიჭები ქართველმა მწვრთნელებმა არ გაზარდეს და ევროპაში მხოლოდ ამის შემდეგ არ მიიწვიეს? საიდან ამდენი უმადურობა? **თემურ ქეცბაია** ისეთ დღეში ჩააგდეს, კაცი ნაკრებიდან გაიქცა, ხოლო **ვილი სანიოლის** დასდევდნენ — „წადი, წადი, წადიო!“ ახლა „ვილი, ვილის!“ გაიძახიან.

## 26 მარტს გამართულმა მატჩმა დამანახა, რომ, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კი არა, ყველაფერს დავიბრუნებთ!

ჩემთვის სიმბოლური იყო **ნიკა კვეკვესკირის** მიერ გატანილი გამარჯვების გოლი. **კვეკვესკირი** აფხაზეთიდან დევნილია, ზუგდიდში ცხოვრობდა და იქიდან ტალახიანი ტანსაცმლით დაჰყვებოდა „მარშრუტკას“, რათა თბილისში ევარჯიშა. სწორედ კვეკვესკირმა, დევნილმა ბიჭმა და გამარჯვების გოლის ავტორმა დაიძახა რესპუბლიკის მოედნიდან მსოფლიოს გასაგონად — **„აფხაზეთი საქართველოა! სამაჩაბლო საქართველოა!“**

ქართველი კაცი რომ იმას იტყვის — უკრაინას ოქრო ეკუთვნის და ჩვენ ვერცხლიო, საგიჟეთშია წასაყვანი!

**— აფხაზებს გაუხარდათ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების გამარჯვება?**

— გაგიჟდნენ, ისე გაუხარდათ! აფხაზ ახალგაზრდებს ქართველ ახალგაზრდებთან რაღაც დახურული ჩათები აქვთ და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მილოცვები და ცრემლები იყო ამ ჩათებში. ყველა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არის ხელოვნური, ინსპირირებული და მესამე ძალის მიერ გაჩაღებული.

**— 31 მარტი ისტორიული**

***გაგრძელება მე-8 გვერდზე***

## კვირგვინოსნები



**თამარ ჩუგოშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**ოჯახური ღირებულებების დაცვა** არის დემოგრაფიული პოლიტიკის ღერძი და ვნახოთ, დაუჭერს თუ არა მხარს ამ ინიციატივას **ფარისევლური ცრემლებით მოღაღადე ნაცმოძრაობა** და მათი ოპოზიცია.

„იმედინიუსი“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*

სანამ „ქართული ოცნებიდან“ ვინმე არ იტყვის, **თუ როგორ გახდა ბავშვობაში ლგბტ პროპაგანდის მსხვერპლი,** იქამდე პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ — **ამის შემდეგ შეიძლება შეგვეცოდოს რომელიმე მათგანი** და ჩავთვალოთ, რომ საფრთხე რეალურია.

„ინტერპრესნიუსი“



**ლევან ბერძენიშვილი**

**როგორ უნდა აკონტროლონ ლგბტ თემის პოპულარიზაცია,** ვინ უნდა გააკონტროლოს? **ცენზურა შემოაქვთ, თუ მორალის პოლიცია?** შემდეგი ნაბიჯი რა არის? ჩამოხრჩობა?

„პალიტრანიუსი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

ბიჭო, **თუ გადაგვარდი, სარწმუნოება, ტრადიცია წაგართვეს,** არ მოგეცა საშუალება, შვილს ქალიშვილი, ვაჟიშვილი დაუძახო, დედას — დედა და მამას — მამა, **რა ჯანდაბად გინდა ევროკავშირში და დანარჩენ გაერთიანებებში.**

„ინტერპრესნიუსი“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

**„ევროპა გვინდა“** ნიშნავს, რომ **გვინდა დეკლარირებული ევროპული ღირებულებები** და არა დიქტატი ან სხვა, კიდევ უარესი.

„იმედინიუსი“



„თუ ოსებმა არ იციან, შევახსენებ – 1886 წელს ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა!“


საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი
1991 წლის 31 მარტი
სარეფერენდუმო ბიულეტენი
РЕФЕРЕНДУМ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ
31 марта 1991 года
БЮЛЛЕТЕНЬ ДЛЯ РЕФЕРЕНДУМА

Согласны ли Вы, чтобы государственная независимость Грузии была восстановлена на основании акта о независимости от 26 мая 1918 года?

თანხმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ / ДА — არა / НЕТ

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი პასუხი)
(обведите желаемый для Вас ответ)

მაყვალა ბერიანიძე:



# 1991 წლის 31 მარტს, ისტორიული რეფერენდუმის დღეს, ზვიადს წერილი მივწერე და გავაფრთხილე!

*დასაწყისი მე-7 გვერდზე*

**რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. რა პროცესები მიდიოდა აფხაზეთსა და ცხინვალში ზვიადის დროს?**

— ზვიად გამსახურდიას ვიცნობდი... მაჩაბლის ქუჩაზე, კომკავშირის ცეკას ყოფილ შენობაში, სადაც **გიგლა ბარამიძეს** „ახალგაზრდული კავშირი“ ჰქონდა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ჩვენ და ზვიადი ერთმანეთის გვერდიგვერდ ვმუშაობდით. 1991 წლის 31 მარტს, ისტორიული რეფერენდუმის დღეს, ზვიად გამსახურდიას წერილი მივწერე და გავაფრთხილე, რომ არ მომწონდა, როცა მთავრობის სასახლის წინ კარვები იდგა, რომელშიც ქალები და მათი ქმრები ხორხოცობდნენ. ისიც მივწერე, რომ პრეფექტებად ინიშნებოდნენ ყოვლად უვარგისი, სამარცხვინო კადრები. მაგალითად, **თენგიზ კიტოვანმა** კასპში თავისი ფავორიტი ქალი პრეფექტად ავტომატებისა და ტანკის ძალით დანიშნა, რაც ზვიად გამსახურდიას სახელს უტეხდა. იმავე წერილში ზვიადს ასევე მოვუწოდებდი, რომ არ გამოეყარა კომუნისტები უზენაესი საბჭოდან, რადგან კომუნისტების უმრავლესობამ ხმა სწორედ ზვიადს მისცა. ბოლოს იმასაც ვწერდი, რომ, თუ ამას არ გაითვალისწინებდა, მაშინ კიტოვანები და მისთანა გარეწრები, რომლებიც თავიანთ საყვარლებს ნიშნავდნენ პრეფექტებად, აუცილებლად გვერდზე გაუხტებოდნენ, დაუპირისპირდებოდნენ, მისი ხელისუფლება ცხრა თვეც ვერ გაძლებდა და ქვეყანა დაგვეღუპებოდა.

გეფიცებით, ზუსტად ცხრა თვის თავზე, 1991 წლის 2 სექტემბერს, „კინოს სახლთან“ ტყვია გავარდა. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაკვირდები, ცხინვალში პროცესები აბსოლუტურად მართული იყო. **დღეს რომ გაიძახიან, ზვიადმა ოსებს ავტონომია გააუქმაო! — ტყუილია. ავტონომია ოსებმა თავად გააუქმეს, როცა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ გამოაცხადეს, ხოლო ზვიადი ადგა და მათი „რესპუბლიკა“ გააუქმა!** თუ ოსებმა არ იციან, შევახსენებ, რომ 1886 წელს ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა! ხოლო 1917 წელს მხოლოდ სამი ოსური ოჯახი სახლობდა ცხინვალში...

**— ჟორდანიას დროს ოსები რამდენჯერმე აჯანყდნენ!**

— 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა რომ აღიარა, 21 დღის შემდეგ ოსებმა **მემორანდუმი** გაგზავნეს მოსკოვში — შეგვიერთეთო! იმ **მემორანდუმს** 70 კაცი აწერდა ხელს — **ლადო სანაკოევი, გაგლოევი, აბაევი.** სხვათაშორის,

**ვასილ აბაევი ერთადერთი ოსი მეცნიერია, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს წერდა – ცენტრალური კავკასიონი საქართველოსა და ოსეთს შორის ბუნებრივი საზღვარიაო!**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ცხინვალში კონფლიქტი ჯერ კიდევ **გუმბარიძის** დროს დაიწყო. არასოდეს დამავიწყდება ზვიადის სიტყვები — **იქნებ ოსები ახლა მაინც შეეცადონ და საქართველოს მტრებს ჩვენს წინააღმდეგ თავი არ გამოაყენებინონ, როგორც ეს ისტორიაში არაერთხელ მოხდაო!** არ გამოვიდა ამ საქმიდან არაფერი. მოყოლებული ვახტანგ გორგასლის პერიოდიდან, ოსები საქართველოს დასუსტებით ყოველთვის სარგებლობდნენ. ასე მოხდა ვახტანგ გორგასლის დროს, როცა ოსები კასპს დაეცნენ და ვახტანგის მცირეწლოვანი და — მირანდუხტი გაიტაცეს; ასე იყო მონღოლების დროს; ასე იყო ნოე ჟორდანიას დროს და ასე მოხდა ზვიადის დროსაც.

ჩვენ ხშირად გვავიწყდება ის ამბავი, რომ დროის უმცირეს მონაკვეთში, კერძოდ, 1991 წლის 23-31 მარტის შუალედში, საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს ლიდერი — **ბორის ელცინი და რიჩარდ ნიქსონი.** ერთიც და მეორეც საქართველოდან წავიდა უკმაყოფილო. **ელცინი** ზვიადმა ყაზბეგში დაათრო და ისეთ დოკუმენტებზე მოაწერინა ხელი, რომლითაც რუსეთს აღიარებინა ე.წ. **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმება,** ხოლო 1991 წლის 28 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით თბილისში იმყოფებოდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი,** რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ სიტუაციის შესასწავლად და დასაზვერად გამოგზავნა. ნიქსონმა ამერიკაში ცუდი ამბავი ჩაიტანა — **ზვიადი ვაშინგტონის მონობას არ აპირებდა და დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობას გეგმავდა!** ცხადია, სწორედ ამან გამოიწვია ის, რაც მერე მოხდა.

**— ზვიად გამსახურდიას 1990 წლის 23 ნოემბერს ცხინვალისკენ ავტობუსების დაძვრასაც ედავებიან!**

— ეს პროვოკაცია იყო, რომელიც ზვიადს მოუწყვეს! რაც შეეხება აფხაზეთს, მისი ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რადგან, როგორც არაერთგზის მითქვამს, 1991 წლის აგვისტოში ამერიკელებმა აფხაზეთში ჩამოიყვანეს **ბინ ლადენი,** ხოლო კაგებეს მიერ შექმნილი სტრუქტურის — **ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის** დედაქალაქად გამოცხადდა **სოხუმი.** სწორედ ამას მოჰყვა 1991 წლის 2 სექტემბერი, როცა **კინოს სახლთან** ტყვია გავარდა და ზვიად გამსახურდიას ჩამოსაშორებლად სისხლიანი პროცესი დაიწყო. ეს დადგმული და შეთანხმებული სცენარი იყო, რასაც საქართველოდან კანონიერი ხელისუფლების განდევნა და ქვეყნის დაშლა უნდა მოჰყოლოდა. ზვიადმა ეს იცოდა და ამიტომაც ჩქარობდა ყველაფერს. **კრემლს გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან გეგმა ასეთი იყო — ზვიადის დახობით საქართველოს ერთიანობაც უნდა დაეხოთ! ასეც მოხდა.**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. თბილისი 1991 წლის 30 მარტი

## „ნიქსონმა ამერიკაში ცუდი ამბავი ჩაიტანა — ზვიადი ვაშინგტონის მონობას არ აპირებდა და დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობას გეგმავდა!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ლეჟარია**
*ექსპერტი*



პოლიციას **„მოლოტოვის კოქტეილები“** თუ ესროლე — გმირი ხარ, ხოლო ახალგაზრდები, რომლებიც **ნაცებს მოღალატეებს უწოდებენ,** თურმე, ლოთები და ნარკომანები არიან.

„იმედინიუსი“

**ოთარ ბრიგოლეია**
*თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ბოდიში მინდა მოვუხადო საზოგადოებას,** რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, **ევროსაბჭოში, მიხეილ სააკაშვილის კვებაზე გვიწევს საუბარი.**

„იმედინიუსი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ევროკავშირმა საქართველოს კარი გაუღო, **ახლა თქვენ თავად უნდა გაიაროთ ეს კარი,** რამდენად სწრაფად გააკეთებთ ამას, თქვენი გადასაწყვეტია — **კარი ღიაა, გელოდებით!**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



დღეს უცხოური სახსრებით შემოედინება თანხა, რომელიც **პოლიტიკურ პარტიებთან შერწყმული „ენჯეოების“** მეშვეობით ხვდება ქართულ პოლიტიკაში.

„რეზონანსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** არათუ დანაშაულს ინანიებს, პატიმრობაში ყოფნის პერიოდში **ფული იხადა, რათა საქართველო უმძიმესი დანაშაულების დაბრალების ობიექტი გამხდარიყო.**

„რეზონანსი“

**ბელათერ არაბული**
*მწერალთა კავშირის თავმჯდომარე*



**ნაცმოძრაობა აღარ არსებობს,** მისი რეიტინგი განულებულია. **სააკაშვილი აუცილებლად ციხეში უნდა გადაიყვანონ** და ისევე მოიხადოს სასჯელი, როგორც სხვა პატიმრები იხდიან.

„საერთო გაზეთი“

*უკანასკნელ ხანს სომხურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოფიციალურმა ერევანმა საქართველოს შესაძლოა, სოფელი ჯილიზა დაუბრუნოს, რომელიც ლორის მხარის ალავერდის რაიონში მდებარეობს. ჩვენი მეზობლები საგანგებოდ აღნიშნავენ იმასაც, რომ სომხეთი აპირებს მუშაობის გააქტიურებას საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის მიმართულებით არამარტო საქართველოსთან, არამედ აზერბაიჯანთან!*



# პრეზიდენტო ალიევ, მიჰბაძე პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს!

როგორც წერენ, ეს საკითხი **ირაკლი კობახიძის** ერევანში ვიზიტის დროს ფაშინიანსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის განიხილებოდა და შეთანხმებაც მიღწეული იქნა, თუმცა, ბოლო დროს სომხური საინფორმაციო საშუალებების ნაწილმა ამ ყველაფერს სიცრუე უწოდა და გაიკვირვა — **რა ჯილიზა, რისი დაბრუნება, მსგავსი არაფერი მომხდარაო!**

სიმართლე ისეთი რამეა, დიდხანს თავს ვერ დამალავს და ყველაფერი ძალიან მალე გაირკვევა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს ვიღაც **რაღაცას** უბრუნებს და ამის შესახებ სწორედ ჩვენი მეზობლები წერდნენ, უკვე იმის აღიარებაა, რომ ის **რაღაც** ოდესღაც ჩვენი იყო და მერე ისტორიული ბედუკუღმართობითა თუ ისევ და ისევ ჩვენივე ტუტრუცანობითა და ღალატით დავკარგეთ!

ფაქტია, რომ საქართველოს დასაბრუნებელი ბევრზე ბევრი აქვს!

**სომხეთმა 1918 წლის დეკემბერში ომი სწორედ ლორე-ტაშირის გამო დაგვიწყო, რომლის ნაწილიც მაშინ ბორჩალოს მაზრას შეადგენდა. მეზობლებს ასევე პრეტენზია ჰქონდათ ახალქალაქზეც.** საერთოდ, ქვემო ქართლსა და განსაკუთრებით ისტორიულ ჯავახეთში, სადაც ქართველები ყოველთვის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ, ბედის ბორბალი ჩვენ საწინააღმდეგოდ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დატრიალდა. **მართალია, ამ ომში რუსეთმა თურქეთს სძლია და 1829 წლის 2 სექტემბერს ანდრიანოპოლში ხელმოწერილი ზავით ფოთი, ახალქალაქი და ახალციხე შემოიერთა, რაც საქართველოსთვის ობიექტურად სიკეთის მომტანი დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო, მაგრამ სულ მალე საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა ივანე პასკევიჩმა ქართველებს ყელში დანა გამოგვისვა, როცა 1831 წელს მთელი ჯავახეთი არზრუმიდან გადმოსახლებული სომხებით გაავსო.** სულ გადმოასახლეს 7600 სომეხი ოჯახი, ხოლო ეთნიკური ქართველები, რომლებიც გამუსლიმანებული იყვნენ, თურქეთის გზას გაუყენეს და დედასამშობლოს მოწყვიტეს, ანუ ჯავახეთის ეთნიკური რუკა ერთ დღეში შეცვალეს და ქართველებით დასახლებული უძველესი ქართული რეგიონი უცბად გაასომხურეს!

1814 წლის სექტემბერში ვენის კონგრესზე დამარცხებული საფრანგეთის წარმომადგენელი, საქვეყნოდ ცნობილი მოღალატე, მაგრამ უნიჭიერესი **ტალეირანი** გამოვიდა და ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის შესანარჩუნებლად ე.წ. **„ლეგიტიმიზმის პრინციპი“** „შემოაგდო“ — აქაოდა, თუ გვინდა, რომ დავმშვიდდეთ და ნაპოლეონის მსგავსი ომებისგან დავისვენოთ, ევროპის სახელმწიფოთა საზღვრები 1792 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უნდა შენარჩუნდესო! ამ ხერხით დამარცხებულმა საფრანგეთმა არამარტო თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა უზრუნველყო, არამედ თავისი სამბრძანებლოს მცირედით გაზრდაც კი მოახერხა, ხოლო მთელი ევროპა ასი წლის განმავლობაში დიდ ომებსა და უბედურებებს გადაარჩინა, ვიდრე 1914 წლის 28 ივნისს სარაევოში ის საბედისწერო გასროლა არ მოხდა და პირველი მსოფლიო ომი არ დაიწყო.

**მოღალატეებს საქართველოში რა დალევს, მაგრამ ახლა ჩვენც გვჭირდება ისეთი ჭკვიანი და ნიჭიერი ტალეირანი, რომელიც როგორც სომხებს, ისე აზერბაიჯანელებს გარკვევით და გასაგებად ეტყვის, რომ ამ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე საქართველოდ მოიაზრება ის ქვეყანა და ტერიტორია, რომლის საზღვრებიც ჩვენივე კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველ პუნქტში ასე განისაზღვრა —** *„საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.“*

ანუ ამ კონსტიტუციის დამწერი და საქართველოს მაოხრებელი შევარდნაძეც კი მიხვდა, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ — 22 დეკემბერს, თბილისსა და დანარჩენ საქართველოში უბედურება დატრიალდა, გადატრიალება დაიწყო და ტერიტორიები დავკარგეთ. ამიტომ ედუარდი ადგა და **ავთანდილ დემეტრაშვილს,** რომელიც მაშინ კონსტიტუციას წერდა, ბეჭედი დაასმევინა — **რასაც 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით ვაკონტროლებდით, საქართველო ის არისო!** ცხადია, სინამდვილეში საქართველო ბევრად მეტია და თამარისდროინდელი ჩვენი ქვეყანა ტერიტორიულად დღევანდელ საქართველოს ექვსჯერ მაინც აჭარბებდა. დიდ პავლე ინგოროყვას თუ დავერწმუნებით, არზრუმამდე სულ საქართველო იყო!

მოკლედ, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ტალეირანისეული „ლეგიტიმიზმის პრინციპით“ და მეზობლებს ვუთხრათ, რომ ჩვენ შორის სახელმწიფო საზღვარი უნდა გატარდეს იქ, რომელ საზღვრებშიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ანუ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წუთამდე არსებობდნენ!

ამ საზღვრების თანახმად, სომხეთს არამხოლოდ სოფელი **ჯილიზა,** არამედ სოფელი ჰუჯაბიც მიტაცებული და ოკუპირებული აქვს, სადაც მე-13 საუკუნის ქართული ეკლესია დგას უნიკალური ქართული წარწერებით. 2005 წელს, როცა სოფელ ჰუჯაბში ტელეკომპანია „მზეს“ ჟურნალისტები რეპორტაჟის მოსამზადებლად ჩავიდნენ, სომეხმა მესაზღვრეებმა ქართველებს სოფელში ცხვირი არ შეაყოფინეს და ტყვიები დაუშინეს! აღარაფერს ვამბობთ დავითგარეჯზე, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში ლაკმუსის ქაღალდის როლს ასრულებს და შეასრულებს!

**როგორც ბოროტი ენები ამბობენ, დავითგარეჯის სტრატეგიული სიმაღლეებისა და ჩიჩხიტურის კოშკის მსგავსად, სააკაშვილმა სოფელი ჰუჯაბიც ჩვენი მეზობლების სასარგებლოდ დათმო და სომხებს უფეშქაშა!** არადა, ეროვნული მოძრაობა სწორედ დავითგარეჯის გათავისუფლებისა და სოფელ ჰუჯაბის აღორძინების მოთხოვნით დაიწყო! საუბედუროდ, მოხდა ისე, რომ ქართველებმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ორივე საკრალური სიმბოლო — **დავითგარეჯი და ჰუჯაბი** დავკარგეთ! უფრო მეტიც, ვინც დავითგარეჯის სიმაღლეები აზერბაიჯანს მიუზომა და რუკები საქართველოს საზიანოდ გაამრუდა, ის ხალხი ტელევიზიით გამოვიყვანეთ და საზოგადოებას ისე წარვუდგინეთ, როგორც გმირები და თანამედროვე მესიები!

ლორეს სტრატეგიული მნიშვნელობა თავის დროზე კარგად შეაფასა საქართველოს უდიდესმა მეფე **დავით აღმაშენებელმა,** რომელმაც 1118 წელს ლორე და მთელი მისი შემოგარენი უშუალოდ საქართველოს სამეფოს შემოუერთა. ლორეს ციხე საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ანუ ამირსპასალარის რეზიდენციად, ძირითად სადგომად გამოცხადდა. **სწორედ ლორეს ციხეს უკავშირდება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი და ტრაგიკული ისტორია, როცა 1177 წელს იოანე ორბელის ცნობილი აჯანყების დროს, დემნა უფლისწული ლორეს ციხიდან თოკით გადმოეშვა და ბიძასთან პატიების სათხოვნელად მივიდა.** წყეულმა გიორგი მესამემ — თამარის მამამ, გატეხა სამეფო სიტყვა და ძმისშვილს თვალებიც დასთხარა და დაასაჭურისა კიდეც, რითიც ჰარაკირი გაიკეთა და ბაგრატიონთა დინასტიის აღმავალი ხაზი, ფაქტობრივად, თავისი ხელით მოსპო. სხვათაშორის, 1431 წელს, როცა საქართველოს დიდი მეფე **ალექსანდრე პირველი** ლორედან კბილებდაკრეჭილ და ველურ შავბატკნიან თურქმანებს მიერეკებოდა, ქართველი ეპისკოპოსი **თეოდორე** მებრძოლებს მოუწოდებდა — **თუ ბრძოლაში დაეცემით, პირდაპირ სამოთხეში მოხვდებითო!**

აი, ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის ლორეს, რომელსაც მე-12 საუკუნის მიწურულიდან მხარგრძელები ფლობდნენ.

ერთი სიტყვით, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფო დაეცა და სომხური სახელმწიფოებრიობა 1045 წელს ბიზანტიის იმპერიამ მოსპო, ლორე საქართველოს კუთვნილება გახდა. **ასე გაგრძელდა 1918 წლის 26 მაისის შემდეგაც, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მართალია, ძაღლთაპირი და იმპერიალისტი ინგლისელების ჩარევით, საქართველოს სხეულში „ლორეს ნეიტრალური ზონის“ სახით დიდი ნაღმი ჩადეს, მაგრამ 1919 წელს საქართველომ ლორეზე კონტროლის დაწესება მაინც შეძლო. 1921 წელს ბოლშევიკებმა ლორე საქართველოს წაგლიჯეს და სომხეთს მისცეს!**

მოკლედ, თუ სომხეთი საქართველოს ისტორიული ლორეს ერთ პაწაწკინტელა სოფელს — **ჯილიზას** დაუბრუნებს, კარგს იზამს და ამით ისტორიულ სამართლიანობას მცირედით მაინც აღადგენს! მაგრამ საინტერესოა, ამ ფონზე რას მოიმოქმედებს აზერბაიჯანი!

**ინებებს სომხეთზე გამარჯვებული შარვანშაჰი ილჰამ ალიევი, საქართველო-აზერბაიჯანს შორის ის საზღვარი დააწესოს, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანს ერთმანეთისგან ყოფდა?**

ვფიქრობთ, ორი ერის ურთიერთობაში ეს უაღრესად კრიტიკული და საჭირბოროტო საკითხია, რომლის მიყურისძირებაც არ გამოვა!

სხვათაშორის, საბჭოთა კავშირის დროს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრების თანახმად, **„წითელი ხიდის“ იქით,** რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმეში არსებული ტერიტორია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კუთვნილება იყო, მაგრამ დღეს სურათი რადიკალურად შეცვლილია და ხიდს იქითა მიწებს თავიდან ბოლომდე აზერბაიჯანი აკონტროლებს. როგორც ამბობენ, ამ საქმეში სააკაშვილი არა, მაგრამ სააკაშვილის პოლიტიკური მამობილი ნამდვილად გარეულია. **დიახ, აზერბაიჯანისთვის „წითელ ხიდს“ იქით მდებარე ქართული ტერიტორიების გადაცემა მოხდა შევარდნაძის დროს, „ედუარდისა და ჰეიდარის უკვდავი მეგობრობის“ აღსანიშნავად!**

ისღა დაგვრჩენია, მივმართოთ მეზობელი აზერბაიჯანის ლიდერს — **პრეზიდენტო ილჰამ ალიევ, მიჰბაძე პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს და დაუბრუნე საქართველოს დავითგარეჯის სტრატეგიული სიმაღლეები, რომლებიც სააკაშვილმა „სოკარის“ წილში ჩასმის სანაცვლოდ მოგიზომა!**

**ამით საქართველო-აზერბაიჯანს შორის მოისპობა ყოველგვარი დაძაბულობა და გაუგებრობა, რომელიც ნებისმიერ წუთს შეიძლება განვითარდეს და ორი მეზობელი და ერთმანეთის პატივისმცემელი ერის ურთიერთობა სასიკვდილოდ დააზიანოს!**




**ჯილიზა** (სომხ. Ջիլիզա) — სოფელი სომხეთში, ლორეს პროვინციაში. მდებარეობს ზღვის დონიდან 1 050 მეტრზე. 2008 წლის მონაცემებით, მოსახლეობა 108 ადამიანს შეადგენდა, სიმჭიდროვე 19 ადამიანი $კმ^2$-ზე. ფართობი 5.57 $კმ^2$-ია. სოფლის აღმოსავლეთით დგას ქართული არქიტექტურის ძეგლი ოფრეთის ციხე.

2024 წლის მარტის ბოლოს ქართულმა საინფორმაციო წყაროებმა სომხურ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სოფელი ჯილიზა საზღვრის დემარკაციის დროს შეიძლება საქართველოს გადაეცეს.[1]

## როგორც ბოროტი ენები ამბობენ, დავითგარეჯის სტრატეგიული სიმაღლეებისა და ჩიჩხიტურის კოშკის მსგავსად, სააკაშვილმა სოფელი ჰუჯაბიც ჩვენი მეზობლების სასარგებლოდ დათმო და სომხებს უფეშქაშა!

*დიტო ჩუბინიძე*

# ქრთამისუფლების აღკვეთა







**ცვლის უფროსის მოადგილე და ორი მენეჯერი აქტიალებდნენ? სხვამ არავინ იცოდა და მეტი არავინ იდგა ამის უკან? ქრთამის სახით მიღებული 500 000 ლარიდან წილი არავისთან მიდიოდა? ან სააქციო საზოგადოება „ვიანის" მხოლოდ ორ თანამშრომელს ჰქონდა აღებული თავის თავზე საგანგებო სიტუაციების**

***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში კორუფციული სქემა გამოავლინა და ამა წლის 29 მარტს რამდენიმე ადამიანი დააკავა.***

კერძოდ, **სუს**-ის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების — **საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის** ჰოსპიტალიზაციის ცვლის უფროსის ყოფილი მოადგილე და ორი ყოფილი მენეჯერი აიყვანეს, კიდევ ორ პირს კი ბრალი უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემისათვის წაუყენეს.

რაში მდგომარეობდა და როგორ მოქმედებდა თაღლითურ-კორუფციული სქემა, ამის შესახებ სუს-ის გამომძიებელმა **გიორგი ქურდაძემ** საგანგებო ბრიფინგზე ისაუბრა:

***„ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ცვლის უფროსის მოადგილე და ჰოსპიტალიზაციის ორი მენეჯერი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში კორუფციულ გარიგებაში შევიდნენ სააქციო საზოგადოება „ვიანის" ორ წარმომადგენელთან და სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში შესული მოთხოვნის საფუძველზე, პაციენტთა ელექტრონული მართვის პროგრამაში ხელოვნური ჩარევით, ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციას ახდენდნენ არა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში, არამედ სააქციო საზოგადოება „ვიანისადმი" დაქვემდებარებულ კლინიკებში".***

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: ადამიანი ცუდად გახდა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდა. დარეკა 112-ში და გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა. მოვიდნენ, გასინჯეს და ეუბნებიან — აუცილებელი ჰოსპიტალიზაცია გჭირდებათ, ამა და ამ კლინიკაში უნდა გადაგიყვანოთ. გაკვირვებული პაციენტი ეკითხება — თქვენ მიერ დასახელებული კლინიკა ძალიან შორს მდებარეობს, რატომ უნდა წამიყვანოთ იქ, როცა ესა და ეს კლინიკა აგერ, ჩემი სახლიდან ორ ნაბიჯშია? სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი ნაირგვარ მიზეზს უსახელებს — თქვენს სახლთან ახლოს მდებარე კლინიკაში ადგილები არ არის... არ ჰყავთ იმ პროფილის ექიმი, რომელიც თქვენ გჭირდებათ... არა აქვთ შესაბამისი სამედიცინო აპარატურა... კიდევ რაღაცებს მიედ-მოედებიან და ავადმყოფი, რომლის სახლის სიახლოვესაც ერთი ან რამდენიმე კლინიკა ფუნქციონირებს, სადღაც გადასაკარგავში, ათეულობით კილომეტრის იქით მდებარე საავადმყოფოში მიჰყავთ.

როგორც **სუს**-ში აცხადებენ, ეს კორუფციული სქემა 2020 წლის იანვრიდან 2023 წლის ივლისამდე მოქმედებდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კი საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ცვლის უფროსის მოადგილემ და ჰოსპიტალიზაციის მენეჯერმა სააქციო საზოგადოება „ვიანისადმი" დაქვემდებარებული კლინიკებისაგან ქრთამის სახით **532 126 ლარი** მიიღეს.

**ნახევარ მილიონ ლარზე მეტი სამი წლის განმავლობაში!** — ღმერთმანი, კარგი ფულია, მითუმეტეს, თუ მხოლოდ სამ კაცში ნაწილდებოდა, მაგრამ საკითხავი სწორედ ეს არის:

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც პაციენტებს კორუფციულად შერჩეულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ!

**ამხელა კორუფციულ სქემას მხოლოდ**






**კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის წარმომადგენელთა მოქრთამვა?**

ამ კითხვებზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გამყარებული პასუხები გამოძიებამ უნდა გასცეს და, ალბათ, გასცემს კიდეც, ჩვენ კი მცირე ჟურნალისტური მოკვლევა ჩავატარეთ და საჯარო რეესტრის მონაცემები შევისწავლეთ, რათა გაგვეგო, რას წარმოადგენს **სააქციო საზოგადოება „ვიანი",** რომლის წარმომადგენლებიც, გამოძიების მასალების თანახმად, დიდძალ ქრთამს იხდიდნენ, რათა სასწრაფო დახმარების ბრიგადას პაციენტები მათ კლინიკებში მიეყვანა.

უნდა ვთქვათ, რომ „ვიანის" უკან თუ მის სათავეებთან საკმაოდ საინტერესო და ცნობილი ხალხი აღმოვაჩინეთ.

**კერძოდ, საჯარო რეესტრის მონაცემთა თანახმად, სააქციო საზოგადოება „ვიანის" სამეთვალყურეო საბჭოს**

## მექრთამეებისათვის თავისუფლებისა და ქრთამისუფლების აღკვეთა ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯანდაცვის სისტემაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლავთ!

### კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის" ერთ-ერთი ლიდერი*



მარტო რომ ვიყო, **5 პროცენტის დაძლევა არ გამიჭირდება.** ისიც კარგად ვიცი, რა შემიძლია მე და რა არ შეუძლია **მელიას,** ეს მანაც იცის. ასე რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, **ნიკაზე მე უფრო დიდი ვარ, რადგან პოლიტიკა მე უფრო დიდი ხანია, დავიწყე,** ვიდრე მან. **მელია** რა საჯარო თანამდებობაზე ყოფილა, ჩემზე უკეთ არავინ იცის, რადგან **პირველად მე დავნიშნე.**

„რეზონანსი"

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ძალიან ვშიშობ, რომ თუ ასე გაგრძელდა, **პატარა პარტიები 5-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენ,** ამიტომ „ნაციონალურ მოძრაობას — გამარჯვების პლატფორმას" მოუწევს ერთპიროვნულად გამარჯვება.

„ინტერპრესნიუსი"

**ია მეტრეველი**
*ბუტა რობაქიძის დედა*



**გვარამია** და ვიღაცები რომ გვევლინებიან და პარტიებს ქმნიან, მინდა მათ ვუთხრა — **რაც არ უნდა ეცადონ, რაც არ უნდა დაჯგუფდნენ, ცალკე პარტიები შექმნან, არაფერი გამოუვათ!** დამთავრდა, ერთხელ მოხდა ეს ჯოჯოხეთი ჩვენს ქვეყანაში. მსგავსი ჯოჯოხეთი და ბოროტება, **მსგავსი ფაშიზმი — 21-ე საუკუნეში, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ერქვა,** არ ყოფილა.

„TV იმედი"

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



არ მითხრათ, **ნიკა გვარამია „ახალს"** წარმოადგენსო, ყველამ ვიცით, რომ **გაქანებული ნაციონალია,** ჰოდა, ამ გნებავთ **„ახალს"** და გნებავთ ძველს, **სტრასბურგის სასამართლომ ცელი გამოუსვა და მისი საჩელი განხილვაშიც არ მიიღო.**

„იმედინიუსი"

ვიან

ევექსი ჰოსპიტლები




ირაკლი გილაური, ნიკოლოზ გამყრელიძე

**წევრი გახლავთ სააკაშვილის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ძმა ირაკლი გილაური,** რომელიც 2006-დან 2015 წლამდე „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი იყო, 2015-დან 2018 წლამდე იმავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტს იკავებდა, ხოლო 2018 წლიდან საინვესტიციო კომპანია „საქართველოს კაპიტალის" გენერალური დირექტორი გახდა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო კომპანია **„საქართველოს კაპიტალი" და „საქართველოს ბანკი"** ერთი მსხვილი საბანკო-საინვესტიციო ჰოლდინგის — **„ბიჯეოს"** შემადგენლობაში შედიან.

„საქართველოს კაპიტალში" გენერალური დირექტორის — **ირაკლი გილაურის** მოადგილე გახლდათ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის **ამირან გამყრელიძის ვაჟი ნიკოლოზ გამყრელიძე,** რომელიც იმავდროულად „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" გენერალური დირექტორიც იყო. სწორედ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში" შედის სამედიცინო კორპორაცია „ევექსი", რომლის სახელიც სუს-ის მიერ გამოვლენილ კორუფციულ სქემაში ფიგურირებს. უფრო ზუსტად, **სააქციო საზოგადოება „ვიანი",** რომლის წარმომადგენლებიც საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამი თანამშრომლისათვის დიდი ოდენობით ქრთამის მიცემაში არიან მხილებული, სწორედ სამედიცინო კორპორაცია **„ევექსის"** რებრენდინგის პროდუქტია.

მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელი **„ვიანი"** გუშინდელი **„ევექსია",** რასაც „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" მიერ 2023 წლის 18 ივლისს გავრცელებული ოფიციალური განცხადება მოწმობს:

> ***„ცნობადობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განხორციელდა რებრენდინგი, რის შედეგადაც „ევექსი ჰოსპიტლები" ახალი ბრენდის — „ვიანის" სახელით განაგრძობს ოპერირებას... „ვიანი" სრულიად განსხვავებული ვიზუალური იდენტობით, მისია-ღირებულებებითა და განახლებული სტრატეგიით წარდგება საზოგადოების წინაშე, „ევექსი კლინიკები" კი „ევექსის" ბრენდით გააგრძელებს პოზიციონირებას".***

სააქციო საზოგადოება „ვიანთან", რომელიც სუს-ის მიერ გამოვლენილ კორუფციულ სქემაში ფიგურირებს, კიდევ ერთი საინტერესო პერსონა გახლავთ დაკავშირებული — სააკაშვილის რეჟიმის დროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) უფროსის, ამჟამად საქართველოდან გაქცეული და ძებნილი **ერეკლე კოდუას დედა, ცნობილი ბიზნესვუმენი ლაურა ლაჭავა.** საჯარო რეესტრის მონაცემებით, ლაჭავა და სააქციო საზოგადოება „ვიანი" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავკასიის მედიცინის ცენტრის" პარტნიორები არიან.

**ვნახოთ, რა მასშტაბებზე გავა გამოძიება და ჯანდაცვის სისტემაში გამოვლენილ კორუფციულ სქემაში ამოტივტივდება თუ არა უფრო მსხვილი ფიგურების გვარ-სახელები...** თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს და ვინც არ უნდა მოჰყვეს სუს-ის მიერ ჯანდაცვის სისტემაში გადაგდებულ ანტიკორუფციულ ბადეში, ერთი რამ აუცილებელია —

## კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც საკუთარი ჯიბის უკანონოდ გასქელებას ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ხარჯზე ცდილობს!

მექრთამეებისათვის თავისუფლებისა და ქრთამისუფლების აღკვეთა ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯანდაცვის სისტემაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლავთ!

**დიახ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, თანაც გადატანითი კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით!**

*ჯაბა ხუბუა*

# კიდევ ვინ მოჰყვება სუს-ის მიერ ჯანდაცვის სისტემაში გადაგდებულ ანტიკორუფციულ ბადეში?



*— „საქართველოში მტკიცების სტანდარტი ბოლომდე მოშლილია და ამისი თვალსაჩინო ერთ-ერთი მაგალითია სასამართლო ექსპერტიზა, რის შედეგადაც, უბრალო მოქალაქეს ძალზე ცოტა შანსი რჩება, საკუთარი სიმართლე ბოლომდე გაიტანოს!"* ***— ამ სიტყვებით განაგრძო „ასავალ-დასავალის" წინა ნომერში დაწყებული ინტერვიუ უფლებადამცველმა და ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა:***




# ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნებს ხშირად ბრალდების მხარის სასარგებლოდ აყალბებს!

— საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ლევან სამხარაულის სახელს ატარებს, რომელიც ნაცების რეჟიმის დროს ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, თუმცა, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მისივე ახლობელმა მოკლა. **ალბათ, სიმბოლურია, რომ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ არამხოლოდ სამხარაულის მკვლელობის, არამედ, სამხარაულის მკვლელის სიკვდილის გარემოებაც გააყალბა და თვითმკვლელობად გამოაცხადა.** თურმე, ლევან სამხარაულის მკვლელობის შემდეგ მკვლელმა თავი მოიკლა, მაგრამ პარადოქსია, რომ ორი ჭრილობიდან, რომელიც თვითმკვლელმა საკუთარ სხეულს მიაყენა — ორივე სასიკვდილო იყო! **ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მიხედვით, ისე გამოვიდა, რომ კაცმა თავი მოიკლა და სიკვდილის შემდეგ საკონტროლო გასროლაც თავად შეასრულა!** მოხდა კიდევ ერთი პარადოქსი — ჩაატარეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა და, თუმცა, არანაირი დოკუმენტური, ფაქტობრივი მასალა არ არსებობდა, ბიურომ გამოაცხო დასკვნა, **თითქოს მკვლელი ფსიქიკურად იყო დაავადებული.** ასეთ დასკვნას საფუძვლად მხოლოდ უბის წიგნაკში ჩანაწერი დაუდეს, რაც, თურმე, გარდაცვლილ მხცოვან პროფესორს ეკუთვნოდა. არადა, მართლაც ფსიქიკურად შეურაცხად პირებს ხშირ შემთხვევაში ექსპერტიზის ბიურო არ უფიქსირებს რეალურ მდგომარეობას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი სამკურნალო დაწესებულების ნაცვლად, ციხეებში გაამწესონ!

**— ისტორია, რომელიც გაიხსენეთ, სააკაშვილის რეჟიმის დროს მოხდა. ამჟამად რა მდგომარეობაა?**

— ტრადიცია მას შემდეგ არ შეცვლილა, თუნდაც გვამების ექსპერტიზა — ხშირ შემთხვევაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ხოლო ბიუროში დასაქმებული ადამიანები არცთუ სახარბიელო კომპეტენციით გამოირჩევიან! ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე, სამხარაულის ეროვნული ბიუროს დასკვნები ყოველთვის მიკერძოებულია გამოძიების სასარგებლოდ.

**— ექსპერტიზის ეროვნული ბიურო რა შემთხვევაში იწყებს კვლევას?**

— თუ გამოძიება მიმართავს, ხოლო სამოქალაქო დავების დროს — თუ სასამართლო ან

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*




# „სიმართლის დადგენა მხოლოდ კერძო საექსპერტო ბიუროშია შესაძლებელი!"





**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

**გვარამიაზე** არ ვისაუბრებ, **მას პოლიტიკოსადაც ვერ აღვიქვამ,** აი, **მელია** კი, ქართულ პოლიტიკაში **ერთგვარად უნიკალური მოვლენაა.**

„ალია"



**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების" გენერალური მდივანი*

**მელია** მარტო რომ გასულიყო, **შუაშისტურ ხმებს** ის უფრო აიღებდა. **გვარამია** აღიზიანებს შუაშისტურ ნაწილს. **ვერანაირ რესურსს ვერ ვხედავ, რომ 5 პროცენტი გადალახონ.** ვერც **ხაზარაძე** გადალახავს 5 პროცენტს. ეს **გახარია** კიდევ საერთოდ სად არის? თვითონ ვერ ჩამოყალიბებულა ეს ადამიანი, რა უნდა. **ეს ხალხი ან თვითგანადგურებაზეა აწყობილი, ან ყველა ნაყიდი ჰყავს ბიძინას.**

„ახალი თაობა"



**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*

რომელია ამათგან სამეფო გვარის წარმომადგენელი — **მელია, გვარამია, ხაზეიშვილი** თუ **ვაშაძე?! ქართველი მეფეები სამშობლოსთვის თავს სწირავდნენ.** ისტორიულ გმირებთან მათი შედარება როგორ შეიძლება, **ესენი ჩვეულებრივი თაღლითები არიან.**

„საერთო გაზეთი"



**ლევან მურუსიძე**
*სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი*

**მე ვარ კეთილსინდისიერი მოსამართლე,** მაგრამ ამის შემოწმებას არ აპირებენ, წინასწარ გამოიტანეს განაჩენი, **ქმნიან ნოყიერ ნიადაგს მოსამართლეთა გასაყრელად.**

„საქართველოს რესპუბლიკა"



**გიორგი მიქაუტაძე**
*უზენაესი სასამართლოს მოსამართლე*

ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია **მოსამართლის შემოწმების** ნებისმიერი მოდელი.

„რეზონანსი"

## „გამოძიებას და სასამართლოს არ სჭირდება ობიექტური სიმართლე!“



## ირაკლი ზაქარეიშვილი:

# ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც სააკაშვილს ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ჩაუტარეს, პირდაპირ ამერიკელების დაკვეთის შესაბამისად დაიწერა!

*დასაწყისი მე-11 გვერდზე*

მხარეები მიმართავენ. ასევე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა ნებისმიერ, მისთვის საინტერესო საკითხზე. ექსპერტი სპეციალური ცოდნის მქონე პირია. ამასთან, ბიურომ შეიძლება ნებისმიერი სპეციალობის ადამიანი მოიწვიოს ექსპერტად თავისი პროფილით. გამოძიებაში ექსპერტიზის დანიშვნის უფლება აქვს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარესაც. ოღონდ, თუ რომელიმე მხარე ალტერნატიულ ექსპერტიზას დანიშნავს, სამხარაულის ეროვნული ბიურო უმეტესად, გამოძიების ინტერესებს უსადაგებს ხოლმე დასკვნებს. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანმა ექსპერტიზის ჩატარება სამხარაულის ბიუროში კი არა, სადმე სხვაგან, ვთქვათ, **ალექსანდრე გეჯაძის საექსპერტო ბიურო „ვექტორში“ დაუკვეთოს**, რომელსაც, სამედიცინოს გარდა, უამრავი სხვა მიმართულება გააჩნია. გამოძიება და ხშირ შემთხვევაში სასამართლოც — კერძო ბიუროების დასკვნებს არ იზიარებენ ხოლმე და უპირატესობას სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებს ანიჭებენ, თუნდაც ეს დასკვნები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდეს. ეს ერთიანი მანკიერი წრეა, საიდანაც მანკიერი მართლმსაჯულება ვრცელდება! ექსპერტიზა მხოლოდ სხეულის დაზიანების ან სიკვდილის მიზეზების დადგენას არ ეხება, არამედ ნებისმიერ თემას, ვთქვათ, შენობის ვარგისიანობას. სამწუხაროდ, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნებში თითქმის ყოველთვის მიკერძოებულია. **გამოძიებას და სასამართლოს არ სჭირდება ობიექტური სიმართლე!**

**— მაშ, ადვოკატები რატომ მიმართავთ კერძო ბიუროებს, თუ მათ დასკვნას სასამართლო აიგნორებს?**

— სხვა გზა არ გვაქვს! **სიმართლის დადგენა მხოლოდ კერძო საექსპერტო ბიუროშია შესაძლებელი!** საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელი კერძო ბიუროა და იქაურ ექსპერტებს დასკვნის გაყალბების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ემუქრებათ. ამიტომ, სამხარაულის ექსპერტებისგან განსხვავებით, სიმართლეს წერენ დასკვნებში! მაგრამ კანონში მოცემულია, რომ არცერთ დასკვნას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია, ვიდრე მის შეფასებას სასამართლო მოახდენს. არადა, **როცა სასამართლოს წინ უდევს სამხარაულის და კერძო ბიუროს ერთმანეთისგან განსხვავებული დასკვნები, ახერხებს, საიდანაც სურს, კუდი იქიდან გამოაბას, რათა სამხარაულის დასკვნას უპირატესობა მიეცეს.**

დასაბუთების ტექნიკას კი ამერიკელები იუსტიციის საბჭოში ასწავლიან. იუსტიციის საბჭოს სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხომ ოფიციალურად ფინანსდება უცხოური ფონდებიდან. იუსტიციის საბჭოს საიტზე თუ შეხვალთ, იქ დაუფარავად არის მოცემული ინფორმაცია ამერიკელი და ევროპელი დამფინანსებლების შესახებ. ცხადია, ამ დაფინანსებას თან ახლავს არაფორმალური ვალდებულებები, რომელთა მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს მართლმსაჯულება **მართვად მდგომარეობაში** იყოლიონ.

**— კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეგვიძლია?**

— მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც სააკაშვილს ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ჩაუტარეს, პირდაპირ ამერიკელების დაკვეთის შესაბამისად დაიწერა! როგორც შემდეგ გაირკვა, ამ დასკვნების დიდი ნაწილი საერთოდ გაყალბებულია, მაგრამ ამის გამო ექსპერტების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა! არადა, მარტივად შეიძლებოდა, გამოძიების ინტერესის საგანი გამხდარიყო ყალბი დასკვნების ავტორთა გამოვლენა და მათი პასუხისგებაში მიცემა. ეს საქმე არც ამჟამად არის დაგვიანებული, თუმცა, სახელმწიფო და მართლმსაჯულება საამისოდ თავს არ იწუხებს! აშკარაა, რომ **ყალბი დასკვნების დამკვეთთა ინტერესშია, სააკაშვილი დიდხანს დარჩეს „ვივამედის“ კურორტზე და იქიდან პოლიტიკური განცხადებები აკეთოს!**

**— თქვენი აზრით, სააკაშვილი ფსიქიკურად შეურაცხადია თუ ჯანმრთელი?**

— ამერიკელები თავიანთი ინტერესების გასატარებლად ყველგან და ყოველთვის ფსონს **ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პირებზე** დებენ. საქართველოში არამხოლოდ სააკაშვილი შეირჩა ამ პრინციპით ამა თუ იმ თანამდებობებზე დასანიშნად. **ანალოგიურად იქცევიან სხვა მარიონეტ ქვეყნებშიც, თუნდაც ლათინურ ამერიკასა და უკრაინაში.** ასეთი ლიდერებით მანიპულირება და მათი მართვა, თუნდაც მათი დაშინება — ძალიან ადვილია. ზოგადად, შერაცხადობის თუ შეურაცხადობის განსაზღვრა ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხია. პასუხს ვერ მოსთხოვთ ადამიანს, რომელიც ვერ ხვდება, რას სჩადის, რადგან ასეთი ფსიქიკურად დაავადებულად ითვლება. პასუხი მოეთხოვება ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს, რომელსაც თავისი მოქმედების მიზანი და მნიშვნელობა შეგნებული აქვს. **ჩემი აზრით, სააკაშვილი ფსიქიკურად არასტაბილურია, მაგრამ მისთვის პასუხის მოთხოვნა შესაძლებელია!**

**— როგორ გავარკვიოთ სიმართლე — ექსპრემიერი ზურაბ ჟვანია გაზით გაიგუდა თუ მოკლეს?**

— რაც დრო გადის, სიმართლის გარკვევა ძნელია. ჩვენს ხელისუფლებას ჰქონდა სიმართლის დადგენის მცდელობა, თუმცა, იქაც ამერიკელები ჩაერივნენ და მცდელობა ჩაშალეს. **რეალურად, ზურა ჟვანიაც და იუსუპოვიც მოკლეს, ხოლო შემდეგ ამ მკვლელობის მისაჩქმალად დადგეს სცენა, რომელიც სიკვდილის მომენტისთვის არის შეთხზული და არ ასახავს სიკვდილის რეალურ გარემოებას.** არც იმას ვამტკიცებ, რომ მსგავსი ურთიერთობა, რაც სცენაშია ასახული — არასოდეს ჰქონიათ! მაქვს მყარი ვარაუდი, რომ ცხედრები აღნიშნულ მისამართზე მიიტანეს და ასეთი დეკორაციის შექმნით, ასევე სიკვდილის გამომწვევი ნამდვილი მიზეზის გაყალბებით მორიგი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს! ამას სხვა დანაშაულთა ჯაჭვი მოჰყვა — **აღნიშნული საქმის გაყალბებას წააქლეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ლევან სამხარაული,** რომელიც პატიოსანი ახალგაზრდა იყო და გაყალბების მოთხოვნის გამო პროტესტი ჰქონდა. მე თუ მკითხავთ, **სამხარაული ლიკვიდაციისთვის ჯერ კიდევ მაშინ გაიმეტეს, როცა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელად დანიშნეს, რადგან ჟვანიას ლიკვიდაციაც წინასწარ იყო დაგეგმილი!** სხვაგვარად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დანიშნეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელად გამოუცდელი, სპეციფიკური ცოდნის არმქონე ახალგაზრდა, რომელიც **ადეიშვილის გარემოცვიდან** წამოიყვანეს. ამ ინსტიტუტს, წესით, დარგის სპეციალისტმა, ამ საქმის ნიუანსების და სპეციფიკის მცოდნემ და ხანგრძლივი გამოცდილების მქონე მუშაკმა უნდა უხელმძღვანელოს.

ჟვანიას შემდეგ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სისხლის სამართლის ძალიან ბევრი საქმე გააყალბა. სააკაშვილის რეჟიმს ამ თანამდებობაზე ყველაფერზე ხელის მომწერი პირი სჭირდებოდა, მაგრამ სამხარაული პრობლემური აღმოჩნდა და გაანადგურეს. ერთია, როდესაც ექსპერტი დასკვნას შეგნებულად აყალბებს და მეორე, როდესაც გაყალბება არაკომპეტენტურობის შედეგად ხდება. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ორივე ხდება და სახელმწიფოსთვის, მართლმსაჯულებისთვის ორივე დიდი პრობლემაა!

**— გამოსავალი რაშია?**

— დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში მოხდეს პროფესიონალების დასაქმება, ასევე საექსპერტო გამოკვლევებზე მკაცრი კონტროლი დაწესდეს. რაც შეეხება უმთავრეს დილემას — ჩვენი მართლმსაჯულების ამერიკული სისტემის ტყვეობაში არსებობას — ამის გადაჭრა მარტივად ვერ მოხდება. **მართვის ამერიკულ სისტემას მთლიანად ჩვენი სახელმწიფო უნდა დაუძვრეს, შემდგომ კი ყველა დარგი გამოვგლიჯოთ!**






**„ყალბი დასკვნების დამკვეთთა ინტერესშია, სააკაშვილი დიდხანს დარჩეს „ვივამედის“ კურორტზე და იქიდან პოლიტიკური განცხადებები აკეთოს!“**

**„მართვის ამერიკულ სისტემას მთლიანად ჩვენი სახელმწიფო უნდა დაუძვრეს!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# დეგნანი ერატებს სტრასბურგმაც ამხილა!

***სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და წარმოებაში არ მიიღო ნიკა გვარამიას სარჩელი, რომლითაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ყოფილი პროკურორი და ნაცზონდერმედიის ყოფილი უსტაბაში ქართული სასამართლოს მიერ მისჯილ პატიმრობას ასაჩივრებდა.***



**ევროპულმა სასამართლომ გვარამიას სარჩელი არ მიიღო!**

სტრასბურგის სასამართლოში **გვარამიას სარჩელის** უარყოფა პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძის** მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც გვარამია სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნა ცნობილი და 3,5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა, აბსოლუტურად კანონიერი, სამართლიანი და ობიექტური იყო.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის არმიღება** პირდაპირ ნიშნავს იმასაც, რომ ურცხვად ცრუობდა, დემაგოგობდა, ინტრიგნობდა და პროვოკატორობდა ყველა, ვინც გვარამიას დაპატიმრებას პოლიტიკურ დევნად და ოპოზიციური მედიის ხელმძღვანელის მიმართ სახელისუფლო რეპრესიად აფასებდა.

თუ უფრო დავაკონკრეტებთ, **სტრასბურგის სასამართლოს მიერ გვარამიას სარჩელის დაუშვებლად ცნობა იმას ნიშნავს, რომ ბინძური პროვოკატორი და სრული პოლიტიკური დეგნანერატია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი კელი დეგნანი,** რომელმაც გვარამიასათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გამო **მოსამართლე ჩხიკვაძეს** ჯერ „ბნელ ოთახში" გაურჩია საქმე, შემდეგ კი არაოფიციალური სანქცია დაუწესა და ამერიკაში ტრენინგზე წასასვლელი მოსამართლეების სიიდან ამოშალა.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის არმიღება** კიდევ ერთი და თანაც, ძალიან ავტორიტეტიანი დასტურია, რომ აშშ-ის ყოფილი **ელჩი კელი დეგნანი** დიპლომატის კი არა, გენერალ-გუბერნატორის ფუნქციას ასრულებდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფითა და შეურაცხყოფით იყო დაკავებული.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის არმიღების** კვალდაკვალ, აშშ-ის ყოფილმა **ელჩმა კელი დეგნანმა,** წესით, თავზე ნაცარი უნდა დაიყაროს და არამხოლოდ **მოსამართლე ჩხიკვაძეს,** არამედ ქართველ საზოგადოებასაც საჯაროდ მოუბოდიშოს, მაგრამ **დეგნანი** ამას არ გააკეთებს, რადგან ბინძური პროვოკატორი და **პოლიტიკური დეგნანერატია.**

## ისე, ქართული ანდაზა – ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა

## შვილიშვილს მოსჭრა კბილიო – ამერიკულ ცნობიერებასა და მენტალიტეტსაც რომ მიესადაგებოდეს, დეგნანის დეგნანერატობისა და პროვოკატორობის გამო მის შემცვლელ რობინ დანიგანს შერცხვებოდა.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის უარყოფამ** პროვოკატორობასა და დეგნანერატობაში არამხოლოდ **კელი დეგნანი,** არამედ ნაცმიდრეკილი ევროპარლამენტარებიც ამხილა — **კუბილიუსები, ფოტიგები, ფონ კრამონები** და მათი მსგავსნი, რომლებიც გვარამიას „პოლიტპატიმრობის" შესახებ რეზოლუციას რეზოლუციაზე აცხობდნენ.

ცხადია, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშს არც ეს **დეგნანერატი ევროდეპუტატები** მოიხდიან და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, თავიანთ პროვოკაციულ მოქმედებებს გააგრძელებენ.

თუმცა, თავი დავანებოთ ამერიკელ და ევროპელ **დეგნანერატებს** და მივხედოთ ქართველებს... ყოველ შემთხვევაში, ნომინალურ ქართველებს, როგორიც არის, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც მისი **„რეზიდენტ ყ...ქალად" გამომცხადებელი გვარამია** შეიწყალა. არადა, სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის არმიღება** კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ **სალომე ზურაბიშვილმა** გვარამიას სახით ციხიდან „პოლიტიკური პატიმარი" კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავე გამოუშვა, მაგრამ საქართველოს **პრეზიდენტად წოდებული პროვოკატორი** ამის გამო არავითარ უხერხულობასა და სინდისის ქენჯნას არ იგრძნობს, რადგან ისიც პოლიტიკურ დეგნანერატთა კლასის წარმომადგენელია.

ისიც სათქმელია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ **გვარამიას სარჩელის არმიღება** მთელ ნაცსექტასა და მათ უცხოელ პატრონებს ძალიან ცუდ დროსა და ვითარებაში დაატყდათ თავს... წარმოიდგინეთ, ე.წ. ვეტინგთან დაკავშირებით უზარმაზარი კამპანია აქვთ გაშლილი, ანუ ითხოვენ — ქართველი მოსამართლეების კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი და თანამდებობასთან შესაფერისობა უცხოელმა სპეციალისტებმა შეამოწმონო, ზუსტად ამ დროს კი ცნობილი ხდება, რომ ყველაზე ავტორიტეტიანმა ევროპულმა ინსტიტუციამ — სტრასბურგის სასამართლომ — ქართველი მოსამართლის მიერ გვარამიასათვის გამოტანილ განაჩენში ვერანაირი ხარვეზი ვერ იპოვა!




**აშშ-ის ყოფილმა ელჩმა კელი დეგნანმა, წესით, თავზე ნაცარი უნდა დაიყაროს და არამხოლოდ მოსამართლე ჩხიკვაძეს, არამედ ქართველ საზოგადოებასაც საჯაროდ მოუბოდიშოს!**




## პოდა, რა უნდა ქნან ახლა ნაცსექტამ, მასზე მიბმულმა არასამთავრობოებმა და მათმა უცხოელმა პატრონებმა? ვფიქრობთ, ისღა დარჩენიათ, საქართველოში ვერშემდგარი „ვეტინგი" თუ ვეტინგიცობა ევროპაში გააგრძელონ და სტრასბურგის მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმება მოითხოვონ!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **სტრასბურგის სასამართლოს მიერ გვარამიას სარჩელის არმიღებამ** ბევრ რამესთან ერთად ისიც ცხადყო, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ აგორებული ე.წ. **ვეტინგის კამპანია** ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული მორიგი პროვოკაციაა და **პოლიტიკური დეგნანერატობაა,** რომლის რეალური მიზანი ქართული მართლმსაჯულების გაკეთილშობილება კი არა, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად საჭირო ბერკეტების დაუფლება გახლავთ.

მოკლედ, სტრასბურგის სასამართლოს ერთმა გადაწყვეტილებამ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი **დეგნანერატების მთელი კასტა** ერთი ხელის მოსმით ამხილა, ხოლო ძველი ნაცი და პარტია „ახალის" დამფუძნებელი **ნიკა გვარამია,** რომელიც ახლა იმუქრება — ევროპული სასამართლოს მიერ უარყოფილ სარჩელს გაეროში წავიღებო, იმ ძაღლის დღეში ჩააგდო, შინ რომ არ ვარგა და სანადიროდ გარბის.

**თუმცა, გვარამიასათვის, რომელიც ძაღლების მეტისმეტ სიყვარულს ამჟღავნებს, ეს ამპლუა მშობლიურად ზედგამოჭრილია!**

**ჟაბა ხუბუა**

**სტრასბურგის სასამართლოს მიერ გვარამიას სარჩელის არმიღება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სალომე ზურაბიშვილმა გვარამიას სახით ციხიდან „პოლიტიკური პატიმარი" კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავე გამოუშვა!**

***იმ ოთხი ტაჯიკის მსგავსად, ლაზარე გრიგორიადისს ხელში ავტომატი რომ სჭეროდა, იმაზე მეტ ხალხს დახოცავდა, ვიდრე მოსკოვში ტერორისტებმა დახოცეს! ამ მართლაცდა გარეწარს, რისი საშუალებაც ჰქონდა, იმით სცადა ადამიანების ცოცხლად დაწვა-განადგურება, ამიტომ კანონი მის მიმართ ულმობელი უნდა იყოს!***

# ტაჯიკი ტერორისტები მოსკოვში ტყვიებით კლავდნენ, ხოლო ტერორისტი ლაზარე თბილისში ცოცხლად წვავდა!








## ლაზარე გრიგორიადისი ისეთივე ტერორისტია, როგორც ის ოთხი ტაჯიკი, რომლებმაც მოსკოვში სასაკლაო მოაწყვეს და 144 ადამიანი გაჟუჟეს!

როგორც ცნობილია, 2024 წლის 22 მარტს მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „კროკუს სითი ჰოლში“, ტერორისტებმა მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმა განახორციელეს და 143 ადამიანი „კალაშნიკოვის“ ავტომატებით დახვრიტეს. დახოცილთა შორის არიან ბავშვებიც და ქალებიც.

რუსეთის სპეცსამსახურებმა კარგა ხანია, შეიპყრეს ოთხი ნასყიდი ტერორისტი, რომლებმაც საშინელი დანაშაული აღიარეს. მათ გარდა დაპატიმრებულია 11 ადამიანი, რომლებიც ტერორისტებს ეხმარებოდნენ.

ამჟამად მოქმედი რუსული კანონმდებლობით, ტერორისტებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ, თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამუდამოდ არცერთ მათგანს არ მოუწევს რუსულ ციხე-კოლონიებში ცხოვრება. როგორც ევგენი პრიგოჟინი გაუშვეს რუსებმა მარილზე, სწორედ ისე გამოუყვანენ წირვას ამ ოთხ ჯალათს. აკი, ერთ-ერთ მათგანს ყური შეპყრობისთანავე აათალეს და პირში ჩატენეს. დიახ-დიახ, ამ არარაობების ბოლო წამებით სიკვდილია, რაც რუსული ციხისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

მოკლედ, ჩვენ წინაშეა ოთხი ტაჯიკი ტერორისტი, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები დახოცეს, აწამეს და უამრავი ბედნიერი ოჯახი გაწირეს. ამ ტერორისტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან თითს უქნევენ და მათ საქციელს გმობენ. სამაგიეროდ, სულ სხვა ვითარებაა საქართველოში, სადაც ევროპიდან და ამერიკიდან ქართველი ხალხის მოსაღორებლად მოვლინებული რევიზორები ტერორისტებს იცავენ და მათ მიმართ გასაოცარ გულმოწყალებასა და სიმპათიებს ამჟღავნებენ! უფრო მეტიც, **საქართველოზე მომაგრებული ევროპელი და ამერიკელი ჭკუის მასწავლებლები ჩვენს ქვეყანაში ტერორისტებს პრესკონფერენციებს უძღვნიან და მათ ამაზრზენ სიფათებს მაისურებზეც კი იხატავენ, რითიც გარკვევით გვეუბნებიან, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედი ევროპასა და ამერიკას, უკაცრაული პასუხია და, მართლაცდა ერთ ადგილზე ახატია!**

ვიდრე მოსკოვში ეს უბედურება დატრიალდებოდა, დაახლოებით ერთი წლით ადრე, 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი აქციების ღამეს, თუ გვარი არ გვეშლება, ვინმე **ლაზარე ბექას ძე გრიგორიადისმა** პარლამენტთან პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლა და მერე ავტომანქანა დაწვა. გაჩენილი ხანძრის შედეგად რამდენიმე პოლიციელს ცეცხლი წაეკიდა და რომ არა სპეცმანქანიდან გამოტყორცნილი წყლის ჭავლი, ღმერთმა უწყის, რამდენი ადამიანი დაიწვებოდა შუა თბილისში.

საქართველოს ახსოვს გია აბესაძე — ახალგაზრდა ქართველი ექიმი, რომელმაც რუსთაველზე პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა, რათა ქართველთა შორის ჩამოვარდნილი დაპირისპირება და მტრობა როგორმე შეეჩერებინა. მან სიკვდილის წინ თავის შვილს წერილი დაუწერა და პატიება სთხოვა — ღმერთმა ქნას, ამ ქარ-ცეცხლსა და უბედურებაში დაე, ბოლო მე ვიყო, იქნებ ჩემმა სიკვდილმა საქართველო გამოაფხიზლოსო! ამის შემდეგ აბესაძემ ბოთლში ჩასხმული ბენზინი გადაისხა და ასანთს გაჰკრა.

დრომ დაადასტურა, რომ ქართულად მეტყველმა მანქურთებმა გია აბესაძის საშინელი პროტესტის მიუხედავად, მაინც ვერაფერი ისწავლეს. ახალგაზრდა ქართველი კარდიოლოგის მიერ გაღებული მსხვერპლი არ აღმოჩნდა ის ბარიერი, რომელმაც ვინმეს გონების თვალი აუხილა და სინდისი აუფორიაქა — **ქართველი მტარვალები კიდევ უფრო მეტი გამეტებით დაებდღვნენ საქართველოს და ქვეყნის დასანგრევად და გადასაბუგად არაფერი დაიშურეს.**

ლაზარე გრიგორიადისიც ბენზინით სავსე ბოთლებით მივიდა რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ იმისთვის არა, რომ თავი დაეწვა და პროტესტი გამოეხატა — აქაოდა, ქართველებო, ერთმანეთს ნუ მტრობთ და ქვეყანას ნუ ანგრევთო! — არა და არა! **იმ ავბედით ღამეს საკუთარ მამაზე ხელის ამწევი, საეჭვოდ მოხატული და კიდევ უფრო საეჭვოდ თვალებაჟუჟუნებული ლაზარე ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვას ცდილობდა!**

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: პოლიციის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში კარგად ჩანს — რაკი ამ ნაძირალამ ადამიანები ვერ დაწვა, ადგა და რუსთაველის პროსპექტზე პოლიციის ამოტრიალებულ ავტომანქანას ცეცხლი გაუჩინა.

კადრებში ისიც კარგად ჩანს, რომ იგი საქართველოს პარლამენტის ეზოშიც აპირებდა „მოლოტოვის კოქტეილის“ შეგდებას, მაგრამ რატომღაც ამის გაკეთება ვერ მოახერხა.

მოკლედ, **ლაზარე გრიგორიადისის** სახით, ჩვენ წინაშეა ნამდვილი, ჩამოყალიბებული ტერორისტი, რომელსაც არ მიეცა საშუალება, თორემ პარლამენტის შენობის დამცველებსა და ბარიკადის მეორე მხარეს მდგომ ნებისმიერ ადამიანს ფიზიკურად გაანადგურებდა და რუსთაველის პროსპექტზე იმდენ გვამს დატოვებდა, რამდენიც მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „კროკუს სითი ჰოლში“ ტაჯიკმა ტერორისტებმა დატოვეს!

ალბათ, ნებისმიერი ნორმალური ადამიანი დაგვეთანხმება — როცა კაცს ცეცხლწაკიდებულ ბოთლს ესვრი, ის, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გყავს გაწირული! ამდენად, გვარი თუ არ გვეშლება, **ლაზარე გრიგორიადისი** ისეთივე ტერორისტია, როგორც ის ოთხი ტაჯიკი, რომლებმაც მოსკოვში სასაკლაო მოაწყვეს და 144 ადამიანი გაჟუჟეს! აქედან გამომდინარე, საქართველოს გენერალურ პროკურატურას **ლაზარე გრიგორიადისის** წინააღმდეგ გამოძიება 353-ე და 187-ე მუხლებით კი არა, ტერორიზმის ბრალდებით უნდა დაეწყო! მითუმეტეს, სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებს ამის მიზეზი ჰქონდათ... საქმე ის გახლავთ, რომ გრიგორიადისმა, ვიდრე შუა რუსთაველზე პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილს“ ესროდა, საკუთარი მამა დაჭრა უკანალში.

სამწუხაროდ, **გრიგორიადისთან** ერთად არ დააპატიმრეს ის ორი ახალგაზრდა, რომლებიც 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი არეულობის დროს „მოლოტოვის კოქტეილებს“ ამზადებდნენ და მერე თავიანთ ამხანაგებს ბენზინით სავსე ბოთლებს აწვდიდნენ, რათა თბილისის ცენტრი და, რაც მთავარია, პარლამენტის წინ მყოფი ადამიანები ცეცხლში გამოებუგათ. იმ ორმა ახალგაზრდამ, რომლებიც გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანან და დარწმუნებული ვარ, მათი იდენტიფიკაცია არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, სწორედ ტერორისტი **ლაზარე გრიგორიადისის** ბედი უნდა გაიზიარონ და ციხის კედლები ძალიან დიდხანს ხეხონ!

**ტერორიზმის გამართლება და მხარდაჭერა ყველგან ისჯება — ამერიკაშიც, ევროპაშიც, ინდოეთშიც და იაპონიაშიც!** აქედან გამომდინარე, ქვეყანას რომ პატრონი ჰყავდეს და კანონი კანონობდეს, მაგალითად, **რომან გოცირიძე,** რომელმაც ტერორისტი **ლაზარე** პოლიტიკურ პატიმრად შერაცხა და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა, **„ტერორიზმის ხელშეწყობისა და იდეური მხარდაჭერის ბრალდებით“** კარგა ხნის გასამართლებული უნდა იყოს და სასჯელს საგანგებო დანიშნულების პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდეს. **რომან გოცირიძე — ეს მართლაცდა შევარდნაძე-სააკაშვილის გაერთიანებული ხროვის ულვაშიანი ქათამი, ერთხელ უკვე იდგა საქართველოს დამაქცევრებისა და ტერორისტების მხარეს, როცა მფრინავმა ჯიმი მაისურაძემ ბენზინით სავსე უზარმაზარი ცისტერნა ვერტმფრენს გამოაბა და შუა რუსთაველზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის თავზე ჩამოაგდო, რათა ეროვნული ხელისუფლება და სასახლის დამცველები ცეცხლში გამოებუგა!**

**ნინო ლომჯარია, ეკა ბიგაური, ელენე ხოშტარია და მთელი ნაცსექტაც** დღემდე ამართლებენ ტერორისტი ლაზარეს საქციელს და აცხადებენ, რომ მამის უკანალში დამჭრელი და პოლიციელების ცოცხლად დაწვაზე წამსვლელი არაკაცი უდანაშაულოა.

ხაზგასმით ვაცხადებთ და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **იმ ოთხი ტაჯიკის მსგავსად, ლაზარე გრიგორიადისს ხელში ავტომატი რომ სჭეროდა, იმაზე მეტ ხალხს დახოცავდა, ვიდრე მოსკოვში ტერორისტებმა დახოცეს!**

ტაჯიკი ტერორისტები მოსკოვში ტყვიებით კლავდნენ, ხოლო ტერორისტი ლაზარე თბილისში ცოცხლად წვავდა!

**რომელია მათ შორის უფრო ულმობელი და სისხლგაყინული?**

ამ შეკითხვას ფაშისტური ლუფტვაფეს რაიხსმარშლის **ჰერმან გიორინგის** სულიერი თანამეცხედრე **ვიოლა ფონ ბერინგი** ვერ უპასუხებს!

**ამ შეკითხვას საქართველოს სახელმწიფომ უნდა უპასუხოს!**

***დიტო ჩუბინიძე***

№19 (255) ★ 2024 წლის 1 აპრილი ★ გამოდის 2003 წლიდან

*2005 წლის 3 თებერვალს, დილით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან რამდენიმე საათში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ტელევიზიით უაპელაციოდ განაცხადა, რომ პრემიერი გარდაიცვალა გაზით მოწამვლის შედეგად, თუმცა, გაზი იმ უბანზე გამორთული იყო. მერაბიშვილმა და სააკაშვილის მთელმა გუნდმა, ასევე რამდენიმე ადამიანმა ჟვანიას გარემოცვიდან იცოდა სიმართლე, მაგრამ ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას, სააკაშვილის ნამოქმედარის გამოსასწორებლად აჟღერებდნენ სახელდახელოდ გამოგონილ ვერსიებს, ხოლო გვამს, მკვლელობის კვალის დაფარვის მიზნით, ჟანეს შპრიცითა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით უჩხიკინებდნენ. ჟვანიას ცხედრის „მოამაგენი“, რომელთა გასათეთრებლადაც „ქართულმა ოცნებამ“ საგანგებოდ იზრუნა, დღემდე იკავებენ სერიოზულ პოზიციებს სახელისუფლებო სტრუქტურებში, თუმცა, დანახვისას სწრაფი და საქმიანი ნაბიჯებით მშორდებიან.*

# ტერაქტი მოსკოვში – გაკვეთილები საქართველოსთვის












**პოლიტოლოგის თვალით ★**

## ვიყოთ ფხიზლად! ეშმაკს არ სძინავს!

ზუსტად ასევე 2024 წლის 22 მარტის საღამოს, „კროკუს სითი ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში მომხდარი ტერაქტიდან ორ საათში, აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა **ჯონ კირბიმ** უაპელაციოდ განაცხადა, რომ **ვაშინგტონი მომხდარში კიევის ხელს ვერ ხედავს.** ეს ნიშნავს, რომ თეთრ სახლს ჰქონდა ინფორმაცია უკრაინის სპეცსამსახურების მიერ რუსეთის დასაშინებლად მომზადებული ძალადობრივი აქტის შესახებ. **უფრო ადრე აშშ-ში აგრეთვე იცოდნენ, რომ საქართველოს არაადეკვატური პრეზიდენტი აუცილებლად შეუტევდა ცხინვალს, რასაც რუსეთის საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა, მაგრამ არ იცოდნენ — როდის!** სიტუაციაზე კონტროლის მიზნით, 2008 წლის 9 ივლისს, სახელმწიფო მდივანი **კონდოლიზა რაისი** თბილისში ჩამოფრინდა. ამიტომ სააკაშვილმა ომი 8 აგვისტომდე გადადო, რის გამოც რაისი 15 აგვისტოს კვლავ ეწვია თბილისს, რათა საქართველოს ხელისუფლების ნამოქმედარი შეძლებისდაგვარად გამოესწორებინა.

უფრო მეტიც, 2024 წლის 7 მარტს აშშ-ის საელჩომ გააფრთხილა რუსეთში მყოფი თანამემამულეები, რომ 48 საათის განმავლობაში არსებობდა ტერაქტების საფრთხე მოსკოვში, ხალხმრავალ ადგილებში, მათ შორის, საკონცერტო დარბაზებში. ამიტომ უკრაინის სპეცსამსახურებმა ტერაქტი 22 მარტისთვის გადადეს.

**ეს ნიშნავს, რომ ზელენსკი სააკაშვილის გზას გაჰყვა — მან გამოიყენა აშშ-ის დაშანტაჟების მეთოდები, რაზეც ერთმანეთში არაერთხელ უსაუბრიათ. „თუ ამერიკელებს მომხდარი ფაქტის წინაშე არ დააყენებ, არ აიძულებ, დახმარება გაგვიწიონ, არც გაინძრევიან! აგვისტოში ომი რომ არ დამეწყო, 5 მილიარდ დოლარს არ გამომიგზავნიდნენ!“,** — გაუზიარა **მიხეილ სააკაშვილმა** მდიდარი გამოცდილება უკრაინის ახლად გამოჩეკილ პრეზიდენტს. ამიტომ, **ზელენსკიმ** სააკაშვილი რეფორმების საკითხებში თავის მრჩევლად დანიშნა და აშშ-ში რეკვის ნება დართო — **უკრაინისთვის დოლარებისა და შეიარაღების გამოსაძალად.**

დღეს აშშ-ის მხრიდან არასაკმარისი დახმარებით უკმაყოფილო **ზელენსკიმ** (ბაიდენს დღითი დღე უფრო უჭირს კონგრესის დაყოლიება კიევისთვის ახალი ტრანშების გამოყოფაზე) გადაწყვიტა, რუსეთში ტერაქტებით დაეშანტაჟებინა ვაშინგტონი. ზელენსკის გათვლა მარტივია: **„ჩრდილოეთის ნაკადების“ და ყირიმის ხიდის აფეთქებების შემდეგ ტერაქტებში მაინც აშშ-ს დაადანაშაულებენ!**

თავდაპირველად იყო დრონების თავდასხმები რუსეთის ენერგოობიექტებზე, მაგრამ აშშ-მა საჯაროდ აუკრძალა კიევს რუსეთის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების, კასპიის მილსადენის კონსორციუმისა და სხვა ნავთობობიექტების დაბომბვა, რადგან ეს იწვევს ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდას.

**ყველა ვერსია — თითქოსდა, ოთხი მაჯლაჯუნა ტაჯიკეთიდან, რომლებიც მაიმუნთან უფრო ახლოს დგანან ევოლუციურ კიბეზე, ვიდრე ჰომოსაპიენსებთან, იყვნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები, კრიტიკას ვერ უძლებს.**

**დიახ, გარეგნულად ტიპურმა აზიელმა გასტარბაიტერმა მაწანწალებმა 10 წუთში დახოცეს და დაჭრეს ასობით ადამიანი და დაწვეს უზარმაზარი კომპლექსი, რაც მიუთითებს ტერაქტის სერიოზულ მომზადებაზე, მაგრამ ნუთუ მათ ეს ჩაიდინეს რამადანის ჟამს, ასე ვთქვათ, კაპიკების სანაცვლოდ, სულ რაღაც, 5500 დოლარად? და ცდილობდნენ წასვლას არა უკეთეს სამყაროში, არამედ უკრაინაში?** „ალაჰის მეომრები“ ასე არ იქცევიან!

დღეს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ასობით ათასი აზიელი მიგრანტია, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინის დაზვერვას აქვს ამოუწურავი რესურსი პოტენციური ტერორისტების მოსაძებნად. **„კალაშნიკოვის“ ავტომატი და „მოლოტოვის კოქტეილი“ იაფია, მაგრამ უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე „აბრამსები“, „ლეოპარდები“ და „ბრედლები“!** უბადრუკმა გარეწრებმა, რომლებიც ტელეეკრანიდანაც კი ყარდნენ, შეძლეს საზარელი დარტყმის მიყენება ბირთვული ზესახელმწიფოსთვის, რომელსაც აშშ-იც კი უფრთხის და რომლის დამარცხებასაც ვერ ახერხებენ ნატო და უკრაინა ერთად აღებული!

**ძალიან ამაღელვებელი იყო, როდესაც კოლეგებმა რუსეთიდან, მიუხედავად ტრაგედიისა, გამონახეს დრო დასარეკად, რათა მადლობა ეთქვათ საქართველოს მთავრობისთვის რუსი ხალხისადმი სამძიმრის გამოხატვისა და ტერაქტის დაგმობისთვის. ეს იყო პირველი ასეთი პრეცედენტი საქართველოს მხრიდან ბოლო 20 წლის განმავლობაში.**

თუმცა, ჩვენ გვყავს ნაძირალებიც, რომლებიც არ მალავენ სიხარულს მომხდარით — ეს ძირითადად ოპოზიციის — სააკაშვილის ექსმმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი საიდუმლო სატელიტების ელექტორატია, რაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს. ესენი არიან **ქართველი ნეონაცისტები,** რომლებსაც საქართველოში **ნაცებს** ეძახიან და რომლებიც ღიად ამბობენ: **„რუსეთი მტერია, ამიტომ რაც მეტი რუსი, მათ შორის, ქალები და ბავშვები დაიხოცებიან, მით უკეთესი!“** და ეს **ბოროტი ადამიანები** 7 თვის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებასა და საქართველოში ხელისუფლებაში დაბრუნებას იმედოვნებენ!

სამწუხაროდ, არავის ქართული ოპოზიციიდან და მასთან აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ან ლგბტ თემიდან არ გამოუთქვამს ოდნავი სინანულიც კი, **როცა უკრაინელი ნაცისტები გენერალურ რეპეტიციას გადიოდნენ ოდესის პროფკავშირების სასახლეში, სადაც ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს.** კლასიკური მოღალატეები და პარაზიტები იზრდებოდნენ არა ოჯახებში, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც უცხოეთის გავლენის აგენტებად ჩამოყალიბდნენ.

რა თქმა უნდა, საქართველოში ეთნიკური სიძულვილის გაღვივება ისეთივე სახიფათოა, როგორც რუსეთში, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას ორი სერიოზული პრეტენზია აქვს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისადმი: **კონსტიტუციაში სიკვდილით დასჯის აღდგენის აუცილებლობა გამონაკლისი შემთხვევებისთვის, როგორიცაა ტერორიზმი და მიგრაციის პოლიტიკის გადახედვა.**

ვფიქრობ, მოსკოვის მახლობლად მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა **დონალდ ტრამპის** ანტიმიგრაციული პოლიტიკა. არადა, **თბილისში „კროკუსზეს“ თავდამსხმელთა მსგავსი უამრავი გარეწარი ცხოვრობს, რომლებიც მცირე ქრთამის სანაცვლოდ მზად არიან, ჩაიდინონ ნებისმიერი სისაძაგლე, მითუმეტეს, როცა საქართველოში დასაქმება უჭირთ ავტოქტონურ განათლებულ მოქალაქეებსაც კი!**

ამავდროულად, საქართველოში მუშახელის კატასტროფული დეფიციტია, საბიუჯეტო ორგანიზაციებშიც კი, როგორიცაა დედაქალაქის მუნიციპალიტეტი, კონტრაქტით მუშაობენ დაბალკვალიფიციური მიგრანტები ინდოეთიდან, აფრიკიდან, ცენტრალური აზიიდან.

**არც შეერთებული შტატები და არც რუსეთი არ არიან დაცული ტერორიზმისგან, მითუმეტეს, დაუცველია ტერორისტებისგან საქართველო, რომლის ეროვნულ უსაფრთხოებას ყოველდღიურად ემუქრებიან პოლიტიკური ექსტრემისტები.**

**ვიყოთ ფხიზლად! ეშმაკს არ სძინავს!**

***არნო ხიდირბეგიშვილი,***
*საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*

# 125 წლის წინათ ★

**1899 წლის 29 მარტს** დაიბადა **ლავრენტი ბერია,** ხოლო ზუსტად ორი თვის შემდეგ, **1899 წლის 29 მაისს,** თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს **20 წლის იოსებ ჯუღა-შვილი.**



ლავრენტი ბერია ბავშვობაში



იოსებ ჯუღაშვილი



იოსებ ჯუღაშვილის გარიცხვა თბილისის სასულიერო სემინარიიდან (მხატვრული ილუსტრაცია)



ლევან დოლიძე

# რა იპოვეს იაკობ სვერდლოვის საიდუმლო სეიფში მისი სიკვდილიდან 16 წლის შემდეგ

***ქართული გენერალიტეტის მემატიანე, მწერალი და ჟურნალისტი ლევან დოლიძე იმ უმძიმეს და საშიშ პროცესებზე მოგვითხრობს, რომლებმაც 1942 წლის დასაწყისში „წითელ არმიაში“ იჩინა თავი და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს კინაღამ მუსრი გაავლო:***



იაკობ სვერდლოვი

— 1942 წლის დასაწყისში მოსკოვის მისადგომებთან გადახდილი საშინელი ბრძოლების შემდეგ, როცა უამრავი ადამიანის სიცოცხლის ფასად გერმანელებმა 120-150 კილომეტრით უკან დაიხიეს, აღმოჩნდა, რომ წითელ არმიაში გასაწვევი ახალგაზრდა მამაკაცების რაოდენობა საკმარისი აღარ იყო. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სტალინი იძულებული გახდა, ჯარში ქალებიც გაეწვია. ასეთი რამ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე არცერთ სხვა ქვეყანას არ გაუკეთებია. მთელი ომის განმავლობაში ფრონტზე დაახლოებით 800 ათასი ქალი გაიწვიეს. სუსტი სქესის წარმომადგენლებს, ძირითადად, კავშირგაბმულობაში, სასადილოებში, მედდებად, სანიტრებად და მზვერავებად ასაქმებდნენ. ქალები ასევე იყვნენ საზენიტო ნაწილებში და თვით საზღვაო ფლოტშიც კი. ლავრენტი ბერიამ მოსკოვთან, ე.წ. „ვედეენხას“ ტერიტორიაზე, დაიწყო ქალი სნაიპერების მომზადება, რომლებიც შემდგომში ფაშისტებს სიცოცხლეს უმწარებდნენ. წითელ არმიაში ამდენი ქალის ერთბაშად გამოჩენამ სერიოზული პრობლემებიც მოიტანა. კერძოდ, ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების ერთად ყოფნამ არმიაში ვენერიული დაავადებების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. ომში გაწვეული ქალების 60 პროცენტი სწორედ ვენერიული და ქალური დაავადებებით იხოცებოდა. ხშირი იყო გაუპატიურების, დაუგეგმავი ორსულობისა და აბორტის შემთხვევები. მენსტრუალური ციკლის დროს ქალები იყენებდნენ დაბინძურებულ ქსოვილებსა და ტამპონებს, რასაც თან სდევდა ათასგვარი ინფექციების გავრცელება, მოწამვლა, მოშხამვა და, საბოლოო ჯამში, ქალთა შორის სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ სტალინს დაუყოვნებლივ მოახსენეს, რომელმაც გამოსცა უმკაცრესი ბრძანება. კერძოდ, საკმარისი იყო, ქალს თავისი უფროსისთვის ეთქვა, მამაკაცი სექსუალურად მავიწროვებსო, ჯარისკაცსა თუ ოფიცერს ადგილზე დახვრეტდნენ. აი, მაგალითად, 1945 წლის მაისში, როცა ომის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის მარშალმა **ივან კონევმა** 60 საბჭოთა ოფიცერი, რომლებსაც მაღალი ხარისხის ორდენები და მედლები ჰქონდათ მიღებული და ბრძოლით განვლეს მთელი ევროპა, იმის გამო დახვრიტა, რომ ჩეხი და სლოვაკი ქალები გააუპატიურეს!

**— ამ მხრივ უმძიმესი სიტუაცია იყო გერმანიაში!**

— კი ბატონო! მისაუბრია

ერთ-ერთ საბჭოთა ჯარისკაცთან, რომელიც რაიხსტაგის შტურმში მონაწილეობდა და სწორედ მან მითხრა — შენობას რომ ვუტევდით, რეპროდუქტორებში ისმოდა ადგილობრივი, გერმანელი დიქტორის ხმა — **„რუსებო, არა უშავს, რომ მკვდრებს ძარცვავთ და მაჯაზე მიცვალებულებისათვის ართმეული სამ-სამი საათი გიკეთიათ, მაგრამ გერმანელი ქალების გაუპატიურებას არასოდეს გაპატიებთ!“**

**— წითელ არმიაში ვენერიული დაავადებების გავრცელების მაღალ დონესა და ამის შედეგად გამოწვეულ ქალთა სიკვდილიანობას ეშველა?**

— **სტალინმა** ბევრი იფიქრა, თუ ვინ დაენიშნა წითელი არმიის მთავარ გინეკოლოგად. ამ პოსტზე მან საბოლოოდ არჩევანი ცნობილ ქართველ მეცნიერზე, გინეკოლოგ **იოსებ ჟორდანიაზე** შეაჩერა. მან არმიაში იდეალური წესრიგი დაამყარა. შექმნა მრავალპროფილიანი ჰოსპიტლები და არმიაში ყველა პრობლემა მოხსნა. სახელოვანი პროფესორი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინის ორდენოსანი იოსებ ჟორდანია 1962 წლის 20 აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში თვითმფრინავის კატასტროფის დროს დაიღუპა, როცა თავისი მაშველი რგოლი მისთვის სრულიად უცნობ, უბილეთო გოგონას დაუთმო.

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი საშინლად მოექცა პოლიტბიუროს წევრისა და სტალინის უერთგულესი მეგობრის ლაზარე კაგანოვიჩის შვილს — იურის, რომელიც სამხედრო მფრინავი იყო! კაგანოვიჩს, ვოროშილოვის მსგავსად, თავისი ბიოლოგიური შვილი არ ჰყავდა?**

— 1923 წელს **კაგანოვიჩების ოჯახს** შეეძინა ერთადერთი ქალიშვილი — მაია. იგი 10 წლის იყო, როცა ოჯახმა უპატრონო, ორი წლის იური იშვილა, რომელიც შემდგომში სამხედრო მფრინავი გახდა. 1957 წელს, მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა ლაზარე კაგანოვიჩი პოლიტბიუროდან გააგდო, იური კაგანოვიჩსაც შეექმნა პრობლემები. ისე, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ, იური კაგანოვიჩი ქალაქ ენგელსში გადაისროლეს. მალე მისი ოჯახური ცხოვრებაც აიწეწა და 1976 წელს 45 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ **იური კაგანოვიჩი** ნიკიტა ხრუშჩოვმა მოკლა. საბედნიეროდ, ხრუშჩოვის რეპრესიებს **ვიაჩესლავ მოლოტოვის** შთამომავლობა გადაურჩა. თანამედროვე რუსი პოლიტოლოგი **ვიაჩესლავ ნიკონოვი** სწორედ მოლოტოვის შვილიშვილია. მოლოტოვის ქალიშვილის — **სვეტლანა მოლოტოვის** ქმარი იყო ცნობილი ჩეკისტი **ალექსეი ნიკონოვი.** ვიაჩესლავი მათი ვაჟია. სხვათაშორის, ვიაჩესლავ მოლოტოვსაც ჰყავდა ერთი ბიჭი ნაშვილები, რომელიც მეზღვაური გახლდათ. საოცარი ამბავი მოხდა მაქსიმ გორკის ცხოვრებაში, რომელმაც **იაკობ სვერდლოვის** ძმა — **ზინოვი სვერდლოვი** იშვილა...

**— სად გორკი და სად სვერდლოვი?**

— **მაქსიმ გორკიმ** ზინოვის თავისი გვარიც კი მისცა — **„პეშკოვი“.** მოგეხსენებათ, მაქსიმ გორკი საქართველოში იმყოფებოდა და ბათუმიდან ულამაზეს **სალომე ანდრონიკაშვილთან** ერთად გემით გაემგზავრა საფრანგეთში. **ზინოვი პეშკოვი** საფრანგეთის არმიის ბრიგადის გენერალი გახდა და **ადმირალ კოლჩაკის** მხარდამხარ ებრძოდა წითლებს, როცა „ანტანტამ“ რუსეთს ინტერვენცია მოუწყო.

ზინოვის ძმა — **იაკობ სვერდლოვი,** რომლის სახელთანაც რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის **ნიკოლოზ მეორისა** და მისი ოჯახის ამოწყვეტაა დაკავშირებული, საზიზღარი პიროვნება იყო. ის სტალინთან ერთად გახლდათ გადასახლებული ტურუხანსკის მხარეში და თავიდან სტალინს უფროსობაც კი დაუწყო — ეს გარეცხე და ის გარეცხეო! სტალინი იმის ჩიტი იყო, ლაწირაკი სვერდლოვის ბრძანებები შეესრულებინა?! ბელადმა სვერდლოვს ერთი ისეთი გახედა, უსიტყვოდ ჩაასვრევინა ადგილზე.

## მკვლევარის სიტყვა ★

როცა სტალინმა სვერდლოვს ტურუხანსკიდან გაქცევა შესთავაზა, სვერდლოვი შეშინდა. მოკლედ, სვერდლოვს სიმამაცე აკლდა, მაგრამ ბოროტების ჩადენის უნარი და ძალიან მაღალი თანამდებობები არასოდეს დაჰკლებია. 32 წლის **სვერდლოვი** 1917 წლის 8 ნოემბრიდან რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარე, ანუ, ფაქტობრივად, პრეზიდენტი გახდა, რაც ძალიან დიდი თანამდებობა იყო. 1918 წლის 17 ივლისს სვერდლოვის ინიციატივით, ქალაქ ეკატერინბურგში გადასახლებული იმპერატორი **ნიკოლოზ მეორე** მთელ თავის ოჯახთან ერთად იპატიევის სასახლეში დახვრიტეს. ეს საქმე აღასრულა ჩეკისტმა **იაკობ იუროვსკიმ.** სხვათაშორის,

**პირველად რომ ესროლეს, ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახის წევრთა უმრავლესობა ერთბაშად არ დაიხოცა, რადგან ტანსაცმელებში ყველას ბრილიანტები და ოქროები, დაახლოებით 8 კილოგრამი ძვირფასეულობა ჰქონდათ ჩაკერებული.**

**ჯალათმა იუროვსკიმ** იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების შიშველი გვამები დაწვა, ხოლო ეს ძვირფასეულობა ტანსაცმლიდან ამოიღო, ჩემოდანში ჩაალაგა და ყველაფერი იაკობ სვერდლოვს ჩაუტანა მოსკოვში. სხვათაშორის, **ბიბლა ბერბიჭაშვილის** მსგავსად, **იაკობ იუროვსკიც** ტრაბახობდა — აი, ამ პისტოლეტით დავხვრიტე იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახიო! ეს პისტოლეტი კარგა ხანს მუზეუმში ინახებოდა და დღეს სად არის, არ ვიცი.

**— იაკობ სვერდლოვს ეს ბრილიანტები შერჩა?**

— ერთ-ერთი ვერსიით, სვერდლოვი 1919 წლის მარტში მუშებმა სასტიკად სცემეს. სული ისე დალია, რამდენიმე კაცის გარდა მის ოთახში არავინ შესულა. იაკობ სვერდლოვის შემდეგ რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარე გახდა **მიხეილ კალინინი.**

**აბელ ენუქიძე,** რომელიც ასევე ცაკ-ში მუშაობდა, სტალინის მეორე ცოლის — **ნადეჟდა ალილუევას** ნათლია გახლდათ. სტალინს **აბელ ენუქიძე** არ უყვარდა, რადგან მისი გარყვნილი ცხოვრების შესახებ ხმები არ ცხრებოდა. სიმპათიური **აბელ ენუქიძე,** რომელიც მოსკოვში ნებისმიერი საქმის „ჩამწყობი“ და მომკვარახჭინებელი იყო, კალინინთან ერთად მოსკოვის დიდ თეატრს კურირებდა და არცერთ მსახიობ ქალს ხელიდან არ უშვებდა! უფრო მეტიც, სტალინამდე მოდიოდა ხმები აბელ ენუქიძის მიერ მცირეწლოვანი გოგონების გარყვნის შესახებ. როცა პეტროგრადიდან დედაქალაქი მოსკოვში გადმოიტანეს და ყველაფრის აღრიცხვა დაიწყეს, 1935 წელს მორიგი ინვენტარიზაციის დროს **აბელ ენუქიძემ** აღმოაჩინა ერთი უსახელო სეიფი, რომელიც არავის ეკუთვნოდა. გაარკვიეს, რომ ეს უკვე კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი **იაკობ სვერდლოვის** სეიფი იყო. მომხდარის შესახებ მოახსენეს სტალინს. სტალინმა ბრძანა, შეექმნათ კომისია და სახალხოდ გაეხსნათ სეიფი!

1935 წლის 26 ივლისს სეიფში აღმოჩნდა ჩემოდანი, რომელშიც იდო 16 პასპორტი, აქედან 9 პასპორტი უკვე შევსებული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კრიტიკულ მომენტში სვერდლოვი ცოლთან ერთად საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში გასაქცევად ემზადებოდა. პასპორტები ასევე გამზადებული იყო სვერდლოვის დისშვილების — **იდა და ლეოპოლდ ავერბახების** სახელზეც. ჩემოდანში ასევე იპოვეს: 108 525 ნიკოლოზის ოქროს მანეთი, ოქროს ნაწარმი, უძვირფასესი ქვები, ბრილიანტები, მეფის საკრედიტო ბილეთები — 750 ათასი ოქროს მანეთის ეკვივალენტი! ისტორიკოსების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ **იაკობ სვერდლოვი** ბოლშევიკური პარტიის „ობშიაგის“ უფროსი იყო. ცნობისათვის, **ჰენრიხ იაგოდას** მეუღლე იდა ავერბახი **იაკობ სვერდლოვის** დისშვილი გახლდათ. აი, ასე იყო გადახლართული ყველაფერი ერთმანეთში და საწყალ სტალინს რა უნდა ექნა? როცა სტალინს სეიფისა და ჩემოდნის შესახებ მოახსენეს და ისიც უთხრეს, რომ სვერდლოვი ჩვეულებრივი მოღალატე და წაპნია ტროცკისტი იყო, ულვაშებში ჩაეცინა და თქვა — ოქტომბრის რევოლუციის ბელადების კანონიკური სიიდან ნუ ამოვიღებთ, დარჩეს, ჩვენთვის საშიში აღარ არისო! ამ ამბიდან ცოტა ხანში **იდა ავერბახი, ლეოპოლდ ავერბახი და ჰენრიხ იაგოდა** დახვრიტეს!

**— რა ბედი ეწია აბელ ენუქიძეს?**

— **აბელ ენუქიძე** თავისმა გარყვნილებამ დაღუპა. 1937 წელს სტალინმა პირადად გასცა განკარგულება მისი დახვრეტის შესახებ.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



აბელ ენუქიძე

**„სიმპათიური აბელ ენუქიძე, რომელიც მოსკოვში ნებისმიერი საქმის „ჩამწყობი“ და მომკვარახჭინებელი იყო, მოსკოვის დიდ თეატრს კურირებდა და, ფაქტობრივად, არცერთ მსახიობ ქალს ხელიდან არ უშვებდა!“**

**„აბელ ენუქიძე თავისმა გარყვნილებამ დაღუპა!“**



რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახი



იაკობ იუროვსკი

**„ბიბლა ბერბიჭაშვილის მსგავსად, იაკობ იუროვსკიც ტრაბახობდა – აი, ამ პისტოლეტით დავხვრიტე იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახიო!“**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ სტალინი ებრაული სახელმწიფო ისრაელის ერთ-ერთი შემქმნელი იყო. რა მიზეზით შეწყდა ამ ქვეყანასთან ურთიერთობა და ისრაელი სსრკ-ის მტერი გახდა?

*არაერთ წერილში კვლავ წამოჭრილია ებრაელებთან და ებრაელობასთან ი. სტალინის დამოკიდებულების, ე. წ. „ექიმთა საქმის“ საკითხი, რომელთა უმრავლესობა ეროვნებით ებრაელი იყო. მკითხველს აინტერესებს,*

## იყო თუ არა „ექიმთა საქმე“ მართლაც „ებრაული საქმე“ და იყო თუ არა ის სტალინის მიერ ინსპირირებული?






პირველ კითხვაზე პასუხისთვის ებრაელთა სულიერი მოძღვრის, ცნობილი რაბინის ავრომ შმულევიჩის მოწმობას მოვიყვანთ. აი, ციტატა მისი განცხადებიდან: **„არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში სსრკ-ისა და სტალინის როლის დავიწყება. მხოლოდ მისი მხარდაჭერით მიიღო გაერომ რეზოლუცია** (ისრაელის შექმნის შესახებ — რედ.). **ამერიკამ მას მხარი დაუჭირა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ თავისი თანხმობა უკან წაიღო. ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად აშშ-მა ემბარგო დაადო ჩვენს ქვეყანაში იარაღის შემოტანას. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ისრაელის შექმნისთანავე მის ტერიტორიაზე ხუთი ქვეყნის — ეგვიპტის, იორდანიის, ლიბანის, სირიის, ერაყის რეგულარული არმიები შეიჭრნენ. იორდანიის არმიას ე. წ. „არაბული ლეგიონი“ შეადგენდა, რომელიც, არსებითად, გაერთიანებული სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ისრაელმა სტალინის წყალობით გაძლო, იმის წყალობით, რომ ჩეხოსლოვაკია, მისი ნებართვით, აუცილებელ იარაღს გვაწვდიდა“.**


Коммунистическая партия Советского Союза

ПРАВДА

Орган Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

ПОДЛЫЕ ШПИОНЫ И УБИЙЦЫ ПОД МАСКОЙ ПРОФЕССОРОВ-ВРАЧЕЙ



რატომღა გაწყდა ამ ყველაფრის შემდეგ ისრაელთან ურთიერთობა?

**ისრაელთან** დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა **1953 წლის თებერვალში თელ-ავივში სსრკ-ის** საელჩოში ხელყუმბარის აფეთქების პასუხი იყო, რა დროსაც მძიმედ დაშავდნენ მისიის თანამშრომელთა ცოლები **ქ. ერშოვა** და **ი. სისოევა,** საელჩოს ტექნიკური თანამშრომელი **ი. გრიშინი.** ისრაელის მთავრობა ბოდიშებს მოჰყვა, მაგრამ **გენერალისიმუსი,** სხვა მმართველთაგან განსხვავებით, ასეთ რამეებს არ პატიობდა.

იბადება კითხვა — რამ გამოიწვია ეს პროვოკაცია? სავარაუდოდ *(დამნაშავეები ვერ აღმოაჩინეს)*, საელჩოში აფეთქება **სიონისტი ექსტრემისტების** ნახელავი იყო, რომლებიც სსრკ-ში დაწყებულ **„ექიმთა საქმეს“** აპროტესტებდნენ.

სანამ ამ **„საქმეზე“** გადავიდოდეთ, ვიტყვით, რომ **სტალინი ებრაელებისა და ებრაელობის მიმართ მთლიანობაში მუდამ კეთილგანწყობილი იყო. ბელადი შეურიგებელი იყო სიონიზმის, ფაქტობრივად, რასიზმისა და ნაციზმის სახესხვაობის მიმართ,** ხოლო მთლიანად ებრაელობისადმი მის დამოკიდებულებაზე ყველა სიტყვაზე უკეთ ფაქტები მოწმობს — მეორე მსოფლიო ომის წლებში სრული განადგურებისაგან ებრაელთა ფაქტობრივი ხსნა და ორი ებრაული სახელმწიფო ფორმირების — **ბირობიჯანის** ებრაული ავტონომიის და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა.

რას წარმოადგენდა **„ექიმთა საქმე“,** იყო თუ არა ის მართლაც **„ებრაელთა საქმე“?** რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, საქმეში სუფთა სისხლის რუსები — **ვინოგრადოვი, ეგოროვი, მაიოროვი** გადიოდნენ, ხოლო იმაში, რომ კრემლის პოლიკლინიკასა და საავადმყოფოში ებრაული ეროვნების პირები ჭარბობდნენ, საკვირველი არაფერია. მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ებრაელთა პროცენტი ბევრად აღემატებოდა სხვა ეროვნებათა პროცენტებს. რაში ადანაშაულებდნენ კრემლის ექიმებს? — **„არასწორი მკურნალობის გზით“** მოსკოვის **ქალაქკომის მდივნის შჩერბაკოვის** და **ცკ-ის მდივნის ჟდანოვის** მოკვდინებაში. და ეს ფაქტები ძიების პროცესში დადასტურდა. სხვა საქმეა, რომ ვინმე **რიუმინი,** პათოლოგიური იუდოფობი, რომელიც გამოძიებას ხელმძღვანელობდა, ყველანაირად ცდილობდა ამ საქმის ებრაულ **„შეთქმულებად“** გადაქცევას. და **„ფიზიკური ზემოქმედების“** მეთოდებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წამებით მიაღწია შესაბამის **„აღიარებით“** ჩვენებებს. მაგრამ **სტალინის** გაცურება არც ისე ადვილი იყო. როგორც კი მიხვდა, რომ ეს **„ჩვენებები“** მხოლოდ ჩეკისტური ფანტაზიაა, **სტალინმა** იუდოფობი **რიუმინი** სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის პოსტიდან მოხსნა *(1952 წლის 12 ნოემბერს)* და ყოფილი ბობოლა ჩინოსანი სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში რიგით მუშაკად მოხვდა *(მოგვიანებით რიუმინს დააპატიმრებენ, გაასამართლებენ და დახვრეტენ)*. **„ექიმთა საქმეზე“ სტალინის** რეაქციას მისი **ეკონომი ვალენტინა ისტომინა** მოწმობს. **სვეტლანა ალილუევას** გადმოცემით: **„ვალენტინა ვასილევნამ მიამბო, რომ მამა მოვლენათა განვითარებით ძალიან გულნატკენი იყო. მან გაიგონა, როგორ მსჯელობდნენ ამაზე მაგიდასთან სადილის დროს, როცა, როგორც ყოველთვის, სუფრას ემსახურებოდა. მამა ამბობდა, რომ არ სჯერა მათი** (ექიმების — რედ.) **ღალატი, რომ ეს შეუძლებელია...“**

უბრალო ქალს **ვ. ისტომინას** შეიძლება ვენდოთ. ის ამას ვერ მოიგონებდა. ასე რომ, უეჭველია, **„ექიმთა საქმეს“** თავად სტალინი გადასინჯავდა (ექიმები 1953 წლის აპრილში გაათავისუფლეს), მაგრამ არ დააცალეს.

## მართლა დააპატიმრეს თუ არა ბერია ხრუშჩოვმა და მისმა ბანდიტებმა. და თუ დააპატიმრეს, რა გარემოებებში. ამავე დროს, მკითხველს აინტერესებს ლ. ბერიას ე. წ. „დონჟუანური სია“, რომელშიც თითქოსდა მის მიერ შეცდენილი ასობით ქალის სახელი ფიგურირებდა

**ლავრენტი ბერიას** უკანასკნელ დღეებზე არაერთხელ დაგვიწერია და გამეორება საჭირო აღარ არის. ამჟამად შეიძლება აბსოლუტურად დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ **1953 წლის 26 ივნისს** სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის (პოლიტბიუროს) სხდომაზე არავითარი დაპატიმრება არ მომხდარა და **ბერია** იმავე დღეს **კაჩალოვის ქუჩაზე** მდებარე მისი სახლის შტურმისას მოკლეს. დაპატიმრების ვერსია **ხრუშჩოვის** ფალსიფიკატორებმა შეთხზეს, რათა მისთვის ბანდიტური აქცია ამოეფარებინათ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ასეთივე ინსინუაცია გახლავთ ე. წ. **„ბერიას სასამართლო“,** რომელიც თითქოს იმავე წლის **დეკემბერში** გაიმართა.




იმდროინდელი ფაქტების გაანალიზების შემდეგ ამ აშკარა დასკვნამდე მივიდა სერიოზულ ისტორიკოსთა და მკვლევართა უმრავლესობა. ამასვე წერს თავის მოგონებებში **ბერიას** შვილი **სერგო,** რომელმაც **26 ივნისს** საკუთარი თვალით ნახა თავის სახლთან ჯავშანტრანსპორტიორები და ჯარისკაცები, ნატყვიარი კედლები და ჩამსხვრეული მინები. ამასთან, ერთ-ერთმა მოსამსახურემ საიდუმლოდ აცნობა, რომ სახლიდან ბრეზენტგადაფარებული საკაცე გამოიტანეს. **სერგო ბერიას** ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ეს მამამისის ცხედარი იყო. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბერია კი არ დააპატიმრეს — მოკლეს. ვინმე **სუხანოვი** მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის **მალენკოვის** ნდობით აღჭურვილი თანაშემწე იყო. ჰოდა, ამ **სუხანოვს ბერიას** დამხობის შემდეგ მალევე აპატიმრებენ, ასამართლებენ და 10 წლით პატიმრობას უსჯიან. ისმის კითხვა — რისთვის? ირკვევა, რომ **სუხანოვმა,** რომელიც


ბერიას სახლი, სადაც მისი ვაჟის სერგოს მონათხრობით იგი მოკლეს

**1953 წლის ივნისში მალენკოვის** დავალებით **ბერიას** და მისი მდივნების კაბინეტების ჩხრეკას ხელმძღვანელობდა, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი ძვირფასი ნივთი ჩაიჯიბა. ეს შემთხვევით გამომჟღავნდა. დაკითხვაზე **სუხანოვმა** აღიარა, რომ მიითვისა ჯილდოდ მიღებული 8 საათი, ოქროს სამკერდე ნიშანი და **ბერიას** კუთვნილი **„ოქროს სესხის“** ობლიგაციები. საკითხავია, გაბედავდა თუ არა **სუხანოვი** ქურდობას, ამ დროს **ბერია** ცოცხალი რომ ყოფილიყო, თუნდაც, პატიმრობაში? გამოძიების პროცესში ხომ აუცილებლად დადგებოდა დაპატიმრებულის ქონების საკითხი, რადგან ის კონფისკაციას ექვემდებარებოდა. და ის ყველა ფასეულ ნივთს ჩამოთვლიდა. მაშინ გამოძიებას დაებადებოდა კითხვა — ვინ ჩაატარა ჩხრეკა. მაგრამ **სუხანოვმა** ზუსტად იცოდა, რომ **ბერია** აღარაფერს იტყოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას **მალენკოვის** თანაშემწის თავხედური საქციელი.

ახლა ე. წ. **„დონჟუანურ სიაზე“** ვისაუბროთ. ეს სია გამოძიებამ თითქოს **ბერიას** ერთ-ერთი ადიუტანტის, პოლკოვნიკ **სარქისოვის** დაპატიმრების შემდეგ მიიღო. მასში, ზოგი მონაცემით, 300 შეცდენილი ქალის გვარი იყო, ზოგით კი — ლამის 700. ბერია, მიუხედავად თავისი გვარისა, რა თქმა უნდა, ასკეტი არ ყოფილა. მაგრამ აქ არა მარტო **„ჯაშუშად“**, არამედ საბოლოოდ გახრწნილ ადამიანად **ბერიას** წარმოჩენის მისწრაფებაში **ხრუშჩოველთა** ფანტაზია საზღვრებს სცილდება. თუმცა, ერთი საინტერესო დეტალი ირკვევა. ჟურნალ **„კომერსანტ-ვლასტის“** (6.06.2000 წ.) მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ **„იმ ქალების სიები, რომელთა გაუპატიურებაში ბერიას ედებოდა ბრალი, თითქმის ზუსტად ემთხვევა კარგა ხნით ადრე დაპატიმრებულ გენერალ ვლასიკის ანალოგიურ სიებს“.** შეგახსენებთ, **ვლასიკი სტალინის** დაცვის უფროსი იყო. **1952 წლის** მიწურულს ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მერე კი მახლობელი აგარაკის შესანახი თანხის დატაცებისა და მორალური გახრწნისათვის დააპატიმრეს. გამოძიების მსვლელობისას მან ყველაფერი აღიარა — ისიც, რომ **„პროდუქტები ფუჭდებოდა და მას ისინი სახლში მიჰქონდა“,** ისიც, რომ **„საყვარლების სიას აწარმოებდა“. „სამსახურის საკითხებში მუდამ ადგილზე ვიყავი,** — თქვა ვლასიკმა, — **სმა და ქალებთან შეხვედრები ჩემი ჯანმრთელობის ხარჯზე და თავისუფალ დროს ხდებოდა“.** ჯანმრთელობა ვლასიკს რკინისა ჰქონდა, ქალები კი, მისივე თქმით, **„ძალიან ბევრი“** ჰყავდა.

გამოდის, რომ **ხრუშჩოველმა** ცილისმწამებლებმა თავი არ შეიწუხეს, უბრალოდ, გადაწერეს **ვლასიკის „სიები“** და ისინი ბერიას მიაწერეს.


შვიდეული

2024 წლის 1 აპრილი. №19 (255)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# წალენჯიხიდან გამოქანებული შექანებულები

**სალომე ბაბომ** ამათ უთხრა — ხელმოწერები მომიგროვეთ და შევიწყალებო... **სალომე ბაბო** დილემის წინაშე დგას — რომც შეიწყალოს, მაინც ვერ გამოვა, ვინაიდან მაგის წინააღმდეგ კიდევ სამი თუ ოთხი საქმეა აღძრული და სანამ ,,ვივამედის“ კიბეზე ჩამოვა, ისევ შეაბრუნებენ.

☺

**დაბოლოს:** შევხედე ამ **წალენჯიხიდან გამოქანებულებს,** ხელში ყუთები რომ უჭირავთ და... სული, ცოდვილო, ის ყიზილბაში გამახსენდა, პაატას თავი რომ ჩამოიტანა საქართველოში. ისე კი, **არ დაიჯეროთ, რომ ამ უდღეურებმა ყუთებით თბილისში ხელმოწერები ჩამოიტანეს.** სინამდვილეში ერთი ხელმოწერა ერთი ქართველის თავის ტოლფასია, რადგან **ესენი ხელისუფლებაში რომ მობრუნდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ქართველის თავი გაგორდება?**




**გოდერძი ჩოხელს** აქვს ერთი მოთხრობა — **,,დარდების შემგროვებელი“.** კაცი დადის და ადამიანთა დარდებს აგროვებს. **აი, ესენიც, სურათზე რომ ხედავთ, შემგროვებლები არიან, ოღონდ მარტო ხელმოწერებისა.** წესით, ამათ ძალიან ბევრი **დარდი** უნდა აწუხებდეთ იმის გამო, რაც წარსულში ჩაიდინეს, ამიტომაც ახლა **თავიანთივე ჩათესილ დარდებს** უნდა აგროვებდნენ და ბოდიშს ბოდიშზე იხდიდნენ... მაგრამ არა, ამათ არაფერი აწუხებთ, გარდა თავიანთი დორბლიანი ბელადის პატიმრობისა.

☺

მოკლედ, ეს **ხელმოწერების შემგროვებლები** ისევ გამოქანდნენ წალენჯიხიდან და ოპტიმისტურად ,,წაატორმუზეს“ ორბელიანების სასახლესთან, ანუ ამ დროისთვის **მადამ პლეზიდანის** ბუნაგთან.

**ჩვენაო, ასიათასობით ხელმოწერა შევაგროვეთო... ასიათასობითო... სუ 150 ათასიო...** თან ამტკიცებენ, 800 ათასი მხარდამჭერი გვყავსო... გამოდის, 650 ათასმა უარი თქვა?

**დავუშვათ, 150 ათასს უნდა, რომ შარლატანი სააკაშვილი პალატიდან გამოუშვან, 3 მილიონ 900 ათას 225-ს რომ არ უნდა, ეგ როგორღაა?**

ვერ გავიგე, უმცირესობამ უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ რატომ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი?

როგორც ჩანს, **სალომე ბაბოს** ,,ზემოდან“ დაავალეს, **სააკაშვილი** უნდა შეიწყალოო...




# წალენჯიხის გაუგებარი

ქართველების უმეტესობა ვერც კი მიხვდა, როგორი გენიოსური რაღაცა წამოაწვინა წალენჯიხის **მერმა,** გამგებელმა თუ გაუგებარმა — **საქართველომ მოუგო საბერძნეთს და ამით წააგო რუსეთმაო...**

ესე იგი, **საბერძნეთს რომ მოეგო საქართველოსთვის, მოიგებდა რუსეთიო.**

არ ვიცი, მეგობრებო, მე პირადად ასეთი სიღრმისეული და ლაკონური ანალიზი იშვიათად მინახავს, ისიც მხოლოდ მსოფლიო დონის ფილოსოფოსთა ნაშრომებში.

მოკლედ, **ამხანაგმა ხარჩილავამ მას შემდეგ, რაც კისერში ამპულა ჩაუდგეს, ისეთი ბრძნულსიტყვაობა დაიწყო,** მალე შეიძლება, თვით **ბუბაზსაც** აჯობოს, რომელსაც უკრაინელი ფეხბურთელებისათვის ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი და ოქროს მედლები ემეტება, ქართველებისთვის კი — მხოლოდ ვერცხლის!



*გასულ კვირას უხუცეს გეოლოგსა და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს ელენე აბაშიძეს 102 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ასაკისა, თავისი ცხოვრების ყველა ეპიზოდი ახსოვს და ამ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებული ოპერაციის მიუხედავად, თავს მხნედ გრძნობს, წლებს არ უშინდება:*



# ელენე აბაშიძე:

# ისწავლეთ მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია, ეს ისეთი დისციპლინებია, რომლებიც მოგცემენ თავისუფალი აზროვნების საშუალებას!

— ერთგან ვთქვი — ჩემი დღეგრძელობის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ბავშვობაში ტყემალს ვჭამდი-მეთქი. გაიცინეს. არ ვიცი, თქვენც გაგეღიმებათ თუ არა, მაგრამ გავიმეორებ, მე და ჩემი ძმა სოფელში ტყემალსა და ქლიავს ვჭამდით და შიმშილს ამით ვიკლავდით. 14 წლის ვიყავი, როდესაც მამა გადაასახლეს, დედაჩემი სამსახურიდან დაითხოვეს და ჩვენი მეზობლების სარეცხის რეცხვით გვარჩენდა. მეცნიერი ვარ, მაგრამ დიდი შემოსავალი არასოდეს მქონია, ერთხანს 35 მანეთი მქონდა ხელფასი. არც დიდი გურმანი ვყოფილვარ, გლეხური საჭმელი მიყვარდა, თუნდაც ლობიო. არ მივირთმევდი ტკბილეულსა და ნამცხვრებს. ბევრს ვშრომობდი, ვიყავი მიზანდასახული და რაც მინდოდა, იმას აუცილებლად ვაღწევდი. ალბათ, ეს არის ჩემი დღეგრძელობის საიდუმლოც. რაც მთავარია, ჩემს ყოველ ნაბიჯში ღმერთი იყო ჩარეული!

**— 102 წლის ასაკში თავს როგორ გრძნობთ?**

— ახალი გამოსული ვარ საავადმყოფოდან, ოპერაცია გამიკეთეს, კუჭის წყლული მქონდა. ძალიან ცუდად მექცეოდნენ კლინიკაში, ყურადღებას არ მაქცევდნენ, დიდ პალატაში მარტო ვიწექი და 102 წლის ქალი ლამის ერთი საათი ვყვიროდი, სანიტარს ვუხმობდი, ჩემთვის რომ წყალი მოეტანა. ჩხეიძის ქუჩაზეა ეს საავადმყოფო. განა, სირცხვილი არ არის? კედელზე არც ღილაკი ჰქონდათ, რომ პერსონალს იმის საშუალებით მაინც დავკავშირებოდი.

ზოგადად, ამ დამოკიდებულებით თუ ვიმსჯელებ, ძალიან ცუდად არის დღევანდელ საქართველოში მდგომარეობა. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვარ, **ამერიკის ბიოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტმა მსოფლიოს 500 გავლენიანი ლიდერისა და 100 ყველაზე საინტერესო ადამიანის სიაში შემიყვანა, მაგრამ ჩემს ქვეყანაში ვერ დამინახეს.** ეს მთავრობა როცა მოვიდა, ენერგეტიკის სამინისტროში მივედი — აქ ვარ, თქვენ გვერდით მიგულეთ-მეთქი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. როცა ჭიათურის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს, მხოლოდ მაშინ დამინიშნეს ათასი ლარი. მადლობა ჩემს ჭიათურას და **მაია ტყემალაძეს.** უმძიმესი წლები გავიარე, მაგრამ ვის შევჩივლო, საბჭოთა კავშირში ასეთი იყო მეცნიერთა ცხოვრება და ახლა ამიტომ არ მიკვირს ამათი დამოკიდებულება და, საერთოდ,

## ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ არაფერი მიკვირს!

**— ზვიადს ახლოს იცნობდით?**

— რა დამავიწყებს ზვიადთან შეხვედრას იმერეთში, **აბდუშელიშვილების ოჯახში.** ახლოს მივედი მასთან, გადავკოცნე, მანანა ახლდა, ვარდისფერ კაბაში იყო გამოწყობილი, ძალიან უხდებოდა. ვინაიდან არ მიცნობდნენ, უნდობლობა შევატყვე, მაგრამ ვუთხარი, **ლია ანდღულაძის** მეგობარი ვარ-მეთქი და მოეხსნათ დაძაბულობა. ზვიადი გაიმეტეს და სათავეში მოვიდა საქართველოს უპირველესი მტერი. მას მოჰყვნენ **ლანა ღოღობერიძე** და მისი მსგავსნი. დღევანდელი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც ზვიადის წინააღმდეგი იყო, მასეთებს არ უნდა ენდო.

**— როდის იყო საქართველოში შედარებით მშვიდი ცხოვრება?**

— **ვასილ მჟავანაძის** დროს, შეგეძლო, გემუშავა და მშვიდად გეცხოვრა, არ იყავი დაძაბული და საქმეში ხელს არ გიშლიდნენ.

**— მიხეილ სააკაშვილზე რა აზრის ბრძანდებით?**

— ნათესავად მერგება, სააკაშვილს ბაბუა ჰყავდა აბაშიძე — მამაჩემის შორეული ბიძაშვილი. სოფელში მათსა და ჩვენს სახლს შორის მხოლოდ ორღობე იყო. თითქოს ახლოს უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ თვითონ არ ისურვა.

## როცა სააკაშვილს შევხვდი, ვუთხარი – სწორ გზაზე არ დგახარ, რად გინდა, საქართველო შენ წინააღმდეგ აამხედრო, არაფერი გამოგივა–მეთქი.

შენ რა იცი და, საერთოდ, ვინ ხარო?! არადა, შეეძლო კარგი საქმეების კეთება! ბოლოს საზღვარზე როცა გადმოვიდა და ეს ამბავი ტელევიზიით ვნახე, ძალიან შემეცოდა. თუ დამნაშავეა, დამნაშავეები იყვნენ სხვებიც, რომლებიც დღეს თავისუფლად დაიარებიან და ყველას თავისი უნდა მიეზღოს.

**— 100 წელზე მეტი ხნის ბრძანდებით, რას ნიშნავდა თქვენთვის ეს საუკუნე?**

— მთავარია ადამიანების სიყვარული და სწორედ ამ სიყვარულმა გამაძლებინა. მამაჩემის გადასახლების შემდეგ არც ახალი ფეხსაცმელი ვიცოდი. მეშვიდე კლასის მოსწავლე საბავშვო ბაღში ვმუშაობდი — პიანინოზე ვუკრავდი. ოჯახი შევქმენი, სოფელში ღორებს ვზრდიდი, ხორცს ვყიდდი და სახლ-კარს ვუვლიდი. მაგრამ 3 წლის ბავშვი დამეღუპა, ქმარი სვამდა, გავცილდი და მას მერე მთლიანად მეცნიერებას მივუძღვენი თავი. მარტოხელა ქალი ჭაბურღილიდან ჭაბურღილამდე 10 კილომეტრს ფეხით გავდიოდი, სასტუმროში შიშით ვიძინებდი, ოთახში ვინმე არ შემომვარდნოდა. მაინც მომავლის იმედი მქონდა, მეცნიერებამ გადამარჩინა და აქამდე მომიყვანა. გავიცანი ცნობილი ადამიანები, მათ შორის **ალიოშა ჯაფარიძე, ლევან გოთუა, აკაკი ბელიაშვილი...** ბოლოს კი ჩემმა მშობლიურმა ჭიათურამ დამიბრუნა სიცოცხლე, რომ საპატიო მოქალაქედ ამირჩია.

მინდა, მივმართო ახალგაზრდებს: **ისწავლეთ მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია, ეს ისეთი დისციპლინებია, რომლებიც მოგცემენ თავისუფალი აზროვნების საშუალებას.** ჩემი სურვილია საქართველოს გაბრწყინება, მომავალი თაობის ხელშია ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობაც!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***





## იგორ კვესელავა:

# შევარდნაძემ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ზვიად გამსახურდია მაინცდამაინც მეგრელის ხელით მოეკლა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიას მკვლელს ასახელებს და აცხადებს, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმეში, საერთო ჯამში, 48 კაცი ფიგურირებს. პრეზიდენტი მოკლეს ბევრად უფრო წვრილკალიბრიანი იარაღით, ვიდრე „სტეჩკინია“ და მკვდარ ზვიად გამსახურდიას ხელში „სტეჩკინი“ დააჭერინეს:***

— 1994 წლის 10 იანვარს **„ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე“** საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქმე აღძრა და შექმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია, ე.წ. ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ **ანზორ ბალუაშვილი, ავთო იოსელიანი, ვინმე ჩალაძე, ვენედი ბენიძე, ზურაბ ჯორჯიკია, ანზორ ხვადაგიანი, ნუგზარ კვაშილავა და ოთარ კელდიშვილი...** გამოიცა განკარგულება ზვიად გამსახურდიას გვამის შესწავლისა და დათვალიერების შესახებ... პარალელურად, შევარდნაძემ ასევე შექმნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის საჭირო კომპლექსური კომისია.

**— ავთანდილ იოსელიანი ზვიად გამსახურდიას სამეგრელოს ტყეებში მოსაკლავად დასდევდა და შევარდნაძემ იგივე იოსელიანი კომისიაში შეიყვანა, აქაოდა, დაადგინე, ზვიად გამსახურდია როგორ მოკვდაო?**

— აი, სწორედ ეს იყო შევარდნაძის სივერაგისა და ბოროტი მმართველობის სტილი — **ერთსა და იმავე პიროვნებას კანონიერი პრეზიდენტის მკვლელობაც დაავალა და მერე ამ მკვლელობის „გამოძიებაც“!** სწორედ ეს მიზეზია, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სუდარა აქვს გადაფარებული და მტვერი აყრია. 1994 წლის მარტში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქმე **„ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ფაქტზე“ „დანაშაულის არარსებობის გამო“** შეწყვიტა. მოკლედ, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია მოკლა და სამ თვეში გენერალურ პროკურატურას ძიება შეაწყვეტინა — საქმეში დანაშაულის ნიშნები არ არსებობსო! ეს იყო ცინიზმი, რომელსაც მთელი დემოკრატიული დასავლეთის ოფიციოზი სამარცხვინო დუმილით შეხვდა.

**დღეს რომ გენერალურმა პროკურატურამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გახსნილად გამოაცხადოს, მაშინ „შევარდნაძის ფაქტორს“ რომ თავი დავანებოთ, უნდა დაიჭირონ ყველა ის გამომძიებელი და პროკურორი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და რომლებმაც პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე გააყალბეს და შეკერეს.**

2007 წლის მარტის მიწურულს ზვიად გამსახურდიას ცხედარი გროზნოდან თბილისში გადმოასვენეს და 1 აპრილს მთაწმინდაზე დაკრძალეს. გადმოსვენებამდე ზვიად გამსახურდიას ცხედარი როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ შეისწავლა, მაგრამ მისი დასკვნა იმის შესახებ, ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა, საქმის მასალებში არ მოიპოვება. რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულმა სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტმაც ზვიად გამსახურდიას ცხედრის შესწავლის შემდეგ დადო დასკვნა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტს ტყვია ახლოდან ჰქონდა ნასროლი, მაგრამ სხვამ ისროლა ტყვია თუ ზვიად გამსახურდიამ თავად დაიხალა, ამაზე ამ დასკვნაშიც არაფერია ნათქვამი!



ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია

**— რატომ ვერ დაჰკითხა კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ოსაძის დროებითმა საპარლამენტო კომისიამ ედუარდ შევარდნაძე?**

— **შევარდნაძე** ვიღაცამ გააფრთხილა და **კონსტანტინე გამსახურდიას კომისიას** განუცხადა, რომ, რადგან ამ კომისიას არ ჰქონდა საგამოძიებო სტატუსი, ის ჩვენებას მისცემდა მხოლოდ გამოძიებას! ედუარდმა ასევე გააფრთხილა **ავთო მარგიანიც და ალექსანდრე კავსაძეც,** რათა კომისიისთვის ჩვენება არ მიეცათ, ხოლო **ავთო იოსელიანი,** რომელიც ამ კომისიას უნდა დაეკითხა, უკვე ცოცხალი აღარ იყო და შევარდნაძეს მისი გაფრთხილება აღარ დასჭირვებია.

**— ვინ ესროლა ზვიად გამსახურდიას ტყვია „ახლო მანძილიდან“?**

— ზვიად გამსახურდია გროზნოში რომ ჩაასვენეს, **ჯოჰარ დუდაევმა** გვამი დაათვალიერა და მაშინვე განაცხადა, რომ პრეზიდენტი მოკლული იყო არა „სტეჩკინის“ ტყვიით, არამედ უფრო წვრილი, ე.წ. „გეკოს“ ტყვიით! ანუ პრეზიდენტი მოკლეს ბევრად უფრო წვრილკალიბრიანი იარაღით, ვიდრე „სტეჩკინია“ და მკვდარ ზვიად გამსახურდიას ხელში „სტეჩკინი“ დააჭერინეს. ამიტომაც არ მჯერა მე არც **გუგუშვილის** და არც **მარგველანის,** რომლებიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის უშუალო მომსწრენი არიან. უშიშროების გენერალი **მიხეილ ოსაძე** ჩემთან საუბარში კატეგორიულად აცხადებდა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს.

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდა გივი ლომინაძემაც.**

— კიდევ ერთხელ გეუბნებით, შევარდნაძემ **ავთო მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, გივი ლომინაძე** და ყველა, ვისაც კი ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან შეხება ჰქონდა, გააფრთხილა და უთხრა, რომ **კონსტანტინე გამსახურდიას კომისიისთვის** ჩვენება არ მიეცათ! იგივე ითქმის **შოთა კვირაიას** შესახებაც, რომელიც 1993 წლის 11 ოქტომბრიდან შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. თუ **ბორის კაკუბავას** მიერ 2018 წელს გაკეთებულ განცხადებას დავეყრდნობით, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაავალა ოთხ კაცს — **გია გულუას, ავთო იოსელიანს და ნუგზარ საჯაიას.** მეოთხე კაცი მან არ დაასახელა, რადგან ის კაცი ცოცხალი იყო. დარწმუნებული ვარ, მეოთხე კაცში **კაკუბავა** გულისხმობდა **ავთო მარგიანს.** საერთოდ, შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას მანამ გეგმავდა, ვიდრე საქართველოში გადატრიალება მოხდებოდა. საქმეში 1991 წლის ნოემბრიდან ფიგურირებს ცნობი-

> **„შევარდნაძე ვიღაცამ გააფრთხილა და კონსტანტინე გამსახურდიას კომისიას განუცხადა, რომ, რადგან ამ კომისიას არ ჰქონდა საგამოძიებო სტატუსი, ის ჩვენებას მისცემდა მხოლოდ გამოძიებას!“**

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაჭაპურიძე**
*პოლიტიკური დევნილი*



გამოსავალი არის **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას** საპრეზიდენტო პროგრამა და პლუს დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის მოწოდება: **„არავითარი დანდობა მოღალატეებს და შტრეიკბრეხერებს!“** ხალხის ძალა უნდა გახდეს პრეზიდენტ გამსახურდიას მოწოდება: **„სამუშაო ადგილებზე შექმენით სახალხო კომიტეტები და საგაფიცვო კომიტეტები!“** ვიმოქმედოთ ზვიადის ლოზუნგით, თორემ დავიღუპებით!

„ალია“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



საკმარისია, დაისვას კითხვა, **„ქართული ოცნება“ თუ ნაციონალური მოძრაობა,** ამომრჩეველი ისევ „ქართული ოცნების“ მხარეს წავა. **მოსახლეობის ქუჩაში გამოსასვლელად გაყალბება უნდა იყოს ძალიან აშკარა და რადიკალური,** რაც ხელისუფლებას არ სჭირდება.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ნაცმოძრაობა **ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერზე წავა,** მაგრამ ამ პოლიტიკით **ვერასოდეს დაბრუნდება ხელისუფლებაში.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ძალიან **აგრესიული საარჩევნო კამპანია გველოდება.** ამაში გადაეშვებიან ტელევიზიებიც და შენ დაუკა!

„ახალი თაობა“



# „შევარდნაძემ ერთსა და იმავე პიროვნებას კანონიერი პრეზიდენტის მკვლელობაც დაავალა და მერე ამ მკვლელობის „გამოძიებაც!"

# «ყველა, ვინც ამტკიცებს – ზვიადმა თავი მოიკლაო, შევარდნაძის აგენტია!»

ლი ფუნქციონერი **ნოდარ ბერიძე.**

**— როგორ?**

— 1991 წლის ნოემბერში შევარდნაძემ საქართველოში საიდუმლო და საგანგებო მისიით გამოაგზავნა თბილისის მეტროპოლიტენის ყოფილი შეფი **ნოდარ ბერიძე,** რომელიც იმხანად მოსკოვში ცხოვრობდა. **ავთო მარგიანმა ნოდარ ბერიძე** მიიყვანა **თენგიზ კიტოვანთან,** რომელიც მაშინ უკვე აჯანყებული იყო და ზღვაზე გახლდათ დაბანაკებული. **ნოდარ ბერიძემ** კიტოვანს სთხოვა, გამოეძებნა ქილერი, რომელიც დიდძალი თანხის სანაცვლოდ ზვიად გამსახურდიას მოკლავდა! კიტოვანმა **ნოდარ ბერიძეს** ამ საქმეში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი უთხრა. ეს ინფორმაცია ცნობილი იყო **თენგიზ სიგუასა** და კიდევ რამდენიმე პიროვნებისთვის.

**— მაინც რა თანხას იხდიდა შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მოკვლაში?**

— ეს არ ვიცი, მაგრამ მოგვიანებით **კიტოვანმა** გაახმაურა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ედუარდი სიგუას მოკვლასაც გეგმავდა და მზად იყო, ამ საქმისთვის **250 ათასი დოლარი** გადაეხადა. **კონსტანტინე გამსახურდიას კომისიამ** ზუსტად დაადგინა სამეგრელოში პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტი. კერძოდ, პრეზიდენტი გრძნობდა რა მდევრის სიახლოვეს სამეგრელოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, ყოველი მომდევნო დღის შემდეგ იცვლიდა ადგილსამყოფელს.

5-6 ნოემბერს პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ღამე გაათიეს სოფელ ჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, **რობინზონ მარგველანის** ნათესავთან, მოხუცი ცოლ-ქმრის ოჯახში. 6 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ცხოვრობდნენ ძირითადად ჩქვალერის ტყეში დადგმულ კარვებში, საიდანაც გასული იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით ოჯახებში. პრეზიდენტი თავის გარემოცვასთან ერთად ადიოდა წალენჯიხის მაღალმთიან სოფლებში. მისი მეგზურობა ითავა წალენჯიხის რაიონის პრეფექტმა **ზურაბ გუჩუამ** და მისმა მოადგილეებმა **კინწურაშვილმა და ჟვანიამ.**

20-21 ნოემბერს პრეზიდენტი იმყოფებოდა სოფელ მუჟავაში, **ოთარ და ვახო არქანიების ოჯახში,** 21 ნოემბერს კი — იქვე, **არველოდ ჩხაპელიას ოჯახში.**

21 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე პერიოდი პრეზიდენტმა **ბადრი ზარანდიას ბანაკში ბესარიონ გუგუშვილთან** ერთად, ყოველგვარი დაცვის გარეშე გაატარა. 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პრეზიდენტი ავიდა ჭყეპზენის მთებში, მეცხვარეების კარვებში. მას როგორც მთებში, ისე წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩვინარეში რამდენჯერმე შეხვდნენ გენერალ **გია გულუასა და ბადრი ზარანდიას** დაჯგუფების წევრები, რომლებმაც ულტიმატუმი წაუყენეს ქვეყნის დატოვების მოთხოვნით. მანამდე, 16-17 ნოემბერს სოფელ ჩვინარეში შედგა პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა. აქ შეიკრიბა დაახლოებით 17 ადამიანი, მათ შორის, **ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარიები** და ხელის აწევით დაადასტურეს პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმაზე თანხმობა, საიდანაც გაემართნენ იმ ოჯახში, სადაც ეგულებოდათ პრეზიდენტი და მისი პირადი დაცვა.

**— ყველამ დაადასტურა, რომ ზვიად გამსახურდია უნდა მოეკლათ?**

— როგორც ცნობილია, ძმებმა **გია და გოჩა სარიებმა** პრეზიდენტის ლიკვიდაციას ხელი აუწიეს! როცა **ბადრი ზარანდიას** ბანაკში შეკრებილები იმ ოჯახში მივიდნენ, სადაც **ზვიად გამსახურდია** და მისი დაცვის წევრები ეგულებოდათ, აღნიშნულ ადგილზე ზვიადი არ დახვდათ. მათ მოსთხოვეს ოჯახის წევრებს ინფორმაცია პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტის შესახებ. უარის მიღების გამო სასტიკად სცემეს ოჯახის მასპინძელი, ბრმა მოხუცებული კაცი და მისი 13 წლის შვილიშვილი.

**— მაინც სად და როგორ გადაადგილდებოდა ზვიად გამსახურდია სამეგრელოში?**

— 1993 წლის 1 დეკემბრიდან 4 დეკემბრამდე პრეზიდენტი იმყოფებოდა სოფელ მუჟავაში, **არჩილ და ზაურ ანთიების ოჯახში.** მან გაფრთხილების გამო, რამდენიმე საათით ადრე დატოვა **ანთიების ოჯახი,** რის გამოც ხსენებული ოჯახი დაარბიეს და გაანადგურეს. როგორც **კონსტანტინე გამსახურდიას კომისიამ** დაადგინა, ამის შემდეგ პრეზიდენტის გადაადგილების თანმიმდევრობა ასეთია:

**4 დეკემბრიდან 5 დეკემბრამდე** — სოფელი ფახულანი, **გულიკო გუჩუას ოჯახი;**

**5-6 დეკემბერი** — სოფელი პალური, **გივი პაჭკორიას ოჯახი** (სოფელ ლიას მახლობლად);

**6 დეკემბერი** — სოფელი ლია, **ჩიგო გუჩუას ოჯახი;**

**6 დეკემბრიდან 9 დეკემბრამდე** — სოფელი ტყაია, **გურამ სამუშიას ოჯახი;**

**9 დეკემბრიდან 12 დეკემბრამდე** — სოფელი ჩხორია, **პალმირო თორდიას ოჯახი;**

**12 დეკემბერი** — სოფელი ზედა ეწერი, **გონელი თორდიას ოჯახი;**

**13 დეკემბერი** — სოფელი ნაცატუ, **გიული გაბედავას ოჯახი;**

**13 დეკემბრიდან 14 დეკემბრამდე** — სოფელი ობუჯი, **თამადა მესხიას ოჯახი;**

**14 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე** — სოფელი ჯაღრა, **ანზორ მებონიას ოჯახი;**

**22 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე** — სოფელი ჯიხაშკარი, **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახი;**

**27 დეკემბრიდან 1 იანვრამდე** — ძველი ხიბულა, **კარლო ღურწკაიას ოჯახი.**

**1994 წლის 1 იანვარს** გარდაცვლილი პრეზიდენტი გადაასვენეს სოფელ ჯიხაშკარში, **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში** და იქვე დაკრძალეს.

**— თუ პრეზიდენტის წამებას გამორიცხავთ, მაშინ როგორ მოხდა, რომ ზვიად გამსახურდიას მენჯისა და ბოქვენის ძვლები, ასევე ნეკნები დამტვრეული ჰქონდა?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ 1994 წლის 1 იანვარს პრეზიდენტის ცხედარი, რომელსაც **ღურწკაიების ოჯახიდან** ჯიხაშკარში, **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში** მიასვენებდნენ, რათა ეზოში საიდუმლო ვითარებაში დაემარხათ, ტრაქტორიდან თუ ტრაქტორზე გამობმული მარხილიდან გადმოუვარდათ. მეორე ვერსიით, გროზნოში, საომარი ვითარების დროს, პრეზიდენტის საფლავს ტანკმა გადაუარა. არცერთი ეს ვერსია დამაჯერებელი არ არის, რაც აძლიერებს ცდუნებას, ვიფიქროთ, რომ **ზვიად გამსახურდია** სიკვდილის წინ აწამეს, თუმცა, მე ამასაც გამოვრიცხავ!

**— მაინც როგორ მოკვდა ზვიად გამსახურდია?**

— მე მაინც ვუტრიალებ 1993 წლის 16-17 ნოემბერს სოფელ ჩვინარეში შედგენილ გეგმას, როცა დაახლოებით ჩვიდმეტმა კაცმა და მათ შორის, **ძმებმა გია და გოჩა სარიებმა** ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ხელი აუწიეს! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობისთვის საუკეთესო ადგილი იყო სოფელი ჯიხაშკარი, **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახი,** მაგრამ ეს პატიოსანი ხალხი ვერ დაიყოლიეს. თან აქ ზვიად გამსახურდია საუკეთესოდ იყო დაცული და პრეზიდენტზე განხორციელებულ თავდასხმას, დიდი ალბათობით, შევარდნაძის მომხრეებში მოჰყვებოდა მსხვერპლი. ასეთი რამ შევარდნაძის გეგმებში არ შედიოდა. ამიტომ ზვიად გამსახურდია მიზანმიმართულად წაიყვანეს **კარლო ღურწკაიას სახლში,** სადაც სპეცოპერაცია დაასრულეს და პრეზიდენტი მოკლეს! **შევარდნაძემ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ზვიად გამსახურდია მაინცდამაინც მეგრელის ხელით მოეკლა!** ზვიადის მკვლელი **ძმებ გია და გოჩა სარიებიდან** ერთ-ერთია, რომელიც დღეს საქართველოში არ იმყოფება და ჩემი ინფორმაციით, საზღვარგარეთ სხვა გვარითა და სახელით ცხოვრობს!

ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში გადახდილია დიდძალი ფული და **კიტოვანის** განცხადებით, რომელმაც **კონსტანტინე გამსახურდიას კომისიას** ჩვენება მისცა, ამ საქმეში გარეულია საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი **ავთანდილ მარგიანი.**

**— მაინც როგორ მოხდა ეს?**

— **ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში,** საერთო ჯამში, ფიგურირებს 48 კაცი. ეს 48 კაცი მეტ-ნაკლებად და ნაბიჯ-ნაბიჯ იღვწოდა იმისათვის, რათა პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს, თვითმკვლელობამდე მიეყვანათ. ეს რომ არ გამოვიდა, ადგნენ და ზვიადი მოკლეს! **სპეცოპერაციაში არ მონაწილეობდნენ რუსები.** სპეცრაზმელი, რომელსაც ერთ-ერთი სარია თან ახლდა, **კარლო ღურწკაიას სახლში** იოლად შევიდა, გააკეთა თავისი საქმე და წავიდა.

**— მაშინ რა გამოდის, გუგუშვილმა და მარგველანმა ეს ყველაფერი იციან და ხმას არ იღებენ?**

— მაგ ხალხისა არაფერი მწამს, რადგან მათი ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ან კი რა უნდა ველაპარაკო იმ ხალხს, ვინც პრეზიდენტის ვითომდა „თვითმკვლელობის" იარაღი დაზეთა, გაწმინდა და შეინახა, ხოლო ის ქვეშაგები, რომელზეც ზვიადი იწვა, დაწვა? **ყველა, ვინც ამტკიცებს — ზვიადმა თავი მოიკლაო, შევარდნაძის აგენტია!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

***თემის გაგრძელება 22-ე გვერდზე***



უშიშროების გენერალი მიხეილ ოსაძე

# „უშიშროების გენერალი მიხეილ ოსაძე ჩემთან საუბარში კატეგორიულად აცხადებდა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს!"

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



არ დაიჯეროთ, რომ პოლიტიკური გადაჯგუფება აქვთ. **ბახარია** ერქმევა, **ხაზარაძე თუ გვარამია,** ეს კოლექტიური ნაცმოძრაობაა, უბრალოდ, **გაიყვნენ და ტაქტიკა შეიცვალეს.**

„TV იმედი"

**მერაბ შეთირიშვილი**
*მწერალი*



„ქართული ოცნება" ის ძალაა, რომელიც **არც სახელმწიფოებრივ და არც ეროვნულ ინტერესებს არ დააზიანებს.** დარწმუნებული ვარ, **„ქართული ოცნება" ამ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს** და საკონსტიტუციო უმრავლესობასაც მოიპოვებს.

„საერთო გაზეთი"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



კარგი იქნებოდა, **ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ,** იმ ოჯახებთან მისულიყვნენ, რომლებმაც საკუთარ თავზე იგრძნეს მისი დანაშაულებრივი სისტემა.

„აიპრესი"

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*



ერთხელ და სამუდამოდ კანონის უზენაესობას უნდა შევეჩვიოთ, **სააკაშვილი პოლიტპატიმარი არ არის.**

„აიპრესი"

**ლეშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**მდინარაძეს** საარჩევნოდ გაახსენდა ოჯახის ღირებულებების დაცვა! **სამართლიანი არჩევნებისთვის ბრძოლა** ქუჩაში უკვე დაწყებული უნდა გვქონდეს.

„ახალი თაობა"

*თემის დასაწყისი მე-20 გვერდზე*

***ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს ულოცავს და აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას საქართველოში სოდომიის პროპაგანდას ვერც გაბედავდნენ:***



# „ზვიადი რომ არ მოეკლათ, დარწმუნებული ვარ, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უფრო აყვავებული და განვითარებული ქვეყანა იქნებოდა!“



## *ელიზბარ ჯაველიძე:*

# ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ზვიადის მკვლელობის გახსნა არც ამერიკას აწყობს და არც - რუსეთს!

— დღეს უკვე მისი დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებენ, რომ ზვიად გამსახურდია ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტია, რომელიც მთელმა საქართველომ აირჩია. ზვიადს საქართველოს გათავისუფლების გარდა არაფერი აინტერესებდა. მან იცოდა, რომ მოკლავდნენ, მაგრამ მაინც გადადგა საბედისწერო ნაბიჯი. კაცი დავბერდი, უწიგნურობას ვერვინ დამწამებს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ზვიად გამსახურდიასავით განათლებული კაცი არ შემხვედრია!** მან ფულის დათვლაც კი არ იცოდა, მაგრამ საქართველოს მტრებმა დააბრალეს — თბილისიდან ფარშევანგები, ოქროები და მილიონობით დოლარი გაიტაცაო!

კარგად იცით, ბიძინა ივანიშვილისა და ამ ხელისუფლების მადლიერი ვარ, ეს გარყვნილი სააკაშვილი რომ მოგვაშორეს, **მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამ საფეხბურთო ეიფორიისა და კიდევ სხვა მიზეზების გამო, ზვიად გამსახურდიას 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად თავს დიდად არავინ გამოიდებს.** არადა, ზვიადი რომ არ მოეკლათ, დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უფრო აყვავებული და განვითარებული ქვეყანა იქნებოდა!

**— ზვიად გამსახურდია შეეგუებოდა იმას, რომ დღეს სოდომისტები და მათთან დაკავშირებული ე.წ. პარტიები და არასამთავრობოები პირდაპირ ლობირებენ და მხარს უჭერენ გარყვნილთა ცხოვრების წესს?**

— ზვიად გამსახურდიას საქართველოში სოდომიის პროპაგანდას ვერც გაბედავდნენ! ამიტომაც მოკლეს. ჯერ აწამეს და მერე მოკლეს! ამაში ერთნაირად დამნაშავენი არიან რუსებიც და ამერიკელებიც. შევარდნაძის „მეგობარ“ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უფროსი) შემთხვევით არ უთქვამს — „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“ ეს იყო, ფაქტობრივად, სანქცია გადატრიალებაზე, რაც საქართველოს მტრებმა წარმატებით განახორციელეს.

**— თუმცა, ზვიად გამსახურდიას ზოგიერთები დღემდე ბრალს სდებენ, რომ პოლიტიკოსი არ იყო!**

— პირიქით, ზვიადის ყველა პოლიტიკური პროგნოზი ზედმიწევნით ახდა. რასაც დღეს „ხალხის ძალა“ ლაპარაკობს, ზვიად გამსახურდიამ იმაზე ლაპარაკი 35 წლის წინათ დაიწყო. ასე რომ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი არაფერში შემცდარა. კარგად ვიცი, ამ ხელისუფლებას ე.წ. კოჰაბიტაცია ამერიკელებმა მოახვიეს თავს, მაგრამ ჩემი ხალხისა გამკვირვებია, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სააკაშვილზე ლაპარაკი არა და არ ცხრება. დედამისი გიული ჩემ ხელში გაიზარდა და სააკაშვილიც ვიცი, ვინ არის! **მიშას გიული რეპეტიტორებთან დაატარებდა და ინგლისურსა და ფრანგულს ასწავლიდა, მაგრამ სააკაშვილი რა დორბლიანიც იყო, იმ დორბლიანად დარჩა!** სააკაშვილს ერთი წიგნიც არა აქვს წაკითხული. ეს არის ერთი ჩვეულებრივი გარეწარი, რომელმაც ირგვლივ თავისნაირი გარყვნილები შემოიკრიბა! ავიღოთ, თუნდაც სააკაშვილის რეჟიმის სიმბოლო **ზურაბ ადეიშვილი,** რომელიც დღეს ქვეყნიდან არის გაქცეული. იგი მამამისმა სოფელში ვიღაც ბიჭთან შეისწრო და სახლიდან გამოაგდო, როგორც „მესაჯდომე“ და „ცისფერი“! გამოგდებული ადეიშვილი შეიკედლა სააკაშვილმა და ასე დაიწყო საქართველოს ციხეებში პატიმრების გაუპატიურება, ზოგადად, ის უბედურება, რაც სამეგრელოს მიწისქვეშა სამალავებში ხდებოდა.

**— რატომ არ იხსნება ზვიადის მკვლელობა?**

— ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ზვიადის მკვლელობის გახსნა არც ამერიკას აწყობს და არც — რუსეთს! 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილმა ისე დაგვარბია, როდიონოვს რომ არ დავურბევივართ. მეორე დღეს გამოვიდნენ ამერიკელები და გამოგვიცხადეს — ხელისუფლება კანონის შესაბამისად მოქმედებდაო! ეს რას ნიშნავს? ამის შემდეგ ამერიკა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე ხმას როგორ იღებს? ისიც მთელმა ქვეყანამ იცის, რომ დღევანდელ **ხუთჯვრიან დროშას,** რომელიც კათოლიკურია, მართლმადიდებელ საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს. ხუთჯვრიანი დროშები სხვადასხვა მოდიფიკაციით გამოსახულია ინგლისის მეფის **ჰენრი მეორე პლანტაგენეტის** (1154-1189 წ.წ.) პფენინგზე, **ჯონ უმიწაწყლოს** (1199-1216) პფენინგზე, **შარლ პირველი ანჟუელის** (1266-1285 წ.წ.) ოქროს მონეტაზე, **ანრი მეორის** (1310-1324 წ.წ.) ვერცხლის მონეტაზე. დამტკიცებულია, რომ ძველ ევროპულ პორტულანებზე ხუთჯვრიანი დროშებით აღნიშნულია არამხოლოდ თბილისი და სებასტოპოლისი, ანუ სოხუმი, არამედ ყველა ის ქალაქი და ცენტრი, სადაც რომის პაპის წარმომადგენლობა, კათოლიკური კურია არსებობდა. **ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა** და მხატვარმა **დიმიტრი შევარდნაძემ** საგანგებოდ შექმნეს თეთრი გიორგის ღერბი და შვინდისფერი დროშა, რათა წარმართულ და მართლმადიდებლურ საქართველოს შორის კავშირი არ დაერღვიათ, მაგრამ სააკაშვილს გარედან უბრძანეს და ხუთჯვრიანი კათოლიკური დროშა, რომელიც, სხვათაშორის, კილიკიის სომხური სამეფოს დროშაც იყო, საქართველოს თავს მოახვია. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, სააკაშვილი საკრებულოს სახურავზე დარბოდა ამ დროშით, მაგრამ შევარდნაძემ პასუხი არ აგებინა. სამაგიეროდ, როცა 1995 წელს არჩევნები გაგვიყალბეს და პარლამენტში არ შეგვიშვეს, მე დამაპატიმრა, რადგან რამდენიმე ჟურნალისტის თანდასწრებით განვაცხადე — **თუ ერთად დავდგებით, ამ ხელისუფლებას დოლბარმონით გავაცილებთ-მეთქი!** ეს ჩამითვალეს გადატრიალებისკენ მოწოდებად.

**— ეს დროშა უნდა შეიცვალოს?**

— ცხადია, უნდა შეიცვალოს! **ეს არ არის საქართველოს დროშა, ეს დორბლიანი მიშიკოს პარტიული დროშაა!** 2019 წლის მაისში საგანგებო წერილით მივმართეთ შესაბამის კომისიას, სადაც დავასაბუთეთ, რომ ამ დროშას საქართველოსთან კავშირი არა აქვს, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

**1933 წელს, როცა ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თან მოიტანა თავისი პარტიული დროშა — სვასტიკა. ფიურერმა არჩევნებში გაიმარჯვა თუ არა, პარტიული დროშა გერმანიის სახელმწიფო დროშად აქცია. სააკაშვილიც სწორედ ასე მოიქცა.** ჰიტლერს უყვარდა გერმანია, მაგრამ სააკაშვილს სძულს საქართველო! ან **რომან გოცირიძეს,** რომელიც მეცნიერებათა აკადემიას ებრძვის, საქართველოს ბედი აინტერესებს?

**— დასავლეთის გარკვეული წრეები გვირჩევენ, მოსამართლეები უცხოელებმა შეგვირჩიონ!**

— საერთოდ, ყოველგვარი სიბილწის თავი და თავი ამერიკის შეერთებული შტატებია. კარგად მახსოვს, მე, მუხრანი და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი სააკაშვილის დროს უდანაშაულო ხალხის სასამართლოებზე დავდიოდით. მოსამართლეს გადაწყვეტილება ვერ გამოჰქონდა, თუ პროკურატურიდან თანხმობა არ იქნებოდა. მთელ ამ პროცესს წარმართავდა სწორედ ის ადეიშვილი, რომელიც მამამისმა სახლიდან გამოაგდო, როგორც „მესაჯდომე“. კი მაგრამ, მაშინ რატომ არ ლაპარაკობდნენ ე.წ. ვეტინგზე და უცხოელების მიერ მოსამართლეების დანიშვნაზე?

**— ამ ხელისუფლებას რას ურჩევთ?**

— **ამ ხელისუფლებას ვურჩევ, ზვიად გამსახურდიას მიერ გაკვალული გზით იაროს და სააკაშვილი ციხეში გადაათრიოს!** მაინტერესებს, რას ეფერებით და რას ელოლიავებით?

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „1933 წელს, როცა ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თან მოიტანა თავისი პარტიული დროშა - სვასტიკა. ფიურერმა არჩევნებში გაიმარჯვა თუ არა, პარტიული დროშა გერმანიის სახელმწიფო დროშად აქცია. სააკაშვილიც სწორედ ასე მოიქცა!“




## „ეს არ არის საქართველოს დროშა, ეს დორბლიანი მიშიკოს პარტიული დროშაა!“

# შევარდნაძის საიდუმლო




## რატომ დანიშნა გორბაჩოვმა შევარდნაძე საბჭოთა კავშირის „მთავარ დიპლომატად“

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-14*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი.***
***ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***




## შევარდნაძემ, მისდა უნებურად, მნიშვნელოვანი რამ აღიარა...

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს 1985 წელს გადასვლას მოსკოვში, როცა ახლად გახელისუფლებულმა **მიხეილ გორბაჩოვმა** მას მოულოდნელად საბჭოთა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრობა შესთავაზა:

> ***„როდესაც საკავშირო კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა დამირეკა და მითხრა, მოსკოვში უნდა გადმოხვიდე საგარეო საქმეთა მინისტრადო, მოულოდნელობისაგან ისე დავიბენი, არც კი ვიცოდი, რა მეთქვა.*** *შემდეგ კი უარი განვაცხადე. ჩემი ამგვარი პასუხი პოლიტბიუროს სხდომაზე ასე განვმარტე:* ***მე არანაირი გამოცდილება არ მაქვს, თანაც ეს თანამდებობა ტრადიციულად რუსს ეკავა. მე, არარუსი, ჩემს გადაწყვეტილებებში თავისუფალი ვერ ვიქნები-მეთქი. შემდეგში, უმეტესწილად, ამიტომაც მსაყვედურობდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომ თითქოს რუსეთის ინტერესები დავაზარალე. არადა, ვინც ოდნავ მაინც იცნობს საბჭოთა კავშირში გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს, კარგად იცის: პირველი პირის თანხმობის გარეშე იქ ვერაფერს გადაწყვეტდი“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 111).*

მოკლედ, **შევარდნაძემ,** მისდა უნებურად, მნიშვნელოვანი რამ აღიარა: **არავითარი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ არქიტექტორი და „ბერლინის კედლის“ დამანგრეველი მე არ ვარ — მხოლოდ გორბაჩოვის დავალებებითა და დირექტივებით ვმოქმედებდიო!**

რაც შეეხება **შევარდნაძის** თავდაპირველ უარს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, ის აბსოლუტურად გულწრფელია, როცა ამბობს — **მე, არარუსი, ამ თანამდებობაზე მუდმივად ეჭვიანი მზერის სამიზნეში ვიქნებოდიო!**

თუმცა, იქვე საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგება: **რად უნდოდა საგარეო საქმეზე მინისტრის თანამდებობაზე „გადაწყვეტილებებში თავისუფლება“,** როცა იქვე თავად ამბობს — **საბჭოთა კავშირში, ტრადიციულად, ყველაფერს მაინც გენერალური მდივანი წყვეტდაო!**

მოკლედ, პოლიტბიუროს სხდომაზე შევარდნაძის თავდაპირველი უარი გონივრული ნაბიჯი იყო: ის გარკვეული გარანტიების მოპოვებას ცდილობდა, რომ აქეთ შეხვეწებოდნენ — **ედუარდ ამბროსოვიჩ, შენ უნდა იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოთა სამშობლოს სჭირდებიო!**

**შევარდნაძეც** „დანებდა“ და ის პოლიტბიურომ ერთხმად დაამტკიცა საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრად, თან, ვის — თვით **ანდრეი გრომიკოს** ნაცვლად, სტალინის ეპოქისგან მოყოლებული, მთელი 30 წლის განმავლობაში რომ ხელმძღვანელობდა ამ უწყებას:

> ***„ამოსავალი წერტილი გორბაჩოვის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა ის იყო, რომ მას არა იმდენად დიპლომატი, რამდენადაც პოლიტიკოსი სჭირდებოდა, პოლიტიკოსი, რომელმაც იცოდა, რა არის ცხოვრება, იცნობდა მის იდეებს და ნამდვილ თანამებრძოლობას გაუწევდა“*** *(იქვე, გვ. 112).*

ამთავითვე, უნდა ითქვას, რომ გორბაჩოვმა მრავალმხრივ ვირეშმაკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო: პირქუში მონსტრის — **ანდრეი გრომიკოს** შემდეგ **(მას დასავლეთში „მისტერ არას“ ეძახდნენ, რადგან დასავლეთის ყველა ინიციატივაზე „არას“ ამბობდა!)** საგარეო საქმეთა მინისტრად მომღიმარი და მეტიც, პიროვნული შარმის მქონე **შევარდნაძის** დანიშვნა, მართლაც, რაღაც ახალი ეპოქის დასაწყისზე მიანიშნებდა!

მეორეც, **გორბაჩოვის** მიერ დაგეგმილი ეს დასავლეთთან დათბობის პოლიტიკა აუცილებლად გამოიწვევდა კრემლის კონსერვატიულ ბინადართა დიდ უკმაყოფილებას და **შევარდნაძე** ამ შემთხვევაში, ერთგვარი სამსხვერპლოს და სამიზნის მისკენ გადატანის როლსაც შეასრულებდა...

**შევარდნაძე** ასე აღწერს **გორბაჩოვის** თვალით დანახულ საბჭოთა კავშირის მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრს:

> ***„რა საფუძველი ჰქონდა გორბაჩოვს საიმისოდ, რომ ჩემზე ასეთი მაღალი შეხედულება შექმნოდა? ჯერ ერთი, ჩვენ წლების განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს, იგი თითქმის ყოველწლიურად ჩამოდიოდა საქართველოში. ვცდილობდი, კარგად გამეცნო მისთვის საქართველო, ჩვენი ხალხი. მაშინ საქართველოს ექსპერიმენტების ქვეყნად იცნობდნენ. თავისი ფორმითა და შინაარსით ასეთი ექსპერიმენტები უახლოვდებოდნენ საბაზრო ეკონომიკის პროცესებს, მოსახლეობა კარგად ცხოვრობდა და საკავშირო ბიუჯეტში შენატანები დროული და სოლიდური იყო...“*** *(იქვე, გვ. 112).*

ჰოდა, **გორბაჩოვსაც** ძალიან სჭირდებოდა ასეთი „ექსპერიმენტატორი“!

მემუარისტი კარგად აღწერს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხთა მთელ ნუსხას, რომელიც მაშინ „ცივი ომის“ მდგომარეობაში მყოფ საბჭოთა კავშირსა და ამერიკა-ევროპას შორის არსებობდა:

> ***„მსოფლიო ცივი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა უფრო გამწვავდა; გერმანიის გაერთიანების პრობლემა გადაუწყვეტელი იყო, ევროპის ცენტრში ნახევარმილიონიანი საბჭოთა არმია იდგა, სახელმწიფოთა ორი ბანაკის ინტერესებმა ორი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკი ჩამოაყალიბა.*** *დავუმატოთ ამას ავღანეთში საბჭოთა ჯარების ყოფნა, პრობლემები კამბოჯაში, წინააღმდეგობა ვიეტნამსა და ჩინეთს შორის, ჩინეთის დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან, ბირთვული იარაღის ფაქტორი, რასაც* ***რონალდ რეიგანის*** *სტრატეგიული კოსმოსური ინიციატივა დაემატა...“ (იქვე, გვ. 112).*

ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების მთელი ეს ნუსხა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ, თუ გორბაჩოვი ამერიკასთან „ცივი ომიდან“ სასწრაფოდ ვერ გამოაძვრენდა საბჭოთა კავშირს, ეს ყველაფერი უკვე მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი საბჭოეთისთვის სავალალოდ დასრულდებოდა! თან **შევარდნაძეს** შემთხვევით არ უხსენებია ყბადაღებული რეიგანისეული სტრატეგიული კოსმოსური ინიციატივა:

> ***„გორბაჩოვისა და ჩემმა შეხვედრამ საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღის სფეროში მომუშავე მეცნიერებთან დაადასტურა, რომ რეიგანის კოსმოსური ინიციატივა სულაც არ იყო რეალობას მოკლებული. თუ ქვეყნის ეკონომიკა ამ ტვირთს ასწევდა, კოსმოსური იარაღის შექმნა შესაძლებელი გახდებოდა.***
>
> ***საჭირო იყო სხვანაირი ხედვა ძველი და ახალი პრობლემების გადასაჭრელად, რეალური ღონისძიებების გატარება დაძაბულობისა და დაპირისპირების ატმოსფეროს განმუხტვისთვის არა ერთ ცალკე აღებულ რეგიონში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით“*** *(იქვე, გვ. 113).*

არადა, **რეიგანის** მიერ გამოცხადებული **„სტრატეგიული კოსმოსური ინიციატივა“,** რაც ამერიკის სტრატეგიული უპირატესობისთვის, კოსმოსში ბირთვული იარაღის ატანას გულისხმობდა, დიდი აფერა გახლდათ!

ეს მხოლოდ წლების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ჩამოშლის კვალობაზე გაირკვა, მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა ეს ინიციატივა შესაძლებლად ჩათვალეს და გორბაჩოვსაც უთხრეს, რომ ამერიკელებს ამაში ვერ გაეჯიბრებოდნენ, რადგან ეს კოლოსალური თანხა დაჯდებოდა — რაც მაშინ ავღანეთის ომში ჩაფლული და სასურსათო ბარათებზე გადასული საბჭოეთისთვის მიუწვდომელი იყო!

**ჰოდა, გორბაჩოვმაც ამიტომ გადაწყვიტა „მშვიდობის მტრედობა“ და „მთავარ მტრედად“ შევარდნაძის დანიშვნა...**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*„სიმსივნის წამალი ყველა დიასახლისს სახლში, სამზარეულოში უდევს, მაგრამ ვერ ხვდებიან, რა არის — უთქვამს* ***მამა პაისი ათონელს.*** *ჯანმრთელი ცხოვრების და მორალის ერთგული საზოგადოება კანაფს ნარკოტიკად მიიჩნევს და მას ემიჯნება, როგორც ჩხრიალა გველის შხამს, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ როგორც გველის შხამი შეიცავს უამრავ იშვიათ ნივთიერებას, რაც მაღალი ეფექტის მქონე სხვადასხვა მედიკამენტის დასამზადებლად არის აუცილებელი, კანაფიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეუცვლელ ნივთიერებებს და ელემენტებს შეიცავს, რომლებიც უამრავ მძიმე დაავადებას ამარცხებენ, მათ შორის, სიმსივნეებს!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამედიცინო საკითხებში კომპანია „გოლდენ ქინგსის“ კონსულტანტმა, ექიმმა-თერაპევტმა ნატალია ზარქუამ:***




## ნატალია ზარქუა:

# სიმსივნიან პაციენტებში გავრცელებული მეთოდია კანაფის ზეთის კომბინირებული მოხმარება საჭმელ სოდასთან!

— თუ ადამიანი კანაფს ნარკოტიკივით მიეტანება, ეს ძალიან მალე მის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ნერვულ სისტემაზე, მკვეთრად ნეგატიურად აისახება, მაგრამ მედალს მეორე მხარეც გააჩნია. საბერძნეთში, ჩინეთსა და ძველ ეგვიპტეში კანაფს უძველესი დროიდან მოიხმარდნენ არამხოლოდ როგორც ფსიქოტროპულ, არამედ როგორც საკვებ და სამკურნალო დანიშნულების პროდუქტს.

კანაფის დიდი დოზით და არადანიშნულებით გამოყენება იწვევს შიშებს, ჰალუცინაციებს, შფოთვებს და სხვა უამრავ უკუეფექტს, თუმცა, არცთუ შორეულ წარსულში, კანაფი ლეგალურ სასოფლო კულტურად ითვლებოდა. მისგან მზადდებოდა ზეთები, ქსოვილები, თოკები. კანაფის ფოთლებს იყენებდნენ საკვების დანამატად.

სვანეთში კანაფის საკვებ პროდუქტად, კერძოდ, სანელებლის სახით გამოყენება დღემდე აქტუალურია. ამერიკელმა, კანადელმა და რუსმა მეცნიერებმა ერთობლივად გამოიყვანეს კანაფის ისეთი ჯიშები, რომელიც ფსიქოტროპულ ნივთიერებებს თითქმის არ შეიცავს, შესაბამისად, გვერდითი მოვლენებიც არ ახასიათებთ. ზუსტად ასეთი კანაფის ჯიშების თესლიდან მიღებული ზეთი დღეს მთელ მსოფლიოში სამედიცინო მიზნებით გამოიყენება და საზოგადოების ფართო მოხმარების პროდუქტია. მთავარია, ზეთი მიიღებოდეს ცივი, მექანიკური დაწურვის მეთოდით, რათა კანაფის სასარგებლო და სამკურნალო თვისებები შენარჩუნდეს. ასეთმა ზეთმა ადამიანს ეიფორია რომ განაცდევინოს, ერთდროულად 7-8 ლიტრი უნდა მიიღოს, რაც შეუძლებელია.

**— ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან რა ნივთიერებებს შეიცავს კანაფის ზეთი?**

— კანაფის ზეთი ძალიან მდიდარია ორგანიზმისთვის აუცილებელი, ფართო სპექტრის უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებით; A, C, D, E, K, ასევე, B ჯგუფის (B1, B2, B4 ქოლინი, B6) ვიტამინებით; ქლოროფილით, ფიტოსტეროლებით, კაროტინოიდებით; მიკრო და მაკროელემენტებით, როგორებიც არის რკინა, კალიუმი, მაგნიუმი, მანგანუმი, ნატრიუმი, გოგირდი, ფოსფორი, თუთია. ასეთი შემადგენლობა საფუძველს იძლევა იმუნიტეტის გასაძლიერებლად, წონაში დასაკლებად, ასევე სხვადასხვა სნეულების ეფექტურად დასაძლევად მისი გამოყენებისთვის. ექიმის მიერ დანიშნული დოზებით კანაფის ზეთი სისხლძარღვებში ებრძვის ქოლესტერინის დაგროვებას, წმენდს სისხლძარღვებს. C, E, B6 ვიტამინები — კალიუმი, მაგნიუმი, მანგანუმი — სისხლძარღვების და გულის კუნთების მდგომარეობას აუმჯობესებენ. ათეროსკლეროზით, ჰიპერტონიით, გულის იშემიით, აგრეთვე თრომბოფლებიტით, ვენების ვარიკოზული გაგანიერებით დაავადებულებისთვის კვების რაციონში კანაფის ზეთის ჩართვის რეკომენდაციებს ექიმები იძლევიან. ეს პროდუქტი ინსულტებისა და ინფარქტების, ანემიების სამკურნალოდაც გამოიყენება, ხოლო ზედა სასუნთქი გზების კატარის, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტების, ბრონქოზიტების, პნევმონიის, ასთმის და ტუბერკულოზის, ასევე გასტრიტების, კოლიტების, ენტერიტების, კუჭის და ნაწლავების წყლულოვანი დაავადებების, ქოლეცისტიტის, ბუასილის, თირკმლების და საშარდე ბუშტის სნეულებების დროს კანაფის ზეთის კვების რაციონში ჩართვა საუკეთესო შედეგებს იძლევა. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და საუკეთესო პროდუქტია მათთვის, ვინც დიეტაზე იმყოფება, რადგან ორგანიზმს უმნიშვნელოვანესი ნაერთებით ამარაგებს და გამოფიტვისგან იცავს.

**ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კანაფის ზეთი ეფექტურად უპირისპირდება სიმსივნეს.** წამყვანი ონკოლოგები 1991 წელს გამოკითხვისას აღიარებდნენ, რომ კანაფის ზეთს ქიმიოთერაპიით გამოწვეული გვერდითი მოვლენების შესამცირებლად იყენებდნენ; ხოლო ქლოროფილის ანტიოქსიდანტური თვისება საშუალებას იძლევა, ებრძოლოს კიბოს გამომწვევ უჯრედებს და შეაფერხოს მათი გამრავლება, ანუ დროში შესამჩნევად შეაფერხოს სიმსივნის განვითარება. **ეს პროდუქტი გამოიყენება, როგორც პროფილაქტიკური საშუალება პროსტატის ადენომის, იმპოტენციის, წინამდებარე ჯირკვლის და სხვა სახის სიმსივნეთა წინააღმდეგ.**

**პირდაპირ გეუბნებით – ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა კანაფის ზეთის გამოყენებით პაციენტს ადრეულ სტადიაში სიმსივნე ბოლომდეც დაუმარცხებია!**

**— რა უკუჩვენებები აქვს კანაფის ზეთს?**

— ერთადერთი უკუჩვენება კანაფის ზეთის მიღების დროს შეიძლება იყოს ამ პროდუქტის პირადი აუტანლობა. კანაფის ზეთს წარმატებით იყენებენ კოსმეტოლოგიაში. იგი აღადგენს კანის სიმკვრივეს, ელასტიკურობას,ასწორებს ნაოჭებს, კანს კვებავს და იცავს ნაადრევი დაბერებისგან, აუმჯობესებს თმის სტრუქტურას, მოცულობას, ბზინვარებას და სინაზეს ანიჭებს. ეფექტური საშუალებაა თმის მტვრევადობის, გაყოფილი ბოლოების და სიმშრალის წინააღმდეგ. კანაფის ზეთი იხმარება როგორც გარეგანი წასასმელი საშუალება — დამწვრობის შემთხვევაში დაზიანებული სხეულის ნაწილზე ადებენ კანაფის ზეთის და კვერცხის ცილის ნაზავს 1:1 შეფარდებით 2 საათის განმავლობაში; სურავანდის და წითელი ქარის დროს დაზიანებულ ადგილას იდებენ კანაფის ზეთის კომპრესს; რეკომენდებულია შეზელა კანაფის ზეთის წელის არეში რადიკულიტის შეტევების დროს; მასტოპათიის შემთხვევაში რეკომენდებულია კომპრესი ანთებითი პროცესის ადგილას. კანაფის ზეთს იყენებენ ნებისმიერი სახის სამკურნალო მასაჟის დროს. განსაკუთრებით ეფექტურია ართრიტების, ართროზის, რევმატიზმის, ოსტეოქონდროზის შემთხვევებში. ეფექტის გასაძლიერებლად 1 სუფრის კოვზი კანაფის ზეთს შეიძლება დავუმატოთ 1-3 წვეთი როზმარინის და შროშანის ზეთი. კანაფის ზეთი აუცილებელიც კია ბავშვის ორგანიზმის სრულყოფილი განვითარებისათვის, რადგან ცხიმოვანი მჟავების ძირითად, ხოლო ვიტამინების და მიკროელემენტების დამატებით წყაროს წარმოადგენს. ნევროზების, უძილობის, ბავშვთა აუტიზმის, ყოფაქცევის სხვადასხვა აშლილობის, ჰიპერაქტიურობის, ყურადღების დეფიციტის სინდრომის, ფსიქომოტორული რეაქციების დაქვეითების დროს კანაფის ზეთი მისწრებაა.

**— სიმსივნიანმა პაციენტებმა კანაფის ზეთი როგორ და რა დოზებით მოიხმარონ, რათა შედეგი თვალსაჩინო იყოს?**

— **სიმსივნიანმა პაციენტებმა 2 თვის განმავლობაში შეუწყვეტლივ კანაფის ზეთი დილა-საღამოს, ჭამის წინ 15 წუთით ადრე, სუფრის კოვზით უნდა მიიღონ**. ამის შემდეგ შეუძლიათ, დოზა შეამცირონ, დღეში სამჯერ ჩაის კოვზით მიიღონ; ასევე, საკვებთან ერთად აუცილებლად უმად, თერმული დამუშავების გარეშე მიირთვან, ვთქვათ, მოასხან სალათას და სხვადასხვა საკვებს, ოღონდ, წყლის დაყოლების გარეშე. **სიმსივნიან პაციენტებში ცნობილი და გავრცელებული მეთოდია კანაფის ზეთის საჭმელ სოდასთან ერთად კომბინირებული მოხმარება.** ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით საჭმელ სოდას სიმსივნის წინააღმდეგ, თავის მხრივ, მკვეთრი ზემოქმედების უნარი გააჩნია, კანაფის ზეთთან კომბინირებული მოხმარება კი გაცილებით ეფექტურ შედეგს იძლევა.

**— კლასიკური მედიცინა იძლევა ასეთი მეთოდის გამოყენების რეკომენდაციას?**

— ამ კუთხით ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს, ამ მეთოდის მომხრეების თვალსაზრისით, სიმსივნიანი პაციენტების უმრავლესობას ორგანიზმში დარღვეული აქვთ მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის ბალანსი, იგივე PH, რაც იმუნიტეტის მკვეთრ დაქვეითებას განაპირობებს, ხოლო საჭმელი სოდა ზრდის რა ტუტიანობას, ამით აფერხებს სიმსივნური უჯრედების გამრავლებას! ამავე ფუნქციას ასრულებს კანაფის ზეთში შემავალი ქლოროფილიც! ამიტომ, სოდის და კანაფის ზეთის კომბინირებული გამოყენება მოქმედების ეფექტს შეუდარებლად ზრდის. ინტერნეტში ზღვა მასალას შეხვდებით ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ. ასეთი თერაპია უარყოფით ეფექტს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იძლევა, როდესაც პაციენტს მომატებული ტუტიანობა ახასიათებს, ასეთ დროს სოდის გამოყენებას პაციენტი უნდა მოერიდოს ან გასტროენტეროლოგთან შეათანხმოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი მხოლოდ კანაფის ზეთის გამოყენება სრულიად უვნებელია!

**— რანაირად შეიძლება პაციენტმა კანაფის ზეთი და სოდა კომბინირებულად მიიღოს?**

— მაგალითად, პაციენტებში გავრცელებულ ერთ მეთოდს აგიწერთ:

*დილით უზმოზე ერთ ჩაის კოვზ სოდას დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. მოვურიოთ და დავლიოთ, როდესაც ნელთბილი გახდება. დალევიდან 40 წუთის შემდეგ მივიღოთ ერთი სუფრის კოვზი კანაფის ზეთი. ასე მოვიქცეთ 3-4 კვირის განმავლობაში.*

კურსის განმეორება შესაძლებელია 3 თვის შემდეგ, თუმცა, შეგვიძლია, გავაგრძელოთ კანაფის ზეთის მიღება სოდის გარეშე. როგორც ექიმი, ონკოლოგიურ პაციენტებს ვურჩევ, ყოველი შემთხვევისთვის, ასეთი თერაპიის კურსი პირად მკურნალ ექიმთან შეათანხმონ.

**— სად ვიშოვოთ კანაფის ზეთი?**

— იმპორტული კანაფის ზეთი საქართველოში მრავლად შემოდის და იყიდება სუპერმარკეტებში. ასევე იყიდება აფთიაქებშიც. მისი ფასი მწირი ბიუჯეტის მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომია. ბოთლზე მიკრულ ეტიკეტზე წერია ზეთის შემადგენლობა, დამზადების ტექნოლოგია და შენახვის პირობები. **როგორც ექიმი, რეკომენდაციას ვიძლევი მხოლოდ ცივი მექანიკური დაწურვის შედეგად მიღებულ ზეთზე, რომელსაც შენარჩუნებული აქვს სამკურნალო თვისებები.**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***




## „საჭმელ სოდას სიმსივნის წინააღმდეგ მკვეთრი ზემოქმედების უნარი გააჩნია!“

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი **კახა საბახტარიშვილი** აცხადებს, რომ ე.წ. კბილის ქვები სხვა არაფერია, თუ არა კარიესის შედეგად დაშლილი და გაფუჭებული კბილებისგან წარმოქმნილი კირქვის გროვა, რომლის ქვეშაც მავნე ბაქტერიების მთელი კოლონია იმალება:*

# კახა საბახტარიშვილი:

# ვერანაირი ბუნებრივი კბილის პასტა ვერ გვიშველის და კბილებსა და ღრძილებს ვერ დავიცავთ, თუ C ვიტამინის დეფიციტი გვაქვს!





**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

— კბილებისთვის ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. **კბილის ქვები.** ეს არის კბილის შიდა ზედაპირზე წარმოქმნილი მოყვითალო, მყარი ნადები, რომელიც კალციუმით არის დაფარული. საერთოდ, კბილებზე ნადები ყოველი ჭამის შემდეგ წარმოიქმნება. **თუ ადამიანი კბილებს რეგულარულად არ იხეხავს და შაქარსა და შაქრის შემცველ საკვებს ხშირად ღებულობს, მაშინ პირის ღრუში დარჩენილი შაქარი შესანიშნავ საკვებად იქცევა იმ მავნე ბაქტერიებისთვის, რომლებიც კარიესს იწვევენ.**

როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, კარიესის გამომწვევი ბაქტერიების ცხოველქმედების შედეგად პირის ღრუში მჟავები გამოიყოფა, რომლებიც შლიან კბილს და გამოყოფილ კალციუმს ჯავშნად იყენებენ. სწორედ ეს არის **კბილის ქვა.**

**— ე.ი. კბილის ქვა ერთგვარი კალციუმის სარკოფაგია, რომლის ქვეშაც ბაქტერიების კოლონიაა მოქცეული?**

— დიახ, იმისათვის, რომ მავნე ბაქტერიებმა თავი გადაირჩინონ და პირის ღრუში საკვებთან ერთად მოხვედრილ სხვადასხვა მჟავებსა და ტუტეებს გაუძლონ, კბილის ქვების სახით იკეთებენ კალციუმის ჯავშანს და მის ქვეშ შესანიშნავად გრძნობენ თავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ წარმატებით ანადგურებენ კბილებს. მსგავსი მოვლენა ბუნებაშიც შეიმჩნევა. ალბათ, ბევრი შეამჩნევდით, რომ, თუ მდინარის, ტბის, გუბისა და წუმპის ფსკერიდან ამოღებულ ქვას ხელში დავიჭერთ, ის ერთგვარი ლორწოთია დაფარული. ეს სწორედ კალციუმისგან წარმოქმნილი კბილის ქვების ანალოგიური ბიომემბრანაა, რომლის ქვეშაც უამრავი ბაქტერია, მიკრობი და სოკო შეიძლება იყოს! გარემოს ზემოქმედებისგან მათ სწორედ ბიომემბრანა იცავს. აქედან გამომდინარე, **თუ გვინდა, რომ ჯანსაღი კბილები გვქონდეს, ყოველი ჭამის შემდეგ პირის ღრუ საჭმლის ნარჩენებისგან უნდა გავისუფთაოთ და არ დავუშვათ კბილის ქვების წარმოქმნა!**

**— რა არის საჭირო ამისათვის? თუ ე.წ. კბილის ქვები გვაქვს, როგორ უნდა მოვიშოროთ ისინი?**

— წინა ინტერვიუში აღვწერეთ **სოდაზე დამზადებული ბუნებრივი რეცეპტურა,** რომელიც არამარტო კარიესს აგვაცილებს, არამედ კბილის ქვების წარმოქმნასაც შეუშლის ხელს. არსებობს სხვა არანაკლებ საინტერესო და ეფექტური საშუალებანი, რომლებიც გვიცავენ კარიესისგან და კბილის ქვებისგან, ანუ კბილების გაყვითლებისგან! ერთ-ერთი ასეთი საოცარი პროდუქტია **ქოქოსის ზეთი,** რომელიც დღეს უკვე ყველგან იყიდება. იგი სარგებლიანობით ზეითუნის ზეთს არ ჩამოუვარდება და მრავალ სასარგებლო ნივთიერებასთან ერთად დიდი რაოდენობით შეიცავს კბილებისთვის სასარგებლო **ლაურინის ცხიმოვან მჟავას.** ეს მჟავა კარიესის გამომწვევი მავნე ბაქტერიების დაუძინებელი მტერია.

ლაურინის მჟავას ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია. ამიტომ ის პირის ღრუსა და ღრძილებში მიმდინარე ანთებითი პროცესების ჩასაცხრობად და სამკურნალოდ შეუცვლელი პროდუქტია. **საკმარისია, ქოქოსის ზეთი თუნდაც ერთი თვის განმავლობაში გამოვიყენოთ, რომ კბილის ქვების რაოდენობა 70-80 პროცენტით შემცირდება! ხოლო, თუ ქოქოსის ზეთს ქვემოთ მოყვანილი რეცეპტურის სახით მოვიხმართ, მაშინ კბილის ქვები შესაძლოა, საერთოდ გაქრეს!**

ქოქოსის ზეთზე დამზადებული ბუნებრივი კბილის პასტა შემდეგნაირად მზადდება: *1 ჩაის კოვზ ქოქოსის ზეთს დავუმატოთ ნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, კარგად ავურიოთ ერთმანეთში და დავასხათ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი წყალბადის ზეჟანგი, ანუ ე.წ. „პერეკისი“. თუ მიხაკის ზეთზე ხელი მიგვიწვდება, მიღებულ მასას დავასხათ 3-4 წვეთი. საბოლოო ჯამში ხელში შეგვრჩება სრულიად ბუნებრივი და ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო კბილის პასტა, რომლითაც დილით უზმოზე და ყოველი ჭამის შემდეგ კბილები და ღრძილები უნდა დავიმუშაოთ!*








**„საკმარისია, ქოქოსის ზეთი თუნდაც ერთი თვის განმავლობაში გამოვიყენოთ, რომ კბილის ქვების რაოდენობა 70-80 პროცენტით შემცირდება!“**





**„ნაძვის ფისს და, შესაბამისად, მისგან დამზადებულ კევს უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია!“**

კბილების კარგი მეგობარია ფუტკრის პროდუქტი — **პროპოლისი,** რომელსაც ფუტკრის წებოს, ან ფუტკრის ფისს უწოდებენ. პროპოლისს ფუტკრები ამზადებენ და მისი საშუალებით სკის ღრიჭოებს ავსებენ. ამით ისინი სკას მავნებლებისგან და დაბინძურებისგან იცავენ. **პროპოლისს უძლიერესი სოკოს საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებები გააჩნია. ის იმდენად ძლიერია, რომ წარმატებით ებრძვის ოქროსფერ სტაფილოკოკს, ეშერიხია კოლის და კანდიდას.** აღარაფერს ვამბობთ პირის ღრუში არსებულ და კარიესის გამომწვევ ბაქტერია **სტრეპტოკოკუს მუტანსზე.**

**— პროპოლისი უნდა დავლეჭოთ თუ მისი გამოყენების სხვა ხერხი არსებობს?**

— **პროპოლისი** იმდენად უნივერსალური და უვნებელი პროდუქტია, მისი ნებისმიერი სახით გამოყენება ეფექტურია. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ადამიანს თაფლსა და მისგან ნაწარმოებ პროდუქტებზე ალერგია აქვს. კბილების გასათეთრებლად, რაც კბილის ქვების მოშორებას გულისხმობს და ღრძილებისთვის გასამაგრებლად, განსაკუთრებით ეფექტურია პროპოლისის ნაყენი, რომელიც ოჯახურ პირობებში ასე მზადდება: *პროპოლისი მოვათავსოთ მაცივარში და კარგად გავყინოთ. ასეთ მდგომარეობაში პროპოლისი ადვილად დაქუცმაცდება. დაქუცმაცებულ პროპოლისს დავასხათ 70-პროცენტიანი სამედიცინო სპირტი თანაფარდობით ერთი ათზე, ანუ 100 გრამ პროპოლისს უნდა დავასხათ 1 ლიტრი სპირტი. მასა მოვათავსოთ მუქ ბოთლში და 2 კვირის განმავლობაში თბილ და ბნელ ადგილას ვამყოფოთ. პერიოდულად ვანჯღრიოთ. მივიღებთ პროპოლისის ნაყენს, რომელიც 2-3 წელი ინახება და თვისებებს არ კარგავს. გამოყენების წესი შემდეგნაირია: ნაყენის 30 წვეთი გავხსნათ 100 გრამ თბილ წყალში და მიღებული ხსნარი დღის განმავლობაში პირში ორ-სამჯერ გამოვივლოთ!*

**— ამბობენ, რომ კბილების გასათეთრებლად, ანუ კბილის ქვების მოსაშორებლად ძალიან ეფექტურია ნაძვის კევი. რას იტყვით?**

— მართალია! ნაძვის ფისში უამრავი ვიტამინი, მიკროელემენტი და ცხიმოვანი მჟავა შედის. ქოქოსის ზეთისა და პროპოლისის მსგავსად, ნაძვის ფისი კბილის ქვებისა და ღრძილების ანთების დაუძინებელი მტერია! **ნაძვის ფისს და, შესაბამისად, მისგან დამზადებულ კევს უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია.** ნაძვის კევი რომც გადავყლაპოთ, ის სარგებლობის მეტს არაფერს მოგვიტანს და კუჭ-ნაწლავის ანთებით პროცესსაც შეებრძოლება.

ზოგიერთები კბილების გასათეთრებლად **ნიგვზის წენგოსაც** იყენებენ. უმწიფარი ნიგვზის წენგო კბილებს მართლაც ათეთრებს, მაგრამ მასში შემავალი მწარე ნივთიერებები ღრძილებს აღიზიანებს, ამიტომ კბილების გასათეთრებლად ნიგვზის წენგოს უნდა ვერიდოთ!

კბილებისა და ღრძილებისთვის ძალზე სასარგებლოა ყველანაირი სახის **წიწაკა!** წიწაკასთან ერთი ძალიან საინტერესო ამბავია დაკავშირებული. ხომალდების ფსკერს, რომელიც წყალშია მოქცეული, ხშირად ეკვრის ზღვის ორგანიზმები, ბაქტერიები და სხვადასხვა სახის მოლუსკები, რომლებიც გემს ამძიმებენ და აზიანებენ. **1990 წელს ერთმა მეზღვაურმა, რომელიც ცხარე წიწაკით შეკაზმულ სენდვიჩს მიირთმევდა, გაიფიქრა, რომ ცხარე წიწაკა გემის ფსკერზე მიკრულ ორგანიზმებს დისკომფორტს შეუქმნიდა.** მან დააპატენტა საღებავი, რომელშიც წიწაკა გაურია. იმ დღიდან მოყოლებული, ხომალდების ფსკერს სწორედ ასეთი საღებავებით ღებავენ, რაც ასი პროცენტით უზრუნველყოფს გემების ფსკერის დაცვას ზღვებისა და ოკეანეების ორგანიზმებისგან! ამის მეცნიერული ახსნა ძალიან მარტივია — **წიწაკის ყველა სახეობა შეიცავს დიდი რაოდენობით C ვიტამინს, რომელიც მავნე ბაქტერიებისა და ორგანიზმების დაუძინებელი მტერია.** სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენი რჩევა ასეთია: ვერანაირი ბუნებრივი კბილის პასტა ვერ გვიშველის და კბილებსა და ღრძილებს ვერ დავიცავთ, თუ **C ვიტამინის დეფიციტი** გვაქვს!

**„კბილებისა და ღრძილებისთვის ძალზე სასარგებლოა წიწაკა!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# მერაბ კოსტავას მეუღლის

## რუსუდან ბერიძე:

## ირაკლი თავის თავთან მარტო რომ დარჩებოდა, წერდა ლექსებს, რომლებშიც მოახლოებული სიკვდილის სუნთქვა იგრძნობოდა!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №10-14*

***რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.***



რუსუდან ბერიძე შვილის – ირაკლი კოსტავას საფლავზე

1985 წელს სევდიანები და დამძიმებულები შევხვდით. მერაბი შიმშილობას აგრძელებდა, ნესტიან საკანში ტუბერკულოზით დაავადდა. ყოველდღე ცუდი ამბის მოლოდინში ვიყავი. ძალიან მიყვარდა ყავის ჭიქის გადაბრუნება. **ყოველ საღამოს ჭიქას რომ გადავაბრუნებდი, ჭიქის ფსკერზე კუბო იდგა და ასე ყოველ საღამოს... მთელი იანვარი... აცხონოს ღმერთმა, ალექსანდრე მირიანაშვილს ვურეკავდი სუკში და იმას მაინც მაცნობებდა, რომ მერაბი ცოცხალი იყო.**

1984 წლის უმეტესი ნაწილი **ირაკლი** ჯავახიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. ჯერ ერთი, **ოლიკოს** უჭირდა უკვე მარტო ყოფნა. მეორეც, ირაკლის ძალიან უყვარდა მერაბის ბინა ჯავახიშვილის ქუჩაზე. მეტი ფართობი იყო, ვიდრე ჩემს სტანდარტულ ბინაში, ეზო იყო მშვენიერი, ქალაქის ცენტრშია მერაბის ბინა, ირაკლის მეგობრები თითქმის ყოველდღე იქ იკრიბებოდნენ. მე ჯავახიშვილის ქუჩის ბინა მერაბს რომ გავყევი, იმ დღიდან არ მიყვარდა. არც კი ვიცი, რა არის სახლის ასეთი ამოჩემება. ეტყობა, წინათგრძნობა იყო...

ირაკლი ამ დროისთვის მაღალი, ლამაზი, სიცოცხლით სავსე ბიჭია. მეგობრების სული და გული, ყველა მეგობარი ირაკლისგან ელის გამხნევებას, ყველა ცალ-ცალკე ირაკლისთან მიდის თავისი მორალური სიმძიმილის გასაზიარებლად (1984 წელს, არ მახსოვს, რა დღე იყო, ეს ჩემთან იყო, საბურთალოზე, **კოკო გამსახურდია** მოვიდა, ზვიადის ვაჟი. შეშლილი სახე ჰქონდა. ირაკლიმ თავის ოთახში შეიყვანა. დილის 10 საათი იყო, რომ მოვიდა. საღამოს 6 საათამდე ოთახში ისხდნენ. ორ-სამჯერ შევედი, საჭმელი და ყავა შევუტანე. ჩემი შესვლისას საუბარს წყვეტდნენ. დამშვიდობებისას გავიგონე, **„ირაკლი, დიდი მადლობა, შენ დღეს მე გადამარჩინე“.** რომ ჩავეკითხე, ირაკლიმ მიპასუხა, დეპრესიული განწყობა ჰქონდა და თვითმკვლელობაზე ფიქრობდა სერიოზულადო. ეს ერთი მაგალითია იმ მრავალთაგან, როცა ირაკლი სულიერ მხნეობას უბრუნებდა მეგობრებს).

ირაკლის უყვარს მშვენიერი გოგონა, ისიც სიყვარულით პასუხობს **(28 წელი გავიდა ირაკლის სიკვდილიდან, ის გოგონა ახლა ორი შვილის დედაა, როცა ირაკლი ძალიან მოენატრება, როგორც თვითონ მეუბნება, ჩემთან მოდის, თავის ნახატებს მომიტანს, რომლებიც ირაკლის ლექსების თემებზეა და დიდხანს, დიდხანს ერთად ვიგონებთ ირაკლის).** ირაკლი ყველაფერს ასწრებს. ძალიან ბევრს კითხულობს. მეგობრებს ხვდება, უყვარს ლამაზად ჩაცმა, გემრიელი საჭმელი, ღვინო. ძალიან კარგი თამადობა იცის სუფრასთან. საოცარი იუმორის გრძნობა აქვს, უამრავი ლექსი იცის ზეპირად და მშვენივრად კითხულობს მათ. ყველასთან თბილი და ალერსიანია. საერთო ენას პოულობს ყველა ადამიანთან **(მე ძალიან კარგი მამიდა მყავდა — შუშანა ბერიძე-მახარაძისა. მის ოჯახში ვცხოვრობდი სტუდენტობის დროს და დედასავით მიყვარდა. ასაკში რომ შევიდა, სკლეროზი დაემართა. სანახავად კი დავდიოდი, მაგრამ ჩემთვის წამება იყო მისი ნახვა. იუმორით სავსე, გონებაგახსნილი ქალისგან არაფერი რომ აღარ დარჩა, ვერ ვიტანდი. აი, ირაკლი თავისი ინიციატივით მიდიოდა მამიდაჩემთან, საათობით იჯდა მასთან და ართობდა).**

ირაკლი ფათერაკიანი იყო. არასოდეს თვითონ არ დაიწყებდა ჩხუბს, მაგრამ, თუ წაეჩხუბებოდა ვინმე, უკან არასოდეს არ დაიხევდა. ალბათ, ხუთჯერ მაინც მყავს დახსნილი მილიციიდან ხან ფულით, ხან ნაცნობობით **(ისიც უნდა ვთქვა, ამ წლებში არც მე, არც ირაკლის არავინ გვდევნიდა. თორემ მერაბის გამწარებას თუ მოინდომებდა საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება, ირაკლის დაპატიმრება დიდი პრობლემა არ იყო, საბაბის პოვნა საჭირო არ იყო, თვითონ ხშირად იძლეოდა ამ საბაბს).**

ასეთი ირაკლი თავის თავთან მარტო რომ დარჩებოდა, წერდა ლექსებს, რომლებშიც მოახლოებული სიკვდილის სუნთქვა იგრძნობოდა.

1984 წელს, ჩემი რჩევით, ირაკლიმ თავისი ლექსები მერაბის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს, შესანიშნავ ქართველ მწერალს **გურამ დოჩანაშვილს** მიუტანა. გურამის მოთხრობები და რომანები თვითონ ირაკლის ძალიან უყვარდა და წარმოიდგინეთ, რა გულისფანცქალით ელოდა გურამის აზრს. გურამი ძალიან კეთილი და თბილი ადამიანია, საერთოდ. არ ვიცი, მაშინ რა მოხდა, რატომ მოუვიდა ეს. მაგრამ გულგრილად გადაშალა საქაღალდე, რომელიც ირაკლიმ მიუტანა: **„ა, ლექსებიაო, — უთხრა, — ჯობია, ეს იმასთან წაიღეო“** და დახურა საქაღალდე. კიდევ ვიმეორებ, არ ვიცი, რატომ მოუვიდა გურამს ეს. მერაბის ვაჟი მივიდა მასთან, ხომ ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ირაკლისთვის მის გამამხნევებელ სიტყვას. შეშინდა? არ მინდა, ასე ვიფიქრო, იქნებ თავისი საწუხარი ჰქონდა მაშინ, მაგრამ მაინც... **იმ ვილაცასთან ირაკლი, ცხადია, არ წასულა. მაგრამ გურამისთან მისვლა საშინელი დარტყმა იყო...**

1983 წელს მოხდა თვითმფრინავის ცნობილი გატაცება. **გეგა კობახიძე** ირაკლის ახლო მეგობარი იყო. ძალიან ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში. ძალიან ლამაზი, არაჩვეულებრივად ზრდილი და წყნარი ბიჭი იყო. სასამართლო ტელევიზიით აჩვენეს. საშინელი ფარსი იყო. ერთი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გამოვიდა — **თინა ონიანი,** ვიცნობდი, ჩემს სკოლაში სწავლობდა. ცუდად არ სწავლობდა, ლექსებსაც წერდა. **ეს ქალი ლამის გაჭკიოდა, ისე მოითხოვდა, დახვრიტეთ, ესენი სიცოცხლის ღირსნი არ არიანო.** ამ ბიჭებთან ერთად მღვდელი დააპატიმრეს — **ჩიხლაძე.** ის საერთოდ არათუ თვითმფრინავში არ ყოფილა, ორი წელი ამ ბიჭებთან ურთიერთობაც გაწყვეტილი ჰქონდა. ორი წლის წინათ, თურმე, თვითმფრინავის გატაცების იდეა შეუთავაზებია ამ ბიჭებისთვის. ამ **თინა ონიანს** მღვდელმა მიმართა „ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ხართ, ნუთუ ოლღა გურამიშვილის შესახებ მაინც არ გაგიგიათ, ილია ჭავჭავაძის მკვლელების შეწყალება რომ მოითხოვაო. მღვდელი ითხოვდა, მე დამხვრიტეთ, ბიჭებს ნუ მიუსჯით დახვრეტასო (ბიჭებში ერთი ოჯახიდან ორი ძმა იყო — ივერიელები). მღვდელსაც დახვრეტა მიუსაჯეს და ბიჭებსაც. **ირაკლი სასამართლო პროცესს მეგობართან უყურებდა. შეშლილი სახით დაბრუნდა სახლში. აბაზანაში კედელს თავს ურტყამდა და მწარედ მოთქვამდა, მე და ელიკო ორივენი ვტიროდით, თან ირაკლის დამშვიდებას ვცდილობდით...**

•

მერაბი კვლავ აგრძელებდა შიმშილობას. 1985 წლის 31 იანვარს საღამოს ირაკლი ჩემთან მოვიდა. იმ საღამოს ოზურგეთში მივდიოდი სამ დღით. როცა ჩამოვიდოდი, ორი დღით მოსკოვში უნდა წავსულიყავი. ჩემი მეგობრის **ლიანა პაქსაშვილის** ვაჟი დისერტაციას იცავდა და დაცვაზე ლიანას მეგობრებიც მივდიოდით. **ირაკლის იმ დღეს გაეგო, რომ მერაბი ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი ოთხ სხვა საბჭოთა დისიდენტთან ერთად.** კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა, ახალ ანეკდოტებს მიყვებოდა, მოსკოვში მაბარებდა, ჯინსები და სპორტული ჩანთა მიყიდეო. დაწვრილებით ჩამაწერინა, რა ფირმის ჯინსები და რა ფირმის ჩანთა უნდა მეყიდა. ჯავახიშვილზე ტელევიზორი გაფუჭდა და ახალი ტელევიზორი მიყიდეო. დავპირდი, როგორც კი მოწაფეები ფულს მომიტანენ, გიყიდი-მეთქი. **წუხდა, მერაბი ვერ გაიგებს, რომ ნობელის პრემიაზე არის წარდგენილი. როგორ მოვახერხოთ, რომ შევატყობინოთო.** ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ჩვეულებრივზე უკეთესადაც კი ბოლო დღეების ნერვიულობასთან შედარებით...

ეს იყო ხუთშაბათი საღამო. შაბათს მატარებლით გამოვბრუნდი მახარაძიდან თბილისში. მატარებელში ღამის სამ საათზე გამეღვიძა. დილამდე თვალი არ მომიხუჭავს. არც წინათგრძნობა, არც ცუდი ფიქრები, უბრალოდ, არ დამეძინა...

სახლში ტაქსით მივედი, დედაჩემმა ინდაური გამომატანა, მოსახარშად დავდგი და ტელეფონისკენ წავედი, რომ ირაკლისთვის დამერეკა, სადილად მეგობრებთან ერთად მოსულიყო. ტელეფონზე ვიღაცამ მიპასუხა და მითხრა, ოლიკო ცუდად არის და სასწრაფოდ წამოდიო. ჩანთაში დედაჩემის გამოტანებული ხაჭაპურები ჩავაწყვე და წასასვლელად გავემზადე. ამ დროს ზარი დაირეკა და მერაბის ნათესავი **ნუგზარ ბუაჩიძე** მოვიდა. **„რუსიკო, ირაკლი კარგად ვერ არის და მანქანით მოგაკითხეთო“.** ჯერ არ შემშინებია. სასწრაფოდ წავყევი. მანქანაში ჩემი მეგობარი **ზეინაბ ებრალიძე და ელიკო გოგუაძე** ისხდნენ. ზეინაბი? დილის ცხრის ნახევარზე? **„ზეინაბ, შენ საიდან ხარ ამ მანქანაში-მეთქი“.** ახლა მივხვდი, რომ ჩემს თავზე რაღაც უბედურება იყო. სახლს რომ მივუახლოვდით, **ნუგზარმა** მითხრა, ირაკლი ძალიან ცუდად არისო. კარებში შესულს ოლიკომ მომატირა: **„შვილო, ირაკლიმ თავი ჩამოიხრჩო“.** რამდენიმე წუთი გაქვავებული ვიჯექი. ცნობიერება საშინელებას ჩემთან არ უშვებდა. მერე **ელიკო** დავინახე, კარებში იდგა, სახე არ ჰქონდა და ულამაზესი გოგო საშინელი მახინჯი იყო. ელიკოს სახეზე შეხედვამ გონს მომიყვანა...

ყველაზე საშინელი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მოხდა, ის დღეები მაინც სიზმარივით მახსოვს. მახსოვს, **ირაკლის** მეგობრები კუბოსთან რომ ბღაოდნენ. **ირაკლი კუბოში საოცრად ლამაზი იწვა, ტანჯვის ნაკვალევი არ ეტყობოდა. ხოლო იმ ფანჯრის ქვევით, რომლის რკინის გისოსებზე საკუთარი გრძელი კაშნეთი თავი ჩამოიხრჩო, კედელი სულ გამონგრეული იყო, კონვულსიებში ფეხებს ურტყამდა კედელს...**

**ღმერთო, რა ძნელია ამაზე წერა...**

ჩემი მეგობრები უკვე ჯავახიშვილზე დამხვდნენ. ალიონზე შეუტყობინებიათ **მირა მეგელისთვის,** ჩემი მეზობლისა და მეგობრისათვის და მან შეატყობინა ჩემს ჩამოსვლამდე ყველას. ცოტა ხანში **ზვიად გამსახურდია** მოვიდა. **მერაბს დეპეშა გავუგზავნოთ, ვალდებულნი არიან, შვილის დაკრძალვაზე გამოუშვანო. ვინ გამოუშვებდა, ან ფიზიკურად როგორ შეძლებდა ჩამოსვლას, არც თვითონ ზვიადს უფიქრია ამაზე, არც მე მქონდა ამისი თავი და მექანიკურად დავთანხმდი.**

ირაკლის დაღუპვამ მთელი ქალაქი შეძრა (მაშინ ჯერ არ ვიყავით მიჩვეულნი ახალგაზრდების დაღუპვას), დაიწყო ჭორების გავრცელება, რომ ეს სუკის გაკეთებული იყო. ეს ზვიადის აზრი იყო უპირველესად. მან ელიკო გაიხმო და უთხრა — **ირაკლის ამხანაგებს უთხარი, რომ ეს სუკის გაკეთებული არის და დემონსტრაცია მოაწყონო, ელიკომ კატეგორიული უარი უთხრა, ირაკლის მეგობრებს თავისი უბედურება ეყოფათ და ირაკლის დაკრძალვა დემონსტრაციის ადგილი არ არისო.**

მერე მერაბის მეგობრები მოვიდნენ. **ვოვა (ვლადიმერ) სიხარულიძე, ჯონდო მეტრეველი, აკაკი ვასაძე, გურამ სხირტლაძე, გურამ ცერცვაძე, გურამ დოჩანაშვილი** და სხვები. **ზვიადის მიმართ მათი განწყობა თითქმის მტრული იყო. ფაქტობრივად, გარიყული იყო მთელი იმ დღეების განმავლობაში.**

მე არც მაშინ მჯეროდა და ახლა, ამდენი წლის შემდეგაც არ ვფიქრობ, რომ ირაკლის დაღუპვა სუკის მიერ იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული. ჩემი ბიძაშვილი **ავთო ბერიძე** ესწრებოდა ირაკლის გაკვეთას. ძალადობის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა. არც ნარკოტიკის, არც საძილე საშუალების ნიშანი ჰქონდა რაიმე. წინა სა-



ირაკლი კოსტავა, ირაკლი ჩარკვიანი და გეგა კობახიძე

# უცნობი დღიურები




ღამის **ვახუშტი კოტეტიშვილის** სახლში იყო სტუმრად, თამადა იყო სუფრასთან. საოცრად კარგ ხასიათზე ყოფილა, ძალიან ბევრს ხუმრობდა, ლექსებს კითხულობდა. ღამის სამ საათზე ჩემს მეგობარ **ზეინაბ ებრალიძეს** ესაუბრა ტელეფონით, მე რომ თბილისში არ ვიყავი, ზეინაბმა სთხოვა, სახლში რომ მივიდოდა, დაერეკა მისთვის. გაუცინია და უთქვამს: **„ზეინაბ დეიდა, მე ყურმილს დავკიდებ და თქვენ დამირეკეთ, რომ შეამოწმოთ სახლში რომ ვარ ნამდვილად“.** ზეინაბს დაურეკავს. რამდენიმე წუთი ღიმილით და იუმორით უსაუბრიათ. მერე თავის უახლოეს მეგობარს ზურა წერეთელს დაურეკა. ზურას უკითხავს, ირაკლი მთვრალი ხარო? არაო, უპასუხია, თუ გინდა, ახლა შენთან მოვალო. ზურას უფიქრია, ამ ღამით სახლიდან რომ გამოვიდეს, მაინც ნასვამია და ფათერაკს არ გადაეყაროს და არ გინდა ამაღამ მოსვლა, ხვალ შევხვდეთო. იმ საღამოს მეორე მეგობარი **გია სიბაშვილი** სამჯერ მისულა ჯავახიშვილზე, ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი და ირაკლის ნახვა მინდოდაო. ბოლო მისვლა ორის ნახევარზე იყო. მერეც რუსთაველზე დადიოდა, სამ საათზედაც მინდოდა მისვლა, მაგრამ მომერიდაო.

ირაკლი სახლში რომ შედიოდა, **ვაჟა ადამიას** ძმას **ზურა ადამიას** დაუნახავს. არ მეძინებოდა და ეზოში ვიყავიო. მინდოდა, ირაკლის სახლში შევყოლოდი, მაგრამ ვიფიქრე, ძალიან გვიან არის-მეთქიო. ამ ამბებს იმიტომ ვყვები, რამდენი რამე შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც ირაკლის საბედისწერო ნაბიჯისგან იხსნიდა, არაფერი ეს არ მოხდა. გამოდის, ბედისწერა იყო, ასეთი იყო მისი დასასრული და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც განგებას სურდა.

**რა მოხდა სადღაც ღამის ოთხ საათზე, რატომ და რისთვის, როგორც თვითონ დაწერა წინასწარმეტყველურად ლექსში „თვითმკვლელობა“, ეს მხოლოდ მან იცოდა.**

ჩემდა საუბედუროდ, მე მორწმუნე არ ვარ, მაგრამ თუ არსებობს სულის საუკუნო სიცოცხლე, იქნებ, იქ მართლაც გვიწერია შეხვედრა და ამ კითხვებზე პასუხის მიღება.

●

**ირაკლის დაკრძალვის დღეს მერაბის დეპეშა მოვიდა. როგორც მერე თვითონ მომიყვა, შიმშილისგან დაოსებული შეუყვანიათ ბანაკის უფროსის კაბინეტში და ირაკლის დაღუპვის ამბავი უცნობებიათ, დეპეშის გამოგზავნის უფლება მიუციათ და მერე დაუბრუნებიათ საკანში, მარტო დაუტოვებიათ თავის უბედურებასთან და თავის თავთან.**

ის ჩემზე ცოდო იყო იმ დღეებში. მე გვერდით უამრავი ადამიანი მედგა, რომელთაც ჩემი ტკივილი სტკიოდათ, ამისგან ტკივილი არ მსუბუქდება, მაგრამ მაინც საოცარი იმედია გვერდით ამ დროს ადამიანები.

**ირაკლი ვაკის სასაფლაოზე დავასაფლავეთ 7 თებერვალს, ხუთშაბათს. მერაბის გამზრდელი ბებიის და ბაბუის გვერდზე.** დაკრძალვის დღეს მთელი ჭავჭავაძის პროსპექტი გაჭედილი იყო სუკის თანამშრომლებით, ეტყობა, შიშობდნენ, მართლა დემონსტრაციაში არ გადაზრდილიყო ირაკლის დაკრძალვა...

ჩემი წილი ქვეყანა დაინგრა და დაცარიელდა. ახლა, როცა ირაკლის ტკივილი ქრონიკულად გადაიქცა და ამ ტკივილს შევეჩიე ან უფრო სწორი იქნება, ვისწავლე ამ ტკივილის მორევა, მივხვდი, რომ ადამიანს ბედისწერა თუ საშინელებას უმზადებს, ძალასაც აძლევს, გაუძლოს ამ საშინელებას.

ყოველ საღამოს მოდიოდნენ ირაკლის და ჩემი მეგობრები. ვისხედით, ვიგონებდით. ირაკლის მეგობრებთან ხანდახან ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ირაკლი სადღაც არის წასული და აი, ახლა შემოაღებს კარებს.

**ძალიან დიდი ძალა იყო დედაჩემი. ის მაშინ 87 წლისა იყო უკვე და ცხოვრების მიწურულში კიდევ ერთი გაუსაძლისი უბედურება დაატყდა თავს.** მე აქეთ მამხნევებდა, ლამის მაიძულა, უნივერსიტეტში დაკრძალვიდან 10 დღის შემდეგ დავბრუნებულიყავი. უნივერსიტეტში რომ მივედი, თანამშრომლები გაოგნებული შემომცქეროდნენ.

ლექციაზე რომ შევედი, მთელი ძალა თავშეკავებას მოვანდომე. სტუდენტები მკვდარი სიჩუმით შემხვდნენ. მთელი ლექცია ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ბავშვები არ სუნთქავდნენ. ეს სიჩუმე მათი თანაგრძნობა იყო. არცერთი სიტყვა არ გამიგონია, რა ვთქვი. მერე, მოგვიანებით, სტუდენტებს ლექციის ჩანაწერი გამოვართვი. ჩემდა გასაოცრად, ყველაფერი სწორად მქონდა მოთხრობილი.

მუშაობის უნარი დამიბრუნდა. არ ვტიროდი, არ მოვთქვამდი, სანამ ყველა მომსვლელი არ წავიდოდა. მერე **მირა მეგელი და ელიკო გოგუაძე** დარჩებოდნენ ჩემთან, აი, მაშინ თავშეკავება მღალატობდა, კედელს თავს ვურტყამდი და ხმამაღლა დავტიროდი ირაკლის. მეორე დღეს პატიებას ვთხოვდი ორივეს, მესმოდა, როგორ ვაწვალებდი, მაგრამ ღამე თავის შეკავება უკვე ჩემს ძალას აღემატებოდა.

მთელი წელი გაგრძელდა ასე. ბოლოს წლისთავის ღამეს მომივიდა და დამთავრდა...

## ირაკლი კუბოში საოცრად ლამაზი იწვა, ტანჯვის ნაკვალევი არ ეტყობოდა, ხოლო იმ ფანჯრის ქვევით, რომლის რკინის გისოსებზე საკუთარი გრძელი კაშნეთი თავი ჩამოიხრჩო, კედელი სულ გამონგრეული იყო, კონვულსიებში ფეხებს ურტყამდა კედელს!

საქართველოში მიცვალებულის ჭირისუფალს საქმე ბევრი აქვს. ან იქნებ სპეციალურად არის მოგონილი ეს საქმეები, რომ ჭირისუფალს გრძნობა ჰქონდეს, რომ რაღაცას უკეთებს გარდაცვლილს. ორმოცი, საფლავის გაკეთება, ირაკლის დაბადების დღე, სასაფლაოზე სიარული, სასაფლაოს ყვავილებით მორთვა — ეს ყველაფერი საქმედ ეჩვენება ჭირისუფალს.

**დრო გადიოდა. მოვიდა მერაბის წერილები.**

●

***რუსუდან!***

*სასწრაფოდ მაცნობე, რა მოხდა?*

*არაფრით არ მჯერა და არ მინდა, დავიჯერო. შენი წერილის მიღებამდე ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიქნები. ჩემთან ახალი არაფერია.*

**მერაბი**
**6.11.1985 წ.**

***წამოსვლის უფლება არ მომცეს.***

●

***გამარჯობა, რუსუდან!***

*შენმა ბოლო წერილმა დამარწმუნა გამოუსწორებელ უბედურებაში, რატომ, რატომ მოხდა ეს? რა შეემთხვა ისეთი ამ ბოლო დროს? რას მალავდა ასეთს, ვერავინ რომ ვერ გაიგო, ასე როგორ ფრთხილობდა?* ***მე რომ გარეთ ვყოფილიყავი, ეს ამბავი არ მოხდებოდა.*** *ცოტა კონტაქტები გვქონდა ჩვენს ამ ცხოვრებაში, ვითარებამ ასე მოიტანა.* ***რაც არ უნდა იყოს, რა უფლება ჰქონდა, ასე მოქცეულიყო გვარის ერთადერთ გამგრძელებელს? როგორ ვერ მოერია თავს?*** *ამ ასაკში ყველას ეუფლება ერთ დღეს ვერტერული განწყობა, როგორ ვერ მოახერხა მდგომარეობიდან გამოსვლა? ჩემთან ახალი არაფერია, მერე რა იქნება, არ ვიცი. წარმომიდგენია, რა დღეში იქნები, გამაგრდი! რაც გიწერია, იმას ვერ ასცდები. არ ვიცი, როდის შევხვდებით. „პკტ“ მაისში მითავდება.*

*გკოცნი მაგრად.*

**მერაბი**
**27.03.1985 წ.**

●

27 მარტის მერაბის წერილი მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. მერაბი ირაკლის საყვედურობდა. **მე არცერთხელ არც გონზე მყოფს, არც უგონოდ მყოფს ირაკლის საყვედური არ წამომცდენია. არ მითქვამს არც ერთხელ „შვილო, ეს რა გამიკეთე“. თავისი თავი არ დაინდო, თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე გასწირა, საყვედურს როგორ ვეტყოდი?**

ახლა, როცა უფრო მშვიდად ვკითხულობ მერაბის წერილს, უფრო შემიძლია მისი გაგება. იქ, საკანში, მარტო თავის ფიქრებთან... მე უსამართლო ვიყავი, ახლა მესმის, მაშინ ამის გაგება არ შემეძლო. აპრილში შემდეგი წერილი მოვიდა. ის წერილი, რომელსაც ველოდი...

●

***გამარჯობა, რუსუდან!***

*გწერ და გისურვებ გამძლეობას ჩვენთვის ამ უმძიმეს დღეებში. იფიქრე შენზე და გაიათკეცე ნებისყოფა. არამარტო გისურვებ ამას, არამედ გთხოვ.* ***ატარე ეს უბედურება ისე, რომ ირგვლივ ყოველივე გააკეთილშობილოს ჩვენივე შვილის, ირაკლის სახელზე: გააკეთე ეს ისე, რომ მის ნათელ ხსოვნას შეეწიოს და სასოწარკვეთითა და უიმედობით არა ავნოს რა მის სახელს. იმედი მაქვს, რომ შენ ამ ძალას იპოვი.***

*ახალი არაფერია. ჩვენი უბედურების მიზეზი ჩემთვის ბნელით არის მოცული და ასე იქნება, ვიდრე არ შევხვდებით. მაგრამ არ ვიცი, შევხვდებით კი ოდესმე ერთმანეთს და როგორ, რა ვითარებაში? „პკტ“ მაისში მითავდება. გადაეცი ოლიკოს და ნინას, რომ გამაგრდნენ და თავს მოუარონ.*

***გკოცნი მაგრად.***

**მერაბი**
**3.4.1985 წ.**

●

***მერაბ, ძვირფასო!***

*მივიღე შენი ორი წერილი. მე ძალიან ველოდი შენს წერილს, მეჩვენებოდა, რომ შენ იპოვი რაღაც სიტყვებს, რომლებიც ოდნავ შემიმსუბუქებენ ყოფას. პირველმა წერილმა 27 მარტისა ძალიან გული მატკინა. წერილში შენ თითქოს ბრაზობდი ირაკლიზე, რატომ ვერ შეძლო. მე არ მისაყვედურია მისთვის სრული გამოთიშვის პირველ დღეებშიც კი. მხოლოდ სიბრალული. ისეთი ახალგაზრდა, ისეთი ლამაზი იწვა კუბოში. კუბო იებით იყო სავსე, მას იები ძალიან უყვარდა. ყოველ დილით მის მეგობრებს საიდანღაც მოჰქონდათ ცოცხალი იები... ის მიდიოდა, უკვე აღარ იყო...*

***მეორე წერილი ის იყო, რასაც მე ველოდი. მე ძალიან ვცდილობ, მერაბ, არ წავიქცე. ირაკლის არ უყვარდა, როცა მე სუსტი და დაცემული ვიყავი. ადამიანებთან ურთიერთობის გარეგნული ფორმის მოძებნა როგორღაც მოვახერხე, გარეგნულად თითქოს მშვიდად ვარ... სიცოცხლის შინაგანი ფორმა ვერ ვიპოვე.***

*უზარმაზარი სიცარიელე და ამ სიცარიელის ამოვსების უშედეგო ცდა...*

*ცოდვაა, მე რომ შენთან ამაზე ვლაპარაკობ. შენ მარტო ატარებ ამ უზარმაზარ ტვირთს.*

*როცა პაემანი იქნება, მე აუცილებლად ჩამოვალ.*

***რუსუდანი***
***20.04.85***

*P.S.* ***21 მარტს ირაკლის ორმოცი გადავიხადეთ*** *(დიდი მარხვის გამო გადავიტანეთ.)*

●

*1985 წლის მაისში „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა, რომ მერაბი გარდაიცვალა. დავრეკე სუკში* ***ალექსანდრე მირიანაშვილთან,*** *ვთხოვდი ნებართვას, რომ თუ მერაბი აღარ არის, გადმოსვენების უფლება მაინც მოეცათ. ა. მირიანაშვილი მართლა შეწუხდა, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი მითხრა. შორეულ აღმოსავლეთთან კავშირი გაწყვეტილი იყო.*

მე და **ვაჟა ადამია** წავედით. მოსკოვში ღამე გავათენეთ, მეორე დილით ირკუტსკში უნდა გავფრენილიყავით. ვაჟას მეუღლე ჩიტადან არის და ძმა ჰყავდა ირკუტსკში, რომელიც სუკთან იყო დაკავშირებული. მოსკოვიდან დარეკვა მოვახერხეთ ვაჟას ქვისლთან. **გავიგეთ, რომ მერაბი ცოცხალია. მანვე გვითხრა, რომ ირკუტსკში ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა, მერაბის მიმართ ახალი სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული მუშაობაზე უარის თქმის და ბანაკის ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით და ნახვის უფლებას არ მოგცემენო.** გვითხრა, რომ სასურველი იყო თბილისიდან ადვოკატის გაგზავნა ირკუტსკში.

მე და ვაჟა თბილისში დავბრუნდით.

ადვოკატი **გივი მამულაშვილი** დაგვთანხმდა ირკუტსკში წასვლას. ბევრი ვერაფერი გაუკეთა მერაბს, წელიწადი და 6 თვე სასჯელის ვადა დაუმატეს, მაგრამ ამბავი მაინც ჩამოგვიტანა, მერაბის ნაწერები მოგვიტანა.

**მთელი 1985 წელი ისე დამთავრდა, არც მიწერ-მოწერა იყო, მხოლოდ იმას ვიგებდით, რომ მერაბი ცოცხალია.**

1985 წლის ბოლოს, როგორც ტუბერკულოზით დაავადებული, მერაბი ეტაპით გადააგზავნეს **ტაშკენტის ბანაკში,** რომელიც სპეციალური ბანაკია ასეთი ავადმყოფებისათვის.

**ამ დროისათვის მერაბი სრულიად განადგურებული იყო ფიზიკურად. 48 კილოგრამს იწონიდა. ტაშკენტში ექიმი ქალი მომიყვა, მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, წონასწორობას**



კოკო გამსახურდია, ირაკლი კოსტავა, ირაკლი ჩარკვიანი და კახა თოლორდავა

გაგრძელება 28-ე გვერდზე

# მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები



მერაბ კოსტავა და რუსუდან ბერიძე. 1960 წელი

დასაწყისი 26-ე გვერდზე

**ძლივს ინარჩუნებდაო, დიდ ტომარას მოათრევდა და ხელი ვერ გავაშვებინეთო.** იმ ტომარაში ჩვენი წერილები და ქართული ჟურნალები „ცისკარი" და „მნათობი" ეწყო. ბანაკში რომ მიიყვანეს, ჭიშკართან გრძნობა დაკარგა და დაეცა. მოცვივდნენ ქართველი პატიმრები, ხელში აიტაცეს და საავადმყოფოში მიიყვანეს. თავზე დაადგნენ, მოუარეს, უპატრონეს და ფეხზე დააყენეს. მე მათი არც სახელები ვიცი, არც გვარები, მაგრამ მადლობის გრძნობას მათდამი დღესაც გულით ვატარებ...

1986 წლის იანვრის ბოლოს მივიღეთ წერილი ტაშკენტიდან.

●

*რუსუდან, ოლიკო!*

*ვარ ტაშკენტში, ტუბსაავადმყოფოში. მისამართი ასეთია:* ***უზბეკეთის სსრ, ქ. ტაშკენტი — 14,64 — 18. ვარ მე-7 კორპუსის მე-13 პალატაში.*** *სასწრაფოდ ჩამოდით „სვიდანიაზე". გამოაგზავნეთ 250 მანეთი ტუბსაავადმყოფოს ბუღალტერიის სახელზე დასაქონლებისათვის. კარგა ხანია, თქვენი არაფერი ვიცი.*

***გკოცნით.***

***მერაბი***

**3.1.1986 წ.**

●

აპრილის დასაწყისში მე და **ელიკო გოგუაძე** წავედით ტაშკენტში. მერაბთან შეხვედრის უფლება არ გვქონდა, მაგრამ ვიმედოვნებდით, რომ იქნებ ადგილზე მიგვეღო ნახვის უფლება. **ვოვა სიხარულიძემ** თავისი მეგობარი კინოსცენარისტის ტელეფონი მოგვცა ტაშკენტში, გვარი არ მახსოვს, ძალიან მძიმედ გამოსათქმელი გრძელი გვარი ჰქონდა. **ვოვა სიხარულიძე წლების განმავლობაში მოდიოდა ჩვენთან, კითხულობდა მერაბის ამბავს, თანაგვიგრძნობდა. რამდენჯერმე მოვიდა ზურაბ ცერცვაძე,** ერთხელ — **ჟონდო მეტრეველი.** დანარჩენები ირაკლის დაკრძალვის დღეების გარდა არ გამოჩენილან.

ვოვა არაჩვეულებრივად ნიჭიერი მწერალი იყო, მისი „მეათე მოწმე" ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა ქართულ ლიტერატურაში. ძალიან ადრე გარდაიცვალა (გულმა უღალატა).

მერაბის ნახვის უფლება არ მოგვცეს. მძღოლი ვიპოვეთ, რომელსაც ბანაკში პროდუქტები შეჰქონდა, ფული, წამლები და წერილი გავატანეთ. მერაბმა საპასუხო წერილი გამოგვიგზავნა. **წერილში გვწერდა, ღამის სამ საათზე ბანაკთან მისულიყავით, ის სახურავზე ავიდოდა და იქიდან დაგველაპარაკებოდა.** ჩვენს მეგობარ კინოსცენარისტს ვთხოვეთ, მანქანით მოეკითხა ჩვენთვის. ღამის სამის ნახევარზე ბანაკთან ვიყავით. ჩვენი მანქანა მოშორებით გაჩერდა. ჩვენი მძღოლი დაგვპირდა, რომ დაგველოდებოდა. მაგრამ მანქანიდან ჩამოსვლაზე უარი განაცხადა. მერე გავიგეთ, ის უბანი, ძალიან საშიში იყო, ძალიან ბევრი ბოროტმოქმედება ხდებოდა იქ. ეტყობა, ჩვენს კინოსცენარისტს ხათაბალაში გახვევის შეეშინდა. ჩვენ კი გაგვიკვირდა, ამ ღამეში ორი ქალი მარტო რომ გაგვიშვა, მაგრამ მაინც მადლობელი ვიყავი მისი, რომ გველოდებოდა. ბანაკის შენობას დიდი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, თითო კედელი ასე 500-600 მეტრი იქნებოდა სიგრძეში, ირგვლივ პატრული დადიოდა. მოპირდაპირე მხარეს სახლები და ხეები იყო. პატრული რომ გამოჩნდებოდა, მე და ელიკო ხეებში ვიმალებოდით, თვალს რომ მიეფარებოდნენ, სინათლეზე გამოვდიოდით, რომ მერაბს დავენახეთ. დაახლოებით ორი საათი ველოდით, მაგრამ მერაბი არ გამოჩნდა. მალე გათენდებოდა კიდეც, მეტ ლოდინს აზრი არ ჰქონდა და მანქანაში დავბრუნდით.

მეორე ღამითაც გავიმეორეთ იგივე. როგორც მერე გავიგეთ, წინა ღამეს პატიმრების შემოწმება დაიწყო და მერაბმა ვერ მოახერხა გამოსვლა. მეორე ღამით რამდენიმე წუთით მოახერხა გამოსვლა. რამდენიმე წინადადება ვუთხარით ერთმანეთს, მერე მერაბი მიიმალა. ეტყობა, საშიში იყო დარჩენა. ის მაინც დავინახეთ, რომ უკვე შედარებით ჯანმრთელად იყო, მხნედ გამოიყურებოდა.

ჯანმრთელი კაცი იყო ბუნებით და პროცესი ფილტვებში ადვილად ჩაუქრეს.

ირაკლის გარდაცვალებიდან 10 დღეც არ იყო გასული, ირაკლის ლექსების გამოცემაზე დავიწყე ფიქრი. დახმარება ვთხოვე მშვენიერ ფილოლოგს, ჩემს თანამშრომელს და მეგობარს **მანანა ქარქაშაძეს.** ერთად მოვამზადეთ ირაკლის ლექსების პატარა კრებული. ჩემი ფაკულტეტის მდივანმა, აწ განსვენებულმა **ლამარა გოგეჩიამ** წიგნის ფორმით კომპიუტერზე დაბეჭდა ლექსები. ძალიან გამიჭირდა ქსეროასლების გაკეთება. **ყველას ეშინოდა მერაბ კოსტავას შვილის ლექსების დაბეჭდვა. ბოლოს ვიპოვე ერთი გაბედული ადამიანი, სიტყვა მივეცი, რომ არასოდეს, არსად არ ვახსენებდი მის სახელს და მან დამიბეჭდა და ყდაში ჩამისვა პატარა კრებული 500 ცალად.**

დავურიგე ახლობლებს, მეგობრებს. წიგნი ფართოდ გავრცელდა ახალგაზრდებში. ბევრი ხელით იწერდა. ბევრი თვითონ აკეთებდა ქსეროასლს.

ეს კრებული მერაბსაც შევუგზავნე ბანაკში.



თამთა კოსტავა მამის – მერაბ კოსტავას საფლავზე

●

***გამარჯობა, მერაბ!***

*მივიღე შენი წერილი. მე და ელიკომ ნორმალურად ვიზამთრეთ. ყველანი ჯანმრთელად ვართ.*

*მერაბ, მე მგონი, მე არ უნდა გიხსნიდე, რომ არსებობს მეგობრობის დაუწერელი კანონები, მაგრამ ეს კანონები აუცილებლად უნდა იქნას დაცული ადამიანთა ურთიერთობებში. ამ კანონებით, როცა ერთ შენს მეგობარს ძალიან უჭირს, დანარჩენი მეგობრები რაღაცნაირად მეორე პლანზე გადადიან (ყურადღების თვალსაზრისით). მე შენ გელაპარაკები არა როგორც ცოლი ან ქალი, არამედ მეგობარი, რომელმაც წლების განმავლობაში დაგიმტკიცა ეს მეგობრობა.*

***ახლა მე ძალიან, ძალიან მიჭირს... ჩემს თავზე უზარმაზარი უბედურებაა და ეს ჩემი და შენი საერთო უბედურებაა. როგორ გაძლევს ნებას გული 8 წერილიდან, რომელთა გამოგზავნის უფლება გაქვს, 6 წერილი გალინას გაუგზავნო?*** *მე ხომ ახლა მხოლოდ სიტყვით შეიძლება შემეშველოს ვინმე. ჩემი მეგობრები, რომლებიც ყოველდღე მოდიან, რითი მეხმარებიან? სიტყვით, სითბოთი, ყურადღებით... სად არის შენს წერილებში ეს ადამიანური სითბო, შენ — მორწმუნე ადამიანმა, ვერაფერი სასაუბრო ვერ იპოვე ბუნების მოვლენების გარდა? როგორ ველოდი შენს წერილს...*

***არ იფიქრო, ვეჭვიანობ. მე წლებია, ვიცი, რომ შენ გალინას წერილებს სწერ, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ შენ უღალატე ჩვენს მეგობრობას, ეს მეგობრობა კი უკვე 27 წელს ითვლის...***

*სხვათაშორის, ინფორმაცია მე თვითონ გალინასგან მაქვს. ზაფხულში დედაშენის მიწვევით გალინა თბილისში დასვენებას აპირებს და, ალბათ, ორივენი გინახულებენ ტაშკენტში.*

*და კიდევ ერთი.* ***მე გალინასთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს. ის მხოლოდ სიმპათიას და პატივისცემას იმსახურებს. მას უყვარხარ და შენც სიკეთით პასუხობ მის გრძნობას.*** *მე მეწყინა, რომ შენ ჩემთვის არ აღმოჩნდი მეგობარი, არაფრით არ მოინდომე, მე დამხმარებოდი.*

***რუსუდანი***

***11.5.1986***

●

***გამარჯობა რუსუდან, ოლიკო!***

*მივიღე წერილები თბილისიდან: ოლიკოსაგან, ციცინოსაგან და ლერი ახალაიასაგან (მეორედ). არ უნდა ლაპარაკი, როგორ მახარებს ჩემი ახლობელი ადამიანებისაგან ამბის მიღება, ახლობელი ადამიანებისაგან, რომელთაც ასე ულმობლად მაშორებს დრო და სივრცე. ხსოვნა, რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელია, რომ გაქრეს, მაგრამ ყოველი ახალი სიმბოლო, ყოველი ახალი ამბავი უფრო და უფრო აღვივებს ცეცხლს და აღადგენს წარსულს.*

***რუსუდან! თვეზე მეტია უკვე, შენი წერილი არ მიმიღია. განა თუ იმაზე მოგდის გული, რომ გალინას თბილისში ჩამოსვლა უნდა? წერილში მთხოვა ეს და უარი ვერ ვუთხარი.*** *რამდენი კარგი რამ გააკეთა მან იმ დღეებში, განსაკუთრებით დედასათვის!* ***მე ვიცი, რომ შენ ბუნებით არა ხარ ეჭვიანი, მით უფრო არ უნდა წარმოიდგინო ამგვარი რამ ადამიანისგან, რომელიც ოთხ კედელშია გამოკეტილი. აბა, დაფიქრდი.***

*წერილებს კი მე თბილისში ვაგზავნი იმდენს, რამდენსაც ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რომ სუსტად ვგრძნობ თავს.*

*ამ ცოტა ხნის წინათ მივიღე წერილი* ***ტანია ნიკოლსკაიასაგან,*** *სადაც მწერს თავისი ცხოვრების ამბავს, თავისი ამასწინანდელი მოგზაურობის ამბავს თბილისში.*

*მაცნობეთ, გამომიწერეთ თუ არა ჟურნალ-გაზეთები? თუ არა, არის თუ არა რაიმე საშუალება, რომ აწი გამომიწეროთ? მომწერეთ თქვენი ჯანმრთელობის შესახებ. მომწერეთ ხშირად და ბევრი. მომიკითხეთ ყველა. გკოცნით მაგრად.*

***მერაბი.***

**24.6.1986 წ.**

●

ოქტომბერში კვლავ წავედი ტაშკენტში. **ჩვენი ურთიერთობა უკვე ბევრი ურთიერთწყენით იყო დამძიმებული, მაგრამ მაინც მერაბს ჩემზე მეტად უჭირდა და არწასვლა არ შემეძლო.**

ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო ირაკლის დაღუპვის შემდეგ და მთელი სამი დღე მხოლოდ ირაკლიზე ვლაპარაკობდით. ვკითხულობდით ირაკლის ლექსებს. ვეძებდით მიზეზებს „რატომ და რისთვის?" **მერაბსაც არასოდეს ჰქონია ეჭვი, რომ ირაკლი სუკის მიერ იქნა მოკლული.** მისი ლექსებიდან გამომდინარე, თუ გულის კარნახით, არ ვიცი, მაგრამ ისიც დარწმუნებული იყო, რომ ირაკლი თავის ნებით წავიდა ამ ქვეყნიდან.

ირაკლის სიკვდილის შემდეგ ჩემთან ძალიან ხშირად მოდიოდნენ **თამთა და დედამისი.** თამთას ვუთხარი, რომ ირაკლი შორს არის წასული, მაგრამ გუმანით რაღაცას გრძნობდა, ბევრს მეფერებოდა.

მერაბს ვთხოვე, თამთასთან ურთიერთობა აღედგინა. **ძალიან აღშფოთებული იყო თამთას დედის საქციელით, რომელიც, როცა მერაბი კვიტოკში იყო გადასახლებული, ალიმენტს ახდევინებდა მისი ხელფასიდან.** არა, ცხადია, იმის გამო კი არ იყო მერაბი აღშფოთებული, რომ ამ ფულს იხდიდა. პატიმარი და გადასახლებული ადამიანის მიმართ საჩივრის გაგზავნით იყო აღშფოთებული. მე ავუხსენი, რომ ეს მხოლოდ მისი, მერაბის, როგორც თამთას მამის დამკვიდრების მცდელობა იყო და სხვა არაფერი. ფორმა შეიძლება არ ვარგოდა, მაგრამ შინაარსი ეს იყო.

თამთას სურათი ჩავუტანე. დიდი დავის შემდეგ, წერილი მივაწერინე თამთასთვის. როგორი ბედნიერი იყო თამთა, როცა მამის წერილი მიიღო...

დავემშვიდობეთ ერთმანეთს ძალიან ახლობელი და ძალიან უცხო ორი ადამიანი...

ეს ის დროა, როცა „პერესტროიკა" და საჯაროობა უკვე დაწყებულია. ის, რასაც დაფარულად ვკითხულობდით წლების განმავლობაში, ჟურნალებსა და გაზეთებში იბეჭდება, ყველა დასახელების რუსული ჟურნალი გამოწერილი მაქვს ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ჟურნალების ჩათვლით, რადგან რომელ ჟურნალში რა დაიბეჭდება, არ ვიცით, და, ვაითუ, რაიმე გამოგვრჩეს...

**რაღაცა ხდება. ვერ ვიჯერებთ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ამ საშინელი იმპერიის რღვევა დაიწყო და მისი ნგრევა ახლოვდება.**

1986 წლის ოქტომბერში, პაემნის შემდეგ **ალექსანდრე მირიანაშვილმა** დამიბარა და მითხრა: **„ქალბატონო რუსუდან! ჩვენ გვაქვს მერაბის დედის განცხადება მერაბის საქართველოში დაბრუნების თხოვნით. ჩვენ ამ თხოვნას დავაკმაყოფილებთ, მხოლოდ თქვენ ტაშკენტში წაბრძანდით, ჩვენ ჩვენს თანამშრომელს გაგაყოლებთ და მერაბმა დაწეროს, რომ მომავალში საბჭოთა წყობის საწინააღმდეგოს არაფერს იტყვის და გააკეთებს".** მე ვუპასუხე: **„ბატონო ალექსანდრე! თქვენ რომ მერაბის ადგილზე იყოთ და თქვენი მეუღლე სუკის თანამშრომელთან ერთად რომ გესტუმროთ და ასეთი რამის დაწერა მოგთხოვოთ, თქვენ ეს ძალიან მოგეწონებოდათ? არა, მე თანახმა არა ვარ".** „მაშინ იქნებ თქვენ დაწეროთ მერაბის მაგივრად და სიტყვა დადოთ". მე გამეცინა და ვუთხარი: **„ბატონო ალექსანდრე! როგორ შემიძლია მე რაიმე სიტყვა დავდო მეორე პიროვნების მაგივრად, თან მერაბის მაგივრად, რომელმაც ასეთი წამება გადაიტანა და ერთი სიტყვა ვერ დააწერინეთ და ახლა გააკეთებს ამას?"**

სუკიდან წამოსული მივხვდი, რომ პოლიტიკური ამინდი იცვლებოდა და დისიდენტების განთავისუფლება ან მათი მდგომარეობის შემსუბუქება დაიწყებოდა, მითუმეტეს, **გორბაჩოვს** ძალიან უნდოდა, თავი მოეწონებინა დასავლეთისათვის, ხოლო დასავლეთი დისიდენტების განთავისუფლებას მოითხოვდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მიხეილ ცაგარელი:

# მოსკოვში განხორციელებული ტერაქტი იყო ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ბოროტების იმპერიის, დაკვეთა!

***მაშინ, როდესაც ყველაზე რთულ პერიოდს, მთვარის და მზის დაბნელებების დერეფანს გავდივართ, საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ბიჭების თავდაუზოგავი ბრძოლის გარდა, რას უკავშირებს ამ გამარჯვებას ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და რატომ გახდა მისი ტონი მკაცრი „ქართული ოცნების“ მიმართ, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***

— საქართველო მშვილდოსნისა და ლომის ნაზავია, ამასთან, ცეცხლის სტიქიას განეკუთვნება. ამჟამად მზე სწორედ ცეცხლის სტიქიას, ანუ ვერძს გადის და საქართველოსათვის ეს პერიოდი იღბლიანია. ჯერ კიდევ მატჩამდე ორი დღით ადრე ვთქვი — ეროვნულ ნაკრებს, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოგების დიდი შანსი აქვს-მეთქი. როდესაც იღბლიანობა მაღალია, წარმატების შანსიც იზრდება და ეს ფეხბურთელებსაც ეხება, პოლიტიკოსებსაც, ეკონომისტებსაც. სხვა საქმეა, ვინ როგორ გამოიყენებს. ფეხბურთელებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ყველას ვულოცავ ამ დიდ გამარჯვებას!

რაც შეეხება ზოგად ტენდენციებს, შემთხვევითი არც მოსკოვში განხორციელებული ტერაქტი ყოფილა.

**— რატომ?**

— ტერაქტი მაშინ მოხდა, როდესაც მთვარის დაბნელება მოახლოვდა. გარდა ამისა, 20 რიცხვიდან მზე ვერძის ზოდიაქოში გადავიდა, სადაც დაახლოებით 20 აპრილამდე იქნება. ვერძს კი ომისა და აგრესიის მმართველი პლანეტა მარსი მართავს. ვერძის ზონაში ტრადიციულად აგრესია მატულობს არამარტო საზოგადოებაში, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში. დააკვირდით — საქართველოს ყოველთვის ჰქონდა გარკვეული სირთულეები აპრილში. სხვა საქმეა, ვინ შეუკვეთა ტერაქტი, მაგრამ ფაქტია, რომ ის ზუსტად ამ პერიოდში მოხდა.

დაძაბულობა, ტერაქტებისა და ტექნოგენური კატასტროფების ალბათობა უახლოეს დღეებში კიდევ უფრო მოიმატებს, რადგან ჯერ კიდევ დაბნელებების დერეფანს გავდივართ. **25 მარტს გვქონდა მთვარის დაბნელება, 8 აპრილს მზის დაბნელება გველოდება.** ასევე 10 აპრილს ხდება ორი ბოროტი პლანეტის — მარსისა და სატურნის შეერთება. ეს ყველაფერი, ცხადია, უკვალოდ არ ჩაივლის. ერთადერთი, რამაც შეიძლება სიტუაცია მეტ-ნაკლებად განმუხტოს, არის ის, რომ დედამიწა მთელი აპრილის თვე პოზიტიურ ენერგოველში იქნება.

მე მაინც მიმაჩნია, რომ წლის პირველი ნახევარი არის უფრო შესამზადებელი პერიოდი. როცა მეკითხებიან, ომი იქნებაო? ვამბობ — პირველ ნახევარში არა! ამ პერიოდში დიდი ვეშაპები უფრო ერთმანეთის ძალებს გამოცდიან, პროვოკაციებით დაკავდებიან. სხვადასხვა სახის საომარი ვითარების ალბათობა წლის მეორე ნახევარში მოიმატებს და 2025 წლის პირველ ნახევარში პიკს მიაღწევს.

ის, რაც რამდენიმე დღის წინათ მოხდა მოსკოვში, არის ტიპური პროვოკაცია. ცდილობენ, როგორმე შიგნიდან მოთხარონ რუსეთი, ხალხის უკმაყოფილება გამოიწვიონ და ა.შ. **ერთ-ერთ ტაჯიკ მკვლელს არც დაუმალავს, რომ მან დაკვეთა შეასრულა და ხალხის დახოცვაში ნახევარი მილიონი აიღო.**

**— თუმცა, მას არ უხსენებია დამკვეთი...**

— ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ბოროტების იმპერიის, დაკვეთა! სადაც კი შტატები შედის, ყველგან ხალხი იხოცება და მთავრობის გადაგდება ხდება.

მართალია, შტატებმა, როგორც სჩვევია ხოლმე, მიუსამძიმრა რუსეთს, მაგრამ საინტერესო და ყურადსაღები ის ფაქტია,



რომ ტერაქტამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკის მოქალაქეებს მოსკოვის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. საიდან იცოდნენ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ? რატომ გააფრთხილა თავისი მოქალაქეები, თუ ამ ტერორისტულ აქტთან არავითარი კავშირი არა აქვს?!

ტერორისტული აქტი ტაჯიკების ხელით მოაწყვეს, რომლებიც ისლამურ ჯგუფში შედიან. ყველამ კარგად იცის, ვინ და რატომ შექმნა თავის დროზე ისლამური დაჯგუფება — ამერიკას დასჭირდა სირიული მთავრობის გასანადგურებლად. ეს ისლამური დაჯგუფება, ასე თუ ისე, დღესაც არსებობს. ის ავღანეთიდან უკრაინაში გადაისროლეს, სადაც უშიშროებამ სათანადოდ მოამზადა. რუსებმა სწორედ მაშინ დააკავეს ტერორისტები, როდესაც უკრაინაში ბრუნდებოდნენ. პუტინმა უკრაინის უშიშროება უკვე გამოაცხადა ტერორისტულ ორგანიზაციად, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო გამძაფრდება რუსეთის მხრიდან უკრაინაზე ზეწოლა.

**არ გაგიკვირდეთ, თუ წლის ბოლომდე უკრაინა დაკარგავს ოთხ დიდ ქალაქს — ხარკოვს, ზაპოროჟიას, კიევს და ოდესას. ამით დამთავრდება უკრაინული ეპოპეა.** რუსები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ნაკლებად მკვეთრი მოძრაობები განეხორციელებინათ, მაგრამ უკრაინელებმა თავად გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი ამერიკელთა დაკვეთით.

**წლის მეორე ნახევრიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, მსოფლიო მასშტაბით გაღვივდება საომარი ვითარებები, მათ შორის, საქართველოშიც. ის, რაც საქართველომ გააკეთა, ვგულისხმობ სომხეთთან დადებულ ხელშეკრულებას, არის ღალატი! ასეთი ხელშეკრულების დადება იმ ქვეყანასთან, რომელიც არ ცნობს შენს ტერიტორიულ მთლიანობას და წინააღმდეგია აფხაზეთში ქართველების დაბრუნების, გამართლება არა აქვს!**

**— სხვათაშორის, პრემიერი ირაკლი კობახიძე ახლახან იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით სომხეთში...**

— ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო სომხეთს მიაბეს. რასაკვირველია, ამერიკა ხელმძღვანელობს, მაგრამ ოფიციალურად შტატები თავს იკავებს პირდაპირი მოქმედებებისაგან და გადანაწილება ევროპულ ქვეყნებზე გააკეთა. მაგალითად, ბრიტანეთი მართავს პოლონეთს, ჩეხეთს, სკანდინავიის ქვეყნებს, გერმანიას დაუტოვა უკრაინა, საფრანგეთს კი კავკასია და შუა აზია გადაულოცა. ამასთან, საფრანგეთის მიზანია რუსეთთან ომის გაჩაღება და ცდილობს, აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტი თანდათან რუსეთთან კონფლიქტში გადაზარდოს, რისთვისაც საგანგებოდ აიარაღებენ სომხეთს, როგორც მთავარ პროვოკატორს.

ჩვენდა სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო — საქართველოს გავლით მიდის ფრანგული იარაღი სომხეთში. თქვენ გგონიათ, ვერ ხვდება რუსეთი, რომ ეს იარაღი შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული?!

**— ანუ მეორე ფრონტის გახსნის სერიოზული საფრთხე ისევ არსებობს?**

— ყოველი შემთხვევისათვის მცდელობას არ აკლებენ. ამისთვის აფინანსებენ ფაშიანიანს და ამისთვის არსებობს საქართველოში ნაციონალური მოძრაობა. **ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი** წლების განმავლობაში ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს, რაც ქვეყნისთვის მომგებიანი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბინძურ თამაშში საქართველო ნაწილობრივ მაინც ჩაითრიეს.

დღეს საქართველო ნეიტრალური ვეღარ არის, ეს კი ჩვენს მეზობლებთან — აზერბაიჯანთან, თურქეთთან და რუსეთთან ურთიერთობებზე კარგად არ აისახება. ჩვენ ვის გვერდით უნდა ვიყოთ — საფრანგეთის თუ ჩვენი მეზობლების? თუ სომხეთს გაანადგურებენ, საქართველოსაც ზედ მიაყოლებენ. მე ეს პროცესები არ მომწონს და მაფიქრებინებს, რომ გლობალური პოლიტიკის კუთხით არასწორი ნაბიჯები იდგმება.

ან სალომე ზურაბიშვილი ავიღოთ. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთიდან ჩამოიყვანა, ჭკვიანმა ადამიანებმა მაშინვე თქვეს, რომ ის სპეცსამსახურების მიერ მომზადებული აგენტი იყო, რომელიც საქართველოში გარკვეული დავალებით ჩამოვიდა. ამ დავალებას ის დღემდე ასრულებს. დავიჯერო, ეს არ იცოდა **ბიძინა ივანიშვილმა ან ირაკლი ღარიბაშვილმა?!** აღარ მინდა, გვარები დავასახელო იმ ადამიანების, რომლებიც თავის დროზე ივანიშვილს „შეუძვრნენ“ და გახარიას თამადობით პრემიერ-მინისტრებიც კი დაანიშვნინეს. ვთქვათ, ერთხელ შეცდი ადამიანი, მეორედ და მესამედ იგივე შეცდომა რატომ უნდა დაუშვა?!




**— მკაცრი ტონი შეინიშნება დღეს თქვენს საუბარში!**

— როგორ უნდა მოვიწონო ის, რაც მოსაწონი არ არის? სამწუხაროდ, იმედები გამიცრუვდა. ამიტომ შეიცვალა ჩემი ტონიც! 12 წელი გავიდა და აღარ ვთქვა, რომ შეცდომებს უშვებენ?! როდემდე უნდა აფურთხებინონ ნაციონალურ მოძრაობას ქართველი ხალხისთვის პარლამენტის ტრიბუნიდან?!

„ქართული ოცნების“ პირველი მხარდამჭერი ვიყავი და დღესაც ვარ, მაგრამ, როგორც მათი გულშემატკივარი, ვალდებული ვარ, სიმართლეც ვთქვა. როდესაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, რას დაგვპირდა? სამართლიანობის აღდგენას. შეასრულა პირობა? სამწუხაროდ, არა. რაში გამოიხატება ეკონომიკის გაუმჯობესება, რომელზედაც მუდმივად საუბრობს ხელისუფლება — ხელფასებმა მოიმატა საგრძნობლად თუ ხალხი აღარ გარბის ქვეყნიდან?! თუ რამეს ვიგონებ ან ვაჭარბებ, ორივე ხელს ავწევ ზევით და არგუმენტირებულ პასუხს მოვისმენ!

## „ვეკითხები „ქართულ ოცნებას“ – როდემდე უნდა აფურთხებინონ ნაციონალურ მოძრაობას ქართველი ხალხისთვის პარლამენტის ტრიბუნიდან?!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



# მიხეილ ცაგარელი:

# აპრილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგნოზი

*— 19 აპრილამდე ვერძის ზოდიაქოში მოძრავი მზე რა პოზიციებს გაამყარებს და რა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც საქმიან სამყაროში, ისე სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში? თვის რომელ მონაკვეთშია მოსალოდნელი კატასტროფების და ავარიების დიდი ალბათობა? რა არ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც მმართველი პლანეტა მერკური გახდება რეტროგრადული (უკუმავალი)? რა გველის თვის შუა რიცხვებში, როდესაც გაუმჯობესდება დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა, ჩამოყალიბდება პოზიტიური, შემოქმედებითი, კრეატიული ატმოსფერო? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— აპრილის თვეში რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს, ვარსკვლავები რას იუწყებიან?**

— **წლევანდელი აპრილი არაერთგვაროვანი და ნაწილობრივ რთული თვეა. 19 რიცხვამდე ვერძის ზოდიაქოში მოძრავი მზე ადამიანებში გააძლიერებს სიახლეების სურვილს, კიდევ უფრო გაამყარებს ხისტ პოზიციებს,** ამიტომ მოქმედებისას ადამიანები ნაკლებად გაითვალისწინებენ გარშემო მყოფების სურვილებს და დაეყრდნობიან მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას, ცოდნასა და ავტორიტეტს.

## აპრილის დასაწყისში ურთიერთობების გარკვევა ან ახალი კავშირების დამყარების მცდელობა უსარგებლო აღმოჩნდება.

ცვალებადი გარემოებები და არსებული სიტუაცია კი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს და საგრძნობლად შეცვლის გეგმებსა და სტრატეგიებს როგორც საქმიან სამყაროში, ისე სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. გარდა ამისა, **30 მარტიდან 9 აპრილამდე დროის მონაკვეთში არაა გამორიცხული მასშტაბური ავარიები და კატასტროფები, რაც, თავის მხრივ, არაერთ ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში დიდი რაოდენობით პრობლემებს გამოიწვევს.**

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **2 აპრილიდან ბონების კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური გახდება რეტროგრადული (უკუმავალი), რაც უარყოფითად იმოქმედებს მოგზაურობებსა და ურთიერთობებზე. გაზრდის შეცდომების ალბათობას.** მიუხედავად ამისა, პლანეტების — მერკურის, ვენერასა და ნეპტუნის შეერთება 3 აპრილს სასიკეთო თანამშრომლობის ახალ გზებს წარმოაჩენს, რომლისთვისაც სასურველია წინდაწინ მომზადება.

**თვის შუა რიცხვებში საგრძნობლად გაუმჯობესდება დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა, ჩამოყალიბდება პოზიტიური, შემოქმედებითი, კრეატიული ატმოსფერო, რაც შექმნის არაერთ პოზიტიურ შესაძლებლობას თვითრეალიზაციისა და პირადი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.** გაჩნდება მოტივაცია, გაძლიერდება გარისკვისა და გამდიდრების სურვილი, რაც დადებითად აისახება ახალ პერსპექტიულ ჩანაფიქრებზე, გაჩნდება ახალ პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საინტერესო შემოთავაზებები. თუმცა, უკუმავალი პლანეტა მერკურის გამო სასურველია, მათი რეალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ 25 აპრილის შემდგომ, მანამდე კი აუცილებელია ყველაფრის კარგად გააზრება და გაანალიზება.

გარდა ამისა,

## აპრილის მეორე ნახევარი, განსაკუთრებით 17 რიცხვის შემდეგ, ხელს შეუწყობს კარიერული პოზიციების, მეგობრული და სასიყვარულო ურთიერთობების გამყარებას და ასევე პირად ცხოვრებაში კარდინალურ ცვლილებებს.

**ამ სფეროებში სასურველი შედეგების მისაღწევად უმჯობესია, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას 26 რიცხვამდე.**

**24 აპრილიდან შესაძლოა, თავი ისევ შეგახსენოთ თვის დასაწყისში მიმდინარე ავადმყოფობებმა — სახსრებისა და სისხლძარღვების საპაზმებმა, სტრესმა, თავის ტკივილმა.** თუმცა, მძლავრი შემოქმედებითი ენერგიების დახმარებით, შესაძლებელი იქნება ცხოვრების ყველა სფეროში მეტ-ნაკლები სტაბილურობის შენარჩუნება.

**აპრილის ბოლო დღეები სასიკეთოა მუშაობისთვის, კარიერული ზრდისთვის, ბავშვის ჩასახვისა და მშობიარობისთვის** (განსაკუთრებით 26 აპრილამდე). ამავდროულად, დრო ხელს უწყობს იმ გამაჯანსაღებელ პროცედურებს, რომლებიც მოხსნის ადრე დაგროვილ დაღლილობასა და სტრესს და ხელს შეუწყობს ახალ პირობებთან ადაპტირებასა და ახალი ცხოვრებისეული რიტმისთვის ნაბიჯის გადადგმას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 1-7 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**რთულად, მაგრამ დადებითად ჩაივლის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები. ურთიერთობებში გაურკვევლობა ან საქმიანი პარტნიორების მხრიდან არაკეთილსინდისიერება გაიძულებთ, შეცვალოთ გეგმები. ერიდეთ აზარტსა და რისკს. მოსალოდნელია, პრობლემები შეგექმნათ ბინის ყიდვა-გაყიდვის ან გაქირავების შემთხვევაში. სასიყვარულო ურთიერთობების, გრძნობათა გამძაფრებისა და ინტიმური ცხოვრების გააქტიურების სურვილის შემთხვევაში შეეცადეთ, არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომები.**

**კურო** (21.04-20.05)
**მეგობრული ურთიერთობები და შეხვედრები ხშირად მოგაცდენენ საქმისგან, ამიტომ ეცადეთ, არ აჰყვეთ ცდუნებებს, რათა არაფერი გაიფუჭოთ. ყურადღება გმართებთ წვრილმანების მიმართ, განსაკუთრებით ახალი ინფორმაციის მიღებისას. ოჯახში პრობლემების ან უთანხმოების გამო ნუ ინერვიულებთ, რათა არ გაგიუარესდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოგზაურობა დიდ ხარჯებს დაუკავშირდება, ხოლო მიზნის მიღწევა ძალზე რთული იქნება.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**სახლის, ოჯახის ან მეუღლის პრობლემები უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ეცადეთ, ზუსტად განსაზღვროთ მიზნები და პირადი პრობლემები, სხვისი განხილვის საგანი არ გახადოთ. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას, შორეულ მოგზაურობებსა და უცხოელებთან საქმიან მოლაპარაკებებს. აკონტროლეთ ემოციები და სიტყვები. მეტად მომგებიანი იქნება საშუამავლო საქმიანობა. ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, აღიდგინოთ დახარჯული ენერგია.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**კრიზისულ სიტუაციებს ადვილად დაძლევთ, თუმცა, წინა პერიოდის უჩვეულო ან რთული მოვლენები შეცვლის თქვენს მსოფლმხედველობას, მიზნებსა და გეგმებს. ფარული მტრები თავიანთ რეალურ სახეს დაგანახებენ. შესაძლოა, მეტი ჩართულობა გამოიჩინოთ ბავშვებთან და მათი განათლების საკითხებთან დაკავშირებით. ადრე დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა კი შესაძლებელია, ქორწინებით დასრულდეს.**

**ლომი** (23.07-23.08)
**პირად და საქმიან ურთიერთობებში მეტად ენდეთ ფაქტებსა და გამოცდილებას, ამგვარად შეძლებთ სხვის მიერ დაშვებული შეცდომების თქვენს სასიკეთოდ გამოყენებას და სიტუაციის სწრაფად დარეგულირებას. მიზნების მისაღწევად ან ფინანსური მოგების მისაღებად ნუ გამოიყენებთ აკრძალულ ილეთებს და ნუ დაარღვევთ კანონს. საყვარელ ადამიანთან, ოჯახის წევრებთან და ბავშვებთან ურთიერთობისას ეცადეთ, შეარჩიოთ აუცილებელი სიტყვები და კამათის გარეშე გადაწყვიტოთ რთული საკითხები.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ერიდეთ გაუგებრობებს და კონფლიქტებს. დაღლილობამ და ნერვიულობამ შესაძლოა, თავის ტკივილი და ავადმყოფობა გამოიწვიოს. მეტად ტაქტიანი და დიპლომატიური იყავით საყვარელ ადამიანებთან. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში ეცადეთ, დროულად გაარკვიოთ გაუგებრობები და დააყენოთ თქვენი მოთხოვნები. მოგზაურობა ხარჯებს დაუკავშირდება, მიზნის მიღწევა კი პრობლემატური გახდება.**

## 1-7 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**საერთო ინტერესების საფუძველზე დაუახლოვდით საქმიან პარტნიორებს და აქტიურად ჩაებით საზოგადოებრივ საქმიანობაში. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისას არაერთ წინააღმდეგობას გადააწყდებით. გაიზრდება ოჯახის ხარჯებიც. შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს სასიყვარულო ურთიერთობას. აკონტროლეთ ემოციები და ხშირად დაისვენეთ. მოგზაურობა ამ პერიოდში მხოლოდ დამატებით სირთულეებს შეგიქმნით.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**საეჭვო პროექტებისგან ჯობს, თავი შეიკავოთ, არახელსაყრელი დროა რისკისა და ძალისმიერი მოქმედებებისთვის, კრედიტებისა და ვალების ასაღებად. ასევე ჯობს, უარი თქვათ ახალი საქმის დაწყებაზეც. გაიზრდება კრიტიკული სიტუაციების რაოდენობა და ეცადეთ, ემოციურად მდგრადი იყოთ. ფიზიკური ამტანიანობის დაქვეითებისას მიაკითხეთ ექიმს და ხშირად მოაწყვეთ დასვენების საათები. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში მეტი თავშეკავებაა საჭირო.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**გაიზრდება გადაადგილებების და მოგზაურობების რაოდენობა და მეტ დროს გაატარებთ ხალხთან ურთიერთობაში. მეგობრები გიბიძგებენ ახალი პროექტების ხორცშესხმისაკენ. შემოსავალს ჩვეული ხერხით მიიღებთ და შეძლებთ ზოგიერთი სურვილის ასრულებას. შესაძლოა, თქვენს წრეში მდიდარი და გავლენიანი ადამიანები მომრავლდნენ, რაც თქვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას გაააქტიურებს. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში თავშეკავებული იყავით და მოერიდეთ ინტრიგებს.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**საყვარელ ადამიანთან უთანხმოებაა მოსალოდნელი. გართულდება მატერიალური პრობლემებიც. მოგიწევთ პარტნიორების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულება და ვალების დაბრუნებაც. მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტი იკონტაქტეთ ხალხთან და გაიფართოვეთ თვალსაწიერი. შორეული მოგზაურობა რეკომენდებული არაა, მაგრამ გაადვილდება სწავლა და უცხო ენის ათვისება. კარგი იქნება, თუ ხშირად დაისვენებთ და მოუფრთხილდებით ჯანმრთელობის მდგომარეობას.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**საქმეში პრობლემები პარტნიორებისა და კოლეგების მხრიდან წინააღმდეგობასთან იქნება დაკავშირებული და სერიოზული ცვლილებისაკენ გიბიძგებთ. გაგიჩნდებათ ახალი იდეები, რომელთა მომავალში განხორციელებაში ბევრი ხალხი დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია როგორც ფინანსური, ისე პიროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ერიდეთ საბანკო ოპერაციებს, რათა დიდი რაოდენობით ფული არ დაკარგოთ. მოგზაურობისას ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ფინანსური გარიგებებისათვის არახელსაყრელი დროა, რადგან შესაძლოა, დანაკარგი განიცადოთ. გადაადგილებებისას კი ფრთხილად იყავით, რათა არ დაშავდეთ. სამაგიეროდ, თქვენს მომხიბვლელობას მშვიდად გვერდს ვერ აუვლიან საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. ოჯახში არსებული პრობლემები ჯობს, დროულად მოაგვაროთ. უცხოელებთან კონტაქტი კი მინიმუმამდე შეამცირეთ, რათა შეინარჩუნოთ ემოციური მდგრადობა.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 2, 3, 6 და 7 აპრილი

**8 აპრილი — ახალმთვარეობა, მზის სრული დაბნელება;**
**24 აპრილი — სავსემთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 1 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში, ამოდის 05.44 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 01.03 საათზე, ჩადის 2 აპრილს 09.30 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 04.25 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** იყავით ყურადღებით, ყველაფერი შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს. მოიმატებს სულიერი ცოდნისადმი მიდრეკილება. კარგია ავეჯის ყიდვა-გაყიდვა, ლამინატის, პარკეტის დაგება. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობას, ქორწინებას, ახალ კავშირებს, ფეხსაცმლის ყიდვას. კარგია კუჭ-ნაწლავის, მკერდის დაავადებების მკურნალობა, კანისა და ფრჩხილის მოვლა, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.**ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ტყუპებისთვის, თევზებისთვის, მერწყულისთვის.

## 2 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში, ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 18.28 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 02.01 საათზე, ჩადის 10.33 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 05.20 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ხელშეკრულების დადებას, სირთულეს შექმნის ტექნიკის გამართული მუშაობა. კარგი დღეა ბინისა და ავეჯის ყიდვა-გაყიდვისთვის, რესტავრაციისთვის, სპეციალისტებთან კონსულტაციისთვის. კარგია კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 3 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.40 საათზე, ჩადის18.29 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.50 საათზე. ჩადის 11.45 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.53 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ურთიერთობებისა და ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად, მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, სწავლისთვის, კომპიუტერული ტექნიკის, ელექტროაპარატურის შესაძენად, უძრავი ქონების, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, დიეტის დასაწყებად. მოსალოდნელია ნევროზულობის გამოვლენა, გეგმების შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლები, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, თვალები, ნერვული სისტემა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ტყუპისთვის, თევზებისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, ღრიანკალისთვის.

## 4 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.39 საათზე, ჩადის 18.30 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 03.30 საათზე, ჩადის 13.03 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.12 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** ცხოვრების განახლების და დაპირებების შესრულების დღეა. მძაფრდება ინტუიცია. სულის სიმტკიცის, ჭეშმარიტი ურთიერთობის გამოცდის დღეა. კარგია პურის ცხობა, შუშების გაწმენდა. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლოა მოულოდნელი შეხვედრა. კარგია სუნთქვითი ვარჯიშები, სწრაფად სიარული. მოერიდეთ ფეხსაცმლის შეძენას, ნერვიულობას, ფორიაქს. არ ვარგა მცენარეთა დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, ტყუპებისთვის.

## 5 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 18.31 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 04.02 საათზე, ჩადის 15.20 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 06.24 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** სიყვარულის, ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა დღეიდან 29 აპრილამდე გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში და ამ პერიოდში გამოავლენს უშიშარ, მებრძოლ სულისკვეთებას, დამოუკიდებლობას, შეუპოვრობას. თუ ამ პერიოდში ფულს ჭკვიანურად არ „დაასაქმებთ“, იგი უაზროდ დაიხარჯება. დღეს ნუ შეუშინდებით განსაცდელსა და პრობლემებს. კარგია ზედმეტი ნივთებისაგან გათავისუფლება. მოერიდეთ პედიკურის, ანალიზების გაკეთებას, ექოსკოპიას, ალკოჰოლურ სასმელს, ნარკოტიკულ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, თევზებისთვის, მერწყულისთვის.

## 6 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.35 საათზე, ჩადის 18.32 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 15.42 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 06.33 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** აქტიურად განახორციელეთ თქვენი გეგმები, მათ შორის თანამოაზრეებთან ერთად დაუფიქრებლად ნუ გარისკავთ, ნუ აჰყვებით პროვოკაცებს და ავანტიურულ მოქმედებებს. მეტი დრო დაუმეთ საოჯახო საქმეებს. კარგი დღეა რეკლამისთვის, ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ცუდია ახალი ფეხსაცმლის ყიდვისთვის, ანალიზებისა და ექოსკოპიისთვის, ალკოჰოლური სასმელების, ფსიქოტროპული პრეპარატების მისაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 7 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 18.33 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 04.55 საათზე, ჩადის 17.01 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 06.40 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი მზის დაბნელების მძიმე დღის წინ მეტად დაისვენეთ. ნუ აჰყვებით ცდუნებებს, პროვოკაციებს, ტყუილს, სესხის აღებას ან გაცემას. არ ვარგა ახალი და მნიშვნელოვანი საქმის დაწყება, მოიმატებს აგრესიისა ან დეპრესიის ალბათობა. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელია საერთო მიზნების საქმეებში აქტიური ჩართვა. მოერიდეთ ალკოჰოლს, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებს, თმის შეჭრას. სასიკეთო დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, ქველმოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** მარგალიტი, გიშერი, მარჯანი. **საღამოს** — ჟადეიტი, წითელი იასპი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.



# საეკლესიო კალენდარი

✝ **1 აპრილი. ორშაბათი.** მოწამეთა ქრისანთესი და დარიასი და მათთანა მოწამეთა: კლავდი ტრიბუნისა, მეუღლისა მისისა ილარიასი და ძეთა მათთა იასონისა და მავრისა, დიოდორე ხუცისა და მარიანე დიაკონისა; მოწამისა პანქარესი.

✝ **2 აპრილი. სამშაბათი.** ღირსთა: იოანესი, სერგისა, პატრიკისი და სხვათა, წმიდა საბას ლავრაში მოწყვეტილთა; მოწამეთა: ალექსანდრასი, კლავდიასი, ევფრასიასი, მატრონასა, იულიანასი, ეფემიასი და თეოდოსიასი; ნიკიტა აღმსარებელისა, აპოლონიადელი მთავარეპისკოპოსისა; იოვანე ურჰაელ კათალიკოსისა.

✝ **3 აპრილი. ოთხშაბათი. ღირსისა იაკობ აღმსარებელისა, ეპისკოპოსისა;** კირილესი, კატანელი ეპისკოპოსისა. თომასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.



**7 აპრილი - ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა**

**4 აპრილი. ხუთშაბათი.** მღვდელმოწამისა ბასილისი, ანკვირელი ხუცისა; მოწამისა დროსიდასი, ტრაიანე მეფის ასულისა; ღირსისა ისაак დალმატელისა.

✝ **5 აპრილი. პარასკევი.** ღირსმოწამისა ნიკონ ეპისკოპოსისა და ასოთხმოცდაცხრამეტთა მოწაფეთა მისთა; მოწამეთა: ფილიტისა და ლიდიასი — მეუღლისა მისისა, მაკედონისა და თეოპრეპესი — ძეთა მათთა, კრონიდესი და ამფილოქესი; მართლისა ბასილი მანგაზეისკელისა.

✝ **6 აპრილი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარებისა.** ღირსისა ზაქარია მონაზონისა; არტემისა, თესალონიკელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იაკობ აღმსარებელისა, ეპისკოპოსისა.

✝ **7 აპრილი. კვირა. ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.** დიდმარხვის მესამე კვირა. ჯვრის თაყვანისცემა.




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!**

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. წალკოტი; 9. სუმო; 11. კაპულეტი; 12. ცხუმი; 13. ლოტბარი; 14. ლისი; 15. მელანომა; 16. ნედლი; 17. დავლური; 18. კუპე; 19. პაპარაცი; 22. სესია; 23. კაფია; 26, ტიტა; 27. ნარკომანი; 29. ფერაძე; 30. ზალპი; 31. ბუმი; 32. ელევატორი; 34. შაკიკი; 37. ტაფა; 39. ჩაი; 41. აგიტატორი; 45. რადიო; 46. ბრენდი; 49. ხმა; 50. ბურიდანი; 54. იო; 55. კვირა; 58. ბანდა; 60. კომისარიატი; 61. ტირანია; 62. ნაურუ; 63. როსინანტი; 64. რეგიონი; 65. აგოგიკა.

შვეულად: 1. კაპელა; 2. მუდარა; 3. ვეროնა; 4. წილადი; 5. ლიტავრა; 6. ორაგული; 7. იცინის; 8. ბუნდესტაგი; 9. სილიკატები; 10. მესოპოტამია; 19. პანტერა; 20. პორტერი; 21. რეობაზა; 23. კიზი; 24. ფოლგა; 25. აფიშა; 28. ალო; 33. რურკი; 35. კარიკატურა; 36. კადრი; 38. ფრე; 39. ჩოხა; 40. ირაო; 42. გნუ; 43. ტაი; 44. ტბა; 46. ბი; 47. რობინიო; 48. ნონიუსი; 50. ბაკარა; 51. რიმესა; 52. დასენი; 53. ნარინი; 56. რეალია; 57. რაფია; 59. წიგნი.

ტოსკანინიძერამაზინადალიდარაბატიხარიხახამი
კერატიტიკაკალიკანიონიანისიმინდიამატისიერა

| იტალიელი დირიჟორი | მტაცებელი ფრინველი | იტალიელი მსახიობი ქალი | ფრანგი მომღერალი ქალი | მაროკოს დედაქალაქი | მოაჯირის ნაწილი | გამოუცდელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| პუჩინის ოპერა | მსახიობი ია ... | ხატაეთის მეფე („ვეფხისტყაოსანი“) | ესპანელი ჩოგბურთელი | ფანჯრის ხის საფარი | თხელი გამყოფი კედელი | ებრაელთა სასულიერო პირი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4 ძალიან ლამაზი ბაღი (წიგნ); 9. ჭიდაობის სახეობა; 11. ჯულიეტას გვარი (ლიტ.); 12 ძველი სოხუმი; 13. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 14. ჭაობის მცენარე; 15. კანის ავთვისებიანი სიმსივნე; 16. რასაც ერთგვარი ტენი ახლავს; 17. ერთ-ერთი ქართული ცეკვა; 18. ცალკე განყოფილება მატარებლის ვაგონში; 19. აბეზარი ჟურნალისტი; 22. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 23. ექსპრომტი; 26. ყვავილი; 27. ნარკოტიკების მომხმარებელი; 29. ჭრიჭინას გვარი (ფილმი); 30. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა; 31. აურზაური, სენსაცია (გადატ.); 32. ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანა; 34. თავის ძლიერი ტკივილი, მიგრენი; 37. პროდუქტის შესაწვავი ჭურჭელი; 39. მარადმწვანე მცენარე; 41. აგიტაციის გამწევი; 45. მაუწყებლობის ერთ-ერთი საშუალება; 46. ალკოჰოლიანი სასმელი; 49. ცალკე მელოდია გუნდურ სიმღერაში; 50. ფრანგი ფილოსოფოსი; 54. ჰერას ქურუმი ქალი; 55. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი; 58. ყაჩაღთა ჯგუფი; 60. სამხედრო უწყება სათავეში კომისრით; 61. დესპოტიზმი; 62. კუნძული წყნარ ოკეანეში; 63. დონ კიხოტის ცხენის სახელი; 64. მსხვილი ტერიტორიული ერთეული; 65. ტემპის მცირე შეცვლა მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას.

შვეულად: 1. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 2. ხვეწნა, აჯა; 3. ქალაქი იტალიაში; 4. მთელის ნაწილებისგან შედგენილი რიცხვი; 5. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 6. თევზის სახეობა; 7. ვ. ჰიუგო — „კაცი, რომელიც ...“; 8. გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა; 9. სილიციუმის ჟანგის შემცველი მინერალები; 10. ისტორიული შუამდინარეთი; 19. ლეოპარდი; 20. ერთგვარი შავი ლუდი; 21. მუდმივი ელექტროდენის უმცირესი ძალა; 23. ამერიკელი მწერალი; 24. კილიტა; 25. გამოკრული განცხადება რაიმე ღონისძიების შესახებ; 28. სატელეფონო შორისდებული; 33. ჰოლივუდის მსახიობი მიკი ...; 35. ვინმეს დამახინჯებული, სასაცილო ნახატი; 36. ფილმის ცალკე სცენა; 38. საყაიმო ანგარიში; 39. მამაკაცის ქართული სამოსი; 40. ნარნარი ფრენა; 42. ანტილოპას სახეობა; 43. ტაილანდის ენა; 44. ე. ნინოშვილი — პალიასტომის ...“; 46. „ორჯერ“ ლათინურად; 47. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 48. გეოდეზიური და ასტრონომიული ხელსაწყოების ნაწილი — დამატებითი სკალა; 50. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 51. თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული; 52. მომღერალი ჯო ...; 53. რუსუდანის ვაჟი დავით ...; 56. ნამდვილად არსებული ნივთი; 57. აფრიკული პალმა; 59. „ცოდნის წყარო“.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| თვალის ფერადი გარსის ანთება | ნიგვზის გული | ღრმა, ვიწრო ხეობა | ქალაქი თურქეთში | მართლმადიდებლური დაფქვის საზღაური | ფრანგი ფერმწერი | ეპოქა |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე | ტბა პერუსა და ბოლივიაში | ქართული მინერალური წყალი | საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე | კორეული მცენარე | ვიოლინოს იტალიელი ოსტატი | აფრიკის სახელმწიფო ...-ლეონე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


*დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს*

დამოუკიდებელი და ზვიადგამიული

**ასავალ დასავალი**

2024 წლის 1 – 7 აპრილი №15 (1533)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


